# საქართველოს რესპუბლიკა

ვამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №142 (2515) შაბათი, 21 ივნისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ 45 თეთრი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორბიტაზე

## საბერძნეთში დასრულდა ზურაბ ჟვანიას ვიზიტი

19 ივნისს ათენში გაიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები.

19 ივნისს ბატონი ზურაბ ჟვანია შეხვდა ახლადშექმნილი პარტია „სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარეს დიმიტრიოს ცოვოლას.

ეკონომიკურ ვითარებაზე, საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ამ სფეროში მიღებულ თუ მისაღებ კანონებზე, წარმოების განვითარებაზე, რეფორმებისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დაწვრილებით ილაპარაკა საბერძნეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან ათენის სავაჭრო სამრეწველო პალატაში გამართულ შეხვედრაზე, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია და მრავალი ფირმისა და კომპანიის ხელმძღვანელი შეკრიბა. ბიზნესმენებმა დაწვრილებით გამოიკითხეს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული ვითარება, დაინტერესდნენ ნავთობმაგისტრალის მშენებლობით, სუფსის ტერმინალით, ტრასეკას პროექტით, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებით. საუბრის დროს გამოიკვეთა რამდენიმე კონკრეტული წინადადება თუ პროექტი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დაინტერესებულ ბიზნესმენებს საჭიროების შემთხვევაში დახმარებას და თანაგრძნობას დაჰპირდა და მოუწოდა აქტიურად ეთანამშრომლათ საქართველოსთან.

საქართველო-საბერძნეთის განსაკუთრებული ურთიერთობის სადარი უნდა იყოს საქმიანი წრეების კონტაქტები. ამ მხრივ კი ვითარება ჯერჯერობით არ არის დამაკმაყოფილებელი, — ხაზგასმით აღნიშნა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ „მემარცხენე და პროგრესის კოალიციის“ თავმჯდომარესთან ნიკოს კონსტანტინოპულოსთან გამართულ შეხვედრაზე. ბატონი კონსტანტინოპულოსი დაეთანხმა პარლამენტის თავმჯდომარეს. შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველოსაც და საბერძნეთსაც აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ რეგიონში სტაბილიზაციის დამყარებისათვის იკისრონ მნიშვნელოვანი ინიციატივა. ბატონმა კონსტანტინოპულოსმა დაადასტურა ყველა პოლიტიკური ძალისა და მთლიანად საბერძნეთის მხრიდან მზადყოფნა დაეხმაროს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ჩართვისათვის.

პარლამენტის თავმჯდომარე და ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ წევრები იმყოფებოდნენ საბერძნეთის მმართველი პარტიის „პასოკის“ ოფისში. „პასოკის“ გამოცდილება მნიშვნელოვანია „მოქალაქეთა კავშირისათვის“. მხარეები შეთანხმდნენ მჭიდრო თანამშრომლობაზე, ერთობლივ ღონისძიებებზე.

საღამოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და თანმხლები პირები დაესწრნენ საბერძნეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის აპოსტოლოს კაკლამანისის სახელით გამართულ დარბაზობას. ამით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები დასრულდა.

პარლამენტის პრესსამსახური-საქინფორმი.

## პოლემიკა

## მართლაც ღმერთმა განსაჯოს...

დეპუტატ თორნიკე ფიფიას უკანასკნელი პუბლიკაციები (იხ. გაზ. „ალია“ №№ 93, 94) არის ცდა, გაერცელდეს „მხილების“ პათოსით გადმოცემული ინფორმაცია.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ბატონ დეპუტატს რამდენიმე ელემენტარული ჭეშმარიტება არ შევახსენოთ.

„სამეგრელოს თემით“ სპეკულაცია და ამ კუთხის მთელი მოსახლეობის სახელით ლაპარაკი არც ზნეობრივად, არც ფაქტობრივად და არც პოლიტიკურად არ არის მართებული. ის აღმშენებლობითი სულისკვეთება, რომელიც საქართველოს ამ ძირძველ მხარეში სუფევს და ის დიდი მხარდაჭერა, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს სამეგრელოს მოსახლეობის მხრიდან, კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყანაში დამკვიდრებულ ტენდენციას: ახალი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა, როგორც ყოველი ქართველის, ისე საქართველოს ყოველი ღვიძლი კუთხის უზენაესი ზნეობრივი და ისტორიული დანიშნულებაა.

იხ. მე-2 გვ.

## აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

# დედაქალაქის განსაკუთრებულ ფუნქციას რეალური საქმეებით უნდა შეესხას ხორცი



სახელმწიფო კანცელარიაში თბილისის მერიამ მოაწყო თბილისის ნაწარმის გამოფენა, რომელიც დაათვალიერა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

ბესიკ კეზერაშვილის ფოტო.

აი, უკვე ათას ხუთას წელზე მეტია თბილისს აკისრია საქართველოს დედაქალაქის მძიმე, მაგრამ საპატიო მისია. ვერვინ მოთვლის ქალაქის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე მისი აღზევებით გამოწვეულ სიხარულს თუ ბედის სიმუხთლით განცდილი მარცხის სიმწარეს. მაგრამ საოცარი ის არის, რომ მთების არტახებში მოქცეული ეს განუმეორებელი ქალაქი მუდამ ახერხებდა მისთვის დამახასიათებელი იერ-სახისა და კოლორიტის აღდგენას. რა წყაროები ასაზრდოებდა აღორძინების ამ უშრეტ ენერგიას? რა თქმა უნდა, მთავარი წყარო იყო თვით თბილისელების სულიერი ძალა, რომლებსაც მშობელი ქალაქისადმი არა მარტო უსაზღვრო სიყვარულის, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობაც ამოძრავებდათ. ყველა თაობის თბილისელი თითქოს რაღაცით წააგავს ერთმანეთს. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის შინაგანი თავისუფლების და ამავდროულად თავშეკავებისა და საკუთარი ღირსების შეგრძნების ერთგვარი სინთეზი.

სწორედ ასეთი ღირსებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით შეიკრიბნენ 20 ივნისს თბილისის მერიისა და მუნიციპალიტეტის გაფართოებული სხდომის მონაწილეები, რათა განეხილათ მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში ქალაქის ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგები და დაესახათ სამომავლო ამოცანები. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

სავსებით გასაგებია, რომ ქალაქ თბილისის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა თავის მოხსენებაში ილაპარაკა რა დედაქალაქის ეკონომიკის მდგომარეობაზე, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება გაამახვილა ფინანსური მდგომარეობის ანალიზზე, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დაისახა სახელმწიფო შემოსავალთათვის გეგმის ფორმირების ტენდენცია. იგი იმით გამოიხატება, რომ 1993-1996 წლებში შემოსავლის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 300 პროცენტს მიაღწია. შარშან ძალების მაქსიმალური მობილიზების წყალობით ბიუჯეტის შესრულება მხოლოდ 97 პროცენტით მოხერხდა. მაგრამ, ამის მიუხედავად, 1997 წლისათვის შემოსავალთა დონე პროგნოზით გათვალისწინებული იყო იმ მაჩვენებლის ოდენობით, რომელიც 1996 წლის ანალოგიურ ციფრს მთელი 70 პროცენტით აღემატებოდა. ცხადია, რომ ეკონომიკის ადეკვატური აღმავლობისა და ძირითადი ფონდების სტრუქტურათა გაუმჯობესების გარეშე იოლი საქმე არ იქნებოდა სახელმწიფო შემოსავლის ასეთი ზრდის უზრუნველყოფა.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ხუთი თვის განმავლობაში ქალაქის საგადასახადო ინსპექციამ ბიუჯეტს შემატა 50,8 მილიონი ლარი, რაც პროგნოზით გათვალისწინებული მაჩვენებლის 93,4 პროცენტს შეადგენს. სულ კი, ამ პერიოდში თბილისის ტერიტორიაზე სახელმწიფო შემოსავლებს 77,6 მილიონი ლარის, ანუ 90 პროცენტისათვის არ გადაუჭარბებია. და მაინც, როგორც სხდომაზე აღინიშნა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემოსავლის მობილიზების დონემ 1,7-ჯერ იმატა. იანვარ-მაისის განმავლობაში თბილისის ეკონომიკის უმეტეს დარგებში მიღწეულია წარმოებისა და მომსახურების მოცულობის საგრძნობი ზრდა. ამავე დროს, შენარჩუნებულია არასახელმწიფო სექტორის უპირატესი განვითარების ტენდენცია. ამჟამად ქალაქში მოქმედი 8411 დიდი და მცირე საწარმოთა სამი მეოთხედი სწორედ ამ სექტორს განეკუთვნება. 1 ივნისისათვის შექმნილი მდგომარეობით ქალაქის ეკონომიკაში დასაქმებულია 465 ათასზე მეტი კაცი, რაც თითქმის 20 პროცენტით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამ პერიოდში სამრეწველო საწარმოებმა გამოუშვეს 102,6 მილიონი ლარის პროდუქცია — ქვეყანაში წარმოებულის მესამედზე მეტი. ამასთან, გასულ წელთან შედარებით ზრდამ 14,3 პროცენტი შეადგინა, რაც ამ დარგის აღორძინების პროცესის შეუქცევადობას მოწმობს.

სხდომაზე გამოსული მინისტრები საქალაქო სამსახურებისა და რაიონული რგოლების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ბიზნესმენები, აღნიშნავდნენ რა როგორც წარმატებებს, ისე ნაკლოვანებებს, გამოუყენებელ შესაძლებლობებს, განმარტავდნენ ამა თუ იმ სფეროში ჩამორჩენის მიზეზებს, ასახელებდნენ პრობლემებს, სახავდნენ მათი გადაჭრის გზებს. პრობლემები კი დედაქალაქს, მართლაც რომ, არ აკლია. იქნება ეს ერთ დროს კარგად ორგანიზებულ დარგში კაპიტალურ მშენებლობაში არსებული სერიოზული სირთულეები, თუ ხარვეზები. საქალაქო ტრანსპორტის ფუნქციონირებაში, ვაჭრობისა და მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში. ამასთან ყველა ორატორი ერთსულოვნად აცხადებდა, რომ სახელმწიფო შემოსავლების მიხედვით დავალების შესრულებაში წარმოქმნილი დარღვევა უთუოდ დაიძლევა.

განხილვის შედეგების შეჯამებისას, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა: „როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მიმდინარე ამოცანებსა და პრობლემებზე, ხშირად გვავიწყდება, რომ ცხოვრება და მუშაობა გვიწევს განსაკუთრებულ პირობებში, რომლებიც განსხვავდება იმისგან, რაც გვისწავლია და ფაქტობრივად ახლა გავდივართ ჩვენი საწარმოო საქმიანობის, ეკონომიკური ცხოვრებისა და, თუ გსურთ, სახელმწიფო მშენებლობის საწყის ელემენტარულ პროგრამას“. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება დედაქალაქს. მან დამსწრეთ მადლიერების სიტყვებით მიმართა იმისათვის, რაც უკვე გააკეთეს თბილისელებმა ქვეყანაში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ეკონომიკური რეფორმების პროცესის დაწყებისათვის, რის შედეგადაც საქართველომ მოიპოვა რეფორმატორული ქვეყნის ავტორიტეტი. ასეთ აღიარებას მსოფლიო მხარდაჭერაც მოჰყვება, რის წყალობითაც ჩვენ უკვე თანდათანობით ვწყვეტთ ინვესტირების პრობლემას. როგორც პრეზიდენტმა თქვა, უცხოური ინვესტიციები უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ურომლისოდაც ქვეყანა, მისი ეკონომიკა ვერ განვითარდება და, შესაბამისად ვერც სახელმწიფო პროგრამები განხორციელდება.

იხ. მე-2 გვ.

## ილია ვეკუა — 90



## ქართული მეცნიერების რაინდი

ამ დღეებში საქართველო აღნიშნავს დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ილია ვეკუას დაბადების 90 წლის იუბილეს.

აკადემიკოსი ილია ვეკუა იმ რჩეულთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც შექმნეს მეოცე საუკუნის საქართველოს ინტელექტუალური სახე და მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი დაუმკვიდრეს ქართულ მეცნიერებას. ის იყო ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული მკვლევარი, ბრწყინვალე პედაგოგი და მეცნიერების შესანიშნავი ორგანიზატორი.

ამ საიუბილეო დღეებში თბილად ვიგონებ საქმიან და მეგობრულ შეხვედრებს აკადემიკოს ილია ვეკუასთან.

მე და ბატონი ილია ბევრჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს, მათ შორის, საკავშირო აკადემიის პრეზიდენტებთან აკადემიკოს კელდიშთან და აკადემიკოს ალექსანდროვთან ერთად, რომლებიც დიდ პატივს სცემდნენ ბატონ ილიას, როგორც მეცნიერს, საზოგადო მოღვაწესა და ახლო მეგობარს. ჩვენ ერთად განვიხილავდით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის, ქართული კულტურის შემდგომი განვითარების საკითხებს.

თავის დროზე ილია ვეკუას თავის დიდ მასწავლებელთან, ჩვენი აკადემიის პირველ პრეზიდენტთან აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილთან ერთად კოლოსალური მუშაობის გაწევა მოუხდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დასაარსებლად.

აკადემიკოსი ილია ვეკუა უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო სამეცნიერო, არამედ პოლიტიკურ წრეებშიც, არც ერთი მისი თხოვნა, წინადადება, პროექტი უყურადღებოდ არ დარჩენილა.

იხ. მე-2 გვ.

## საზოგადოება

## დროა, ეს პოლიტიკური სპექტაკლიც დამთავრდეს

### ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მიმართვა პრეზიდენტისადმი

ბატონო პრეზიდენტო!

ქართველი ერისათვის ამ საკმაოდ მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში, კიდევ ერთხელ გვინდა მოგმართოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ თქვენი უდიდესი პატივისცემა ქართველი მწერლებისადმი, რეჟისორებისადმი, მეცნიერებისა და, საერთოდ, ქართული ინტელიგენციისადმი, რომელიც არაერთხელ დაამტკიცეთ, ამჯერადაც დამტკიცდება.

სიახლე არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ხალხი დაიღალა ამდენი შუღლითა და ღვარძლით. თქვენი ჩამოსვლის შემდეგ ხუთი წელიწადი გავიდა. უმადურობა იქნებოდა არ დაგვენახა ის ძირეული ცვლილებები, რაც ამ ხნის განმავლობაში მოხდა, მაგრამ სიმართლე მაინც უნდა ითქვას: ბევრი სიმახინჯე დღემდე შემოგვრჩა.

ამ ბოლო დროს პრესითა თუ ინფორმაციის სხვა საშუალებებით ხშირად ლანძღავენ ხელმძღვანელ მუშაკებს. სადღეისოდ მიზანში ამოიღეს ბატონი შოთა კვირაია. ვფიქრობთ, ეს მხოლოდ სიმართლისათვის თავგადადებულ ჟურნალისტთა ნებით არ ხორციელდება. მათ უკან ალბათ დგას ძალა, ვისაც ხელს აძლევს ერის გათიშვა, უნდობლობის თესვა...

იხ. მე-2 გვ.

## უკანასკნელ საათს

დენვერი. აქ მიმდინარე „დიდი შვიდეულის“ შეხვედრაზე იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ჰასიმოტომ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი, რომ მისი ქვეყანა წინააღმდეგია შვიდეულში რუსეთის მიღებისა, სანამ არ გადაწყდება კურილის კუნძულების პრობლემა. „რუსეთი გახდება „დიდი რვეულის“ სრულუფლებიანი, მაგრამ არა სრულფასოვანი წევრი. დღეს დასავლეთს სჭირდება სტაბილური, მაგრამ ეკონომიკურად სუსტი რუსეთი და ამდენად, „დიდ შვიდეულს“ ხელს აძლევს მიიღოს ელიტურ კლუბში მერვე პარტნიორი“, განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის ერთ-ერთმა თანმხლებმა პირმა, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა.

ლუბერცი. რუსეთის პირველი ვიცე პრემიერის ბორის ნემცოვის მიერ გამოცხადებული მთავრობის წევრების უცხოური მანქანებიდან რუსულზე გადასხმა უკვე დაიწყო. გუშინ აქ გაიმართა უმაღლეს ხელისუფალთა პერსონალური იმპორტული მანქანების აუქციონი. სულ გასაყიდად იყო გამოტანილი 500 ავტომობილი, უმთავრესად, ძველი მანქანები. როგორც აუქციონის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა თქვა, არ გამოუტანიათ საყოველთაოდ ცნობილი „პაშას მერსედესები“ — ყოფილი თავდაცვის მინისტრის გრაჩოვის მანქანები.

კიევი. უკრაინის პრემიერ-მინისტრის ლაზარენკოს ავადმყოფობის გამო პრეზიდენტმა კუჩმამ დროებით გადადო მისი გადაყენების საკითხი და დროებით დანიშნა მოვალეობის შემსრულებლად ვიცეპრემიერი ვასილ დურდინეცი.

ვესტმინსტერი. დაძაბული ბრძოლის შემდეგ აქ დასრულდა ბრიტანეთის კონსერვატორთა პარტიის ახალი ლიდერის არჩევნები. ტორების მეთაურად სამი უნაყოფო ტურის შემდეგ, ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის მოწოდებით, აირჩიეს 36 წლის უილიამ ჰეიგი.

პეკინი. აქ ჩინეთის სახალხო კრების შენობის წინ გაიმართა საპროტესტო მსხდომარე დემონსტრაცია, რომლის მონაწილენიც პროტესტს აცხადებდნენ მთავრობის საბინაო პოლიტიკის გამო. პოლიციელებმა უკმაყოფილონი მანქანებში შეყარეს და ქალაქგარეთ გაიყვანეს.

## ინფორმაცია

### რიჩარდ მაცკე იმედიანად არის

ამერიკული ნავთობკომპანია „შევრონ ოვერის“ პრეზიდენტის რიჩარდ მაცკეს განცხადებით ყაზახეთის თენგიზის საბადოებიდან მოპოვებული ნავთობის აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ბათუმამდე რკინიგზით ტრანსპორტირების შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „შევრონი“ უახლოეს მომავალშიც აქტიურად ისარგებლებს ამ გზით. მისივე თქმით, „შევრონი“ ყაზახური ნავთობის ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენით ტრანსპორტირების კონცეფციასაც უჭერს მხარს.

„უახლოეს მომავალში კასპიის ზღვაში ნავთობის მოპოვება გადააჭარბებს ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის გამტარუნარიანობას და აუცილებელი გახდება ახალი მაგისტრალის მშენებლობა. გამომდინარე აქედან, „შევრონს“ სავსებით რეალურად მიაჩნია ნავთობსადენის ახალი მაგისტრალის საქართველოს ტერიტორიაზე გავლა“, — დასძინა რიჩარდ მაცკემ.

### რუსეთის ფედერაციის საელჩოს დესპანებს უპასუხეს

19 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია შეხვდა საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს დესპანებს გ. შევჩენკოვსა და ვ. მალიშევს მათივე თხოვნით. საუბარი შეეხო კავკასიის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შექმნის იდეას. საელჩოს წარმომადგენლებმა ითხოვეს გარკვევა საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის“ ზოგიერთი წევრის მიერ ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხო ამ ასამბლეის რუსეთის მონაწილეობის გარეშე ჩამოყალიბების საკითხს.

ვახტანგ ყოლბაიამ დიპლომატებს განუმარტა, რომ ამ საკითხის გამო განცხადება გააკეთა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ თანამეგობრობის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეაზე ევროსაბჭოს ხელმძღვანელობასთან ერთობლივი სხდომის დროს. აღინიშნა, რომ არსებული კონფლიქტების ჩიხიდან გამოყვანაში კვლავინდებურად უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება რუსეთის და კავკასიის ურთიერთობას. საპარლამენტთაშორისო ასამბლეა ამ მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი იქნებოდა.

### ახალი ვარიანტი ძველი აქცენტებით

„იბერიის“ კორესპონდენტს მოსკოვში საქართველოს საელჩოდან აცნობეს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მხარეებს გადასცა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ახალი გეგმა, რომელიც შემუშავებულია რუსეთის მხარის მიერ. ეს დოკუმენტი კვლავ აფიქსირებს, რომ არსებობს ორი სუბიექტი, — საქართველო და აფხაზეთი. მათ უნდა აღადგინონ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები სპეციალური კონსტიტუციური ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება საქართველოსა და აფხაზეთს შორის. ამის შემდეგ უნდა დაიწყოს ლტოლვილთა დაბრუნება, რომელთა უსაფრთხოება გარანტირებული იქნება ძალისმიერი სტრუქტურების მიერ და უნდა გაიხსნას სასაზღვრო პუნქტი მდინარე ფსოუზე.

### განიხილეს სამხედრო თანამშრომლობის საკითხები

„საქართველო-თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობა, მათ შორის, სამხედრო სფეროში, ამიერკავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა,“— განაცხადა თურქეთის სახმელეთო ჯარების სარდალმა, არმიის გენერალმა ჰიქმეთ ქოქსალმა საქართველოს თავდაცვის მინისტრთან შეხვედრის დროს, რომელზეც განიხილეს ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობის საკითხები.

### ენგური ჩვენს წისქვილს ასხამს წყალს

ენგურჰესის წყალსაცავში მიმდინარეობს წყლის დაგროვება. ვარაუდობენ, რომ იგი გაივსება და მუშაობას დაიწყებს ივლისის თვის შუა რიცხვებში.

### ალოობა დაიწყო

„აგროინფორმის“ გენერალური დირექტორი ირაკლი დვალი გვატყობინებს: სიღნაღის რაიონში ალოობა დაიწყო. უკვე მოკილია 45 ჰექტარზე მეტი და საშუალოდ ჰექტარზე 20-25 ცენტნერი ქერის მარცვალი გაილეწა. აქ 3-4 დღეში ხორბლის აღებაც დაიწყება. წლეულს სიღნაღელები ჰექტარიდან საშუალოდ 20-25 ცენტნერი მარცვლის მიღებას ვარაუდობენ. მოსავლის აღებისთანავე სამემოდგომო კულტურებისათვის ნიადაგის მომზადებაც დაიწყება. მუშაობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წნორის ბირჟა, სადაც მსურველებს მარცვლისა და სხვა პროდუქტების ყიდვა-გაყიდვა შეუძლიათ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა-საქინფორმმა, „მოამბე ექსკლუზივ ექსპრესმა“, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

## გვეხმაურებიან

## მიზეზი გარკვეული დაძაბულობა არის

მიმდინარე წლის 11 ივნისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გავეცანი ბატონ ელდარ ბოჭორიშვილის წერილს „ფაქტი და სინამდვილე“, რომელიც ეხება სააქციო საზოგადოება „მადნეულს“, „ახტალის“ სამთო გამამდიდრებელი სახელმწიფო საწარმოსა და ფირმა „მთებს“ შორის არსებულ სამეურნეო ურთიერთობების ზოგიერთ ასპექტს.

წერილში ბატონი ელდარი აღნიშნავს, რომ „საქმეში ჩახედულმა“ და „დაინტერესებულმა“ პირებმა მცდარი ინფორმაცია მოგაწოდათ. იმდენად, რამდენადაც ეს „საქმეში ჩახედული“ და „დაინტერესებული“ პირი მე ვარ, კიდევ ერთხელ მინდა დაგიდასტუროთ, რომ ჩემს მიერ თქვენთვის ერევანში მოცემული ინტერვიუდან ყოველ სიტყვაზე ვაგებ პასუხს.

ბატონი ელდარის წერილის დეტალების გარჩევას აქ არ დავიწყებ (ამის შესახებ ჩვენ და ჩვენმა სომეხმა პარტნიორებმა უკვე ვაუწყეთ მრეწველობის მინისტრს თამაზ აგლაძეს), მინდა აღვნიშნო მხოლოდ ჩემი გაოცება იმით, რომ ბატონი ელდარი, მამაჩემის ტოლი კაცი, ასე აშკარად კადრულობს ტყუილს, რამდენადაც მის მიერ წერილში მოტანილი ფაქტების, რბილად რომ ვთქვათ, უზუსტობა დოკუმენტურად ადვილად მტკიცდება.

მის მიერ წერილის დაწერის რეალური მიზეზი კი სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ გახმაურებულ ტენდერთან დაკავშირებით ჩვენსა და ბატონ ელდარს შორის არსებული გარკვეული დაძაბულობა გახლავთ.

**კონსტანტინე აბესაძე,**
შპს „მთების“ დირექტორი.

ილია ვეკუა — 90

# ქართული მეცნიერების რაინდი

თვალს ავლებ დიდი მეცნიერის ბიოგრაფიას და გიკვირს მისი გასაოცარი მიღწევები. ილია ვეკუამ ოცდათორმეტი წლისამ ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მოკლე ხანში ამ ნაშრომის საფუძველზე დაწერა მონოგრაფია „ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები“, რომელმაც ავტორს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. ასეთივე წარმატება ხვდა წილად ორმოცდაათიან და სამოცდაათიან წლებში შესრულებულ მონოგრაფიებს: „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“ და „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტის აგების ზოგადი მეთოდები“. სამივე ხსენებული მონოგრაფია, რომელთათვისაც ბატონ ილიას საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამეცნიერო პრემიები (სტალინური, ლენინური და სახელმწიფო) მიენიჭა, მიჩნეულია სახელგანთქმული ქართული მათემატიკური სკოლის უმნიშვნელოვანეს მიღწევებად. ისინი კარგა ხანია ნათარგმნია ინგლისურ, გერმანულ, მსოფლიოს ხალხთა სხვა ენებზე, რამდენჯერმე გამოცემული უცხოეთში და სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებად არის ქცეული.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აკადემიკოს ილია ვეკუას ნაყოფიერი მოღვაწეობა 1951-64 წლებში რუსეთის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა ციმბირის სამეცნიერო ცენტრი და ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თვითონვე იყო ამ უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

ბატონი ილია კითხულობდა ლექციებს მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტში.

1964 წლის ბოლოს ჩვენი სასიქადულო მეცნიერი რუსეთიდან სამშობლოს დაბრუნდა.

დაბრუნდა იმ გადაწყვეტილებით, რომ მთელი თავისი სულიერი და ფიზიკური ენერგია მშობელი ერის სამსახურში დაეხარჯა, რომ თავისი უზარმაზარი ცოდნა და გამოცდილება ქართული მეცნიერების აღმავლობისათვის მოეხმარებინა. ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ იმისა, თუ რაოდენ მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდა ბატონი ილია თავის ჩანაფიქრს, რაოდენ ღირსეულად ატარებდა იგი დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის, დიდი ერისკაცის მძიმე და საპატიო ტვირთს.

ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად, ხოლო შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად და მის მიერვე დაარსებული გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-ხელმძღვანელად ყოფნისას, აკადემიკოსი ილია ვეკუა უთვალსაჩინოეს როლს ასრულებდა საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებაში.

მე ისიც მინდა გავიხსენო, რომ ზოგიერთმა ავისმდომმა მას ბევრი სულიერი ტრავმა მიაყენა, მაგრამ ამის შესახებ ილია ვეკუას არასოდეს სიტყვა არ დასცდენია.

მე ამ წერილის სათაურში სიტყვა რაინდი ვიხმარე. რაინდისათვის, ჩემი აზრით, ორი უმთავრესი თვისებაა დამახასიათებელი: გმირობა და სულგრძელობა. ამ თვალსაზრისით ილია ვეკუა მართლაც რაინდი იყო, როგორც მეცნიერი და როგორც მოქალაქე.

მომავალი თაობებისათვის მეცნიერული გმირობის ნიმუშად დარჩება ის ფაქტი, რომ უკვე უკურნებელი სენით დაავადებული და სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული მეცნიერი წარმატებით აგრძელებდა მონოგრაფიასა და სახელმძღვანელოზე მუშაობას და მოასწრო კიდეც მათი გასრულება.

იმ დღეებში მე მოვინახულე ბატონი ილია. არ დამავიწყდება: ხელში ეჭირა ფორმულებით აჭრელებული მცირე დაფა და ცარცი, წერდა და ქმნიდა ახალ ფორმულებს. ის რაღაცით მაგონებდა მეცნიერების მსოფლიო ტიტანებს, რომლებიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძვიან დასახული მიზნის მისაღწევად.

ასე ებრძოდა სიკვდილს დიდი მეცნიერი, ასე გაიმარჯვა მან სიკვდილზე.

ასეთი ადამიანები საუკუნეებში ერთხელ იბადებიან, მაგრამ სამარადჟამოდ რჩებიან.

მჯერა, რომ ჩვენი ისტორია საპატიო ადგილს მიუჩენს ქართული მეცნიერების რაინდს, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე წინ ჭეშმარიტება უძღოდა და ამ ქვეყნად ნათელი კვალი დატოვა.

მე თავის დროზე აქტიური მონაწილეობა მივიღე აფხაზეთში, გალის რაიონის სოფელ შეშელეთში — ბატონ ილიას მშობლიურ სოფელში — ილია ვეკუას სახლ-მუზეუმის დაარსებაში.

ილია ვეკუას დიდ პატივს სცემდნენ აფხაზეთში, აფხაზეთის მეცნიერები და მწერლები.

ის წავიდა, და დარჩა დიდი ვაკუუმი.

როგორ გვაკლია დღეს ილია ვეკუა, როცა აფხაზეთში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტია მოსაგვარებელი. რა დიდ როლს შეასრულებდა ის ამ პროცესში, დღეს ცოცხალი რომ იყოს!

არაერთხელ უთქვამს ილია ვეკუას: მე ილია მამაჩემმა დიდი ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად დამარქვაო. მან გაამართლა არა მარტო მამის, არამედ ერის იმედებიც. მას ღირსეულად ერქვა ილია.

ამ დღეებში მუშაობას შეუდგება მათემატიკოსთა დიდი საერთაშორისო ფორუმი დიფერენციული განტოლებებისა და მათემატიკური ფიზიკის პრობლემებზე, რომელსაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი უდგანან სათავეში და უძღვნიან დიდი მეცნიერის ილია ვეკუას სახელოვან იუბილეს. სიმპოზიუმს გულთბილად მივესალმები და წარმატებებს ვუსურვებ მუშაობაში.

ილია ვეკუა უკვდავია ერის ხსოვნაში. ის ქართველი ხალხის საამაყო შვილია.

ედუარდ შევარდნაძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

# დედაქალაქის განსაკუთრებულ ფუნქციას რეალური საქმეებით უნდა შეესხას ხორცი

ედუარდ შევარდნაძემ გაიზიარა ფინანსთა მინისტრის მიხეილ ჭკუასელის, სხვა ორატორთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დედაქალაქს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან. ეს ასეა მთელ მსოფლიოში. რით უნდა გამოიხატოს ეს — დაფინანსებით თუ სხვაგვარი მხარდაჭერით? პასუხი ამ კითხვაზე დაიბადება მაშინ, როცა შეიცვლება თვით დამოკიდებულება დედაქალაქისადმი და უფრო საგრძნობი გახდება დახმარება ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უკვე მომზადებულია კანონი თბილისის შესახებ, იგი არ არის ურიგო და პარლამენტში შეტანის შემდეგ, მასზე მუშაობა, ალბათ, მოკლე ვადაში დასრულდება. დღევანდელ სხდომას და კანონის მიღებას უნდა მოჰყვეს პრეზიდენტის ბრძანებულება მისი შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. საჭიროა იმის გარანტია, რომ დედაქალაქში შექმნილი მონაპოვრის დიდი ნაწილი დარჩეს თბილისშივე, მის მცხოვრებთა საკეთილდღეოდ. ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნია, რომ ეს იქნება 2000 წლამდე პერიოდისათვის გათვლილი პროგრამა, რომელიც დაკონკრეტებული იქნება საპრეზიდენტო პროგრამისა და კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. დოკუმენტში უნდა აისახოს აგრეთვე ყოველივე ის, რაც ითქვა ამ სხდომაზე. დედაქალაქს აქვს განსაკუთრებული ფუნქცია და საქართველო მეტ-ნაკლები წარმატებით თუ ახერხებს სახელმწიფო მშენებლობის პრობლემის გადაჭრას, უწინარეს ყოვლისა, ეს დედაქალაქის თითოეული მცხოვრების დამსახურებაა. ამასთან, პრეზიდენტმა დამსწრეთ შეახსენა, რომ როცა იყო კრიტიკული მომენტები ქვეყნის ცხოვრებაში, დედაქალაქმა შეუძლებელი შეძლო სტაბილურობის მიღწევისათვის. თბილისი ყოველთვის იდგა და ახლაც დგას სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე. დედაქალაქმა თავისი სიტყვა უნდა თქვას და უნდა მოითხოვოს, რომ ყველამ იცხოვროს იმ კანონებისა და კონსტიტუციის შესაბამისად, რომლებიც ჩვენ ყველამ ერთად შევიმუშავეთ და მივიღეთ. დედაქალაქი არის იმის გარანტია, რომ შეუქცევადი იქნება ჩვენი ქვეყნის მშენებლობის აქტიური პროცესი. მოკლე დროის განმავლობაში ჩვენ მივაღწევთ იმ სანუკვარ მიზანს, როცა საქართველო ერთიანი და ძლიერი იქნება.

ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი საიმისოდ, რომ დედაქალაქი ნამდვილ პოლიტიკურ ცენტრად იქცეს, რაც, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ აქ მდებარეობს პრეზიდენტის რეზიდენცია. სხვათაშორის, ედუარდ შევარდნაძემ კვლავ უარყო მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, თითქოს ვინმე აპირებდეს

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ამ რეზიდენციის გადატანას მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის შენობაში. მანამ, სანამ ეს ჩემზე იქნება დამოკიდებული, თქვა მან, ბოლო უნდა მოეღოს ლაპარაკს ამის თაობაზე. როცა ვახსენე პოლიტიკური ცენტრი, აღნიშნა მან, ვგულისხმობდი იმას, რომ დედაქალაქი არის ლაბორატორია პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. აქ მოქმედებს ყველა პოლიტიკური პარტია, რომლებიც წარმოადგენენ როგორც პოზიციას, ისე ოპოზიციას. და მათ შორის ურთიერთობის ფორმირება არის კიდეც პოლიტიკური კულტურა. საქართველო პოლიტიკური კულტურის იმ კანონებით იცხოვრებს, რომლებიც დამკვიდრდება თბილისში. ამჟამად პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. ეს, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, სერიოზული პროექტია და ჩვენ ყველამ დიდხანს ვიმუშავეთ მასზე. შორი არ არის ის დღე, როცა გაიმართება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები, რომლებისთვისაც დედაქალაქი განსაკუთრებით უნდა მოემზადოს. ჩვენ გვაქვს იმისი მწარე გამოცდილება, თუ რას ნიშნავს შემთხვევითი ადამიანების არჩევა, ეს რომ არ მოხდეს, თბილისელებმა საჭიროა მაგალითი უჩვენონ სხვებს.

ედუარდ შევარდნაძე ფიქრობს, რომ დედაქალაქი ქვეყნის ყველა რეგიონთან ორგანულად დაკავშირების კარგი მაგალითიც უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით თბილისელებს უზარმაზარი რეზერვები აქვთ. ჯერ ერთი, საიმისოდ, რომ მოახდინონ გავლენა, და მეორეც, რომ თბილისმა მიიღოს ის, რაც მას სჭირდება. აი, უკვე სამი წელია ლაპარაკობენ იმაზე, რომ რეგიონებს ჰქონდეთ თბილისში თავიანთი მაღაზიები, თავიანთი კუთხე, სადაც ჩამოიტანენ პროდუქტს, რომლის გასაღება მათთვის პრობლემაა და რომელიც ასე სჭირდება თბილისის მოსახლეობას. პრეზიდენტმა გამოთქვა საყვედური იმის თაობაზე, რომ ამ ბოლო დრომდე დედაქალაქს ჯერ კიდევ ცოტა რამ ჰქონდა გაკეთებული ამ მიმართულებით. არ არის საკმარისი, რომ რაღაც კუთხე გამოუყოს მესხეთ-ჯავახეთს. თუ ვინმე სერიოზულად ფიქრობს ამ რეგიონის პრობლემებზე, მან იგი ეკონომიკურად უნდა დაუკავშიროს დედაქალაქს, აგრეთვე სხვა რეგიონებს, მაგრამ პირველ რიგში — მაინც, დედაქალაქს. ჯავახეთისათვის, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებისათვის ყველაზე მწვავე პრობლემაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანა და რეალიზაცია. ედუარდ შევარდნაძეს მიუტევებელ შეცდომად მიაჩნია ის რომ გვაქვს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, რომლის შემოტანა შესაძლებელია, ჩვენ კი მას არ ვიყენებთ. შევძელით აღგვედგინა მატარებლის მოძრაობა თბილისსა და ახალქალაქს შორის, მაგრამ ამით თითქმის არავინ არ სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობის გარდა. ამ საქმის ორგანიზება ქალაქის ხელმძღვანელობამ უნდა იკისროს. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ რეგიონში სტაბილურობის მიღწევის ყველაზე მოკლე გზა სწორედ ეს არის. სხვათაშორის, სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა თავის დროზე თქვა, რომ ჯავახეთის მოსახლეობას აწუხებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის პრობლემა და მისი გადაჭრის შემდეგ იქ არავითარი სირთულე არ იქნება. ეს, როგორც პრეზიდენტმა თქვა, მეტნაკლებად ყველა რეგიონს ეხება. მაგალითად, სამეგრელოს მცხოვრებლებისათვის დიდი პრობლემაა ჩამოიტანონ დედაქალაქში ის, რასაც აწარმოებენ. სულ ორი-სამი წლის წინათ იქ, ისევე როგორც გურიაში, იმერეთში, სხვა რეგიონებში ძნელი იყო გენახათ მინდვრად მომუშავე ადამიანი. დღეს კი ყველა შრომობს, მოჰყავთ სიმინდი, ჩაი, უვლიან პირუტყვს. სხვათა შორის, საღეისოდ პირუტყვის სულადობა, მისი პროდუქტიულობა უკვე აღემატება იმ პერიოდს, როცა საზოგადოებრივი მეურნეობები მოქმედებდა. გლეხი დაკარგავს ინტერესს თავისი საქმისადმი, თუ ვერ შესძლებს თავისი შრომის ნაყოფის რეალიზებას. მაგალითად, კახეთში მიმდინარე წელს მარცვლეულის, ყურძნის არნახულ მოსავალს მოელიან. ყოველივე ეს თბილისშიც უნდა გაიყიდოს. ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხები უნდა შეიტანონ ბრძანებულებაში, რომელსაც იგი ამზადებს, უნდა გვახსოვდეს, თქვა პრეზიდენტმა, რომ საბაზრო ეკონომიკა ვერ განვითარდება სოფელს აქტიურად თუ არ დავეხმარეთ. აქ საჭიროა იმასაც ჩავუფიქრდეთ, რომ თბილისში წარმოებული საქონელი ჩავიტანოთ რეგიონებში სოფლის მცხოვრებთა საჭიროებისათვის. სამინაო ბაზრის ათვისებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

და საერთოდ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ საჭიროა ვიზრუნოთ არა მარტო ევროპის ბაზრებზე დამკვიდრებისათვის, არამედ სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის ბაზრების ათვისებისთვისაც, სადაც საქართველოში წარმოებული პროდუქცია დიდი მოთხოვნით სარგებლობს. საჭიროა აგრეთვე მოვიკიდოთ ფეხი ცენტრალური აზიის — ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის ბაზარზეც, რაც რა თქმა უნდა, შეუწყობს ხელს ჩვენი ეკონომიკისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. მრეწველობის განვითარებისათვის ყველაზე დიდი სტიმული სწორედ ბაზრის არსებობაა.

ამ ბოლო დროს, აღნიშნა პრეზიდენტმა, ჩვენ ბევრს ელაპარაკობთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ დედაქალაქში იყოს არა მარტო ლაპარაკი ამის თაობაზე, არამედ კონკრეტული საქმეებიც. კარგად მაქვს შეგნებული, თქვა მან, რომ წელში უნდა გავტეხოთ ეს ბოროტება. მოსახლეობამ უნდა შეიგნოს თუ რატომ არის ეს საჭირო, რატომ შეესაბამება ეს მის ინტერესებს. თვით მეწარმემ კი უნდა გაიზიაროს, თუ რატომ უნდა გახდეს იგი ჩვენი მოკავშირე. მხოლოდ ასეთ პირობებში შევძლებთ გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნისათვის დამახასიათებელი ამ საშინელი სენის დამარცხებას. ვფიქრობ, რომ მარტო მინისტრის ან სხვა ხელმძღვანელის თანამდებობიდან მოხსნით საქმე წინ ვერ წაიწევს. მთავარია შევქმნათ ისეთი სისტემა, როცა შეირჩევიან სახელმწიფო ინტერესების გამომხატველი ადამიანები. ამ საქმეში დედაქალაქს ბევრის გაკეთება შეუძლია. უწინარეს ყოვლისა, თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა შეიგნოს თუ რა არის ბიუჯეტი, რათა ერთი თეთრიც არ დაიკარგოს. ასეთი უნდა გახდეს სახელმწიფოებრივი მიდგომა. ჩვენ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, რა თქმა უნდა არ ვაპირებთ მასობრივი რეპრესიების დაწყებას, მაგრამ არის სერიოზული პრეტენზიები ყოფილი პრემიერების, ვიცე-პრემიერების, მინისტრებისა და სხვა თანამდებობის პირებისადმი. მე იმის მომხრე ვარ, რომ ყველაფერში გავერკვეთ მშვიდად და ადამიანები არ მოვაწყვიტოთ ოჯახებს უსაფუძვლოდ, ან იმ შეცდომისათვის, რომლის დაშვებაც აიძულა იგი იმჟამინდელმა გარემოებამ. ამავე დროს, ჩვენთან ახლა შექმნილია საფუძველი საიმისოდ, რომ დაეიწყოთ აქტიური ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. თუ გვსურს უფრო თამამად მოვიზიდოთ უცხოური ინვესტიციები, მათ გარეშე კი ვერ შევძლებთ მალე მოღონიერებას, ასეთი კორუფციის პირობებში ინვესტორები ჩვენთან დიდი ხალისით ვერ იმუშავებენ. საქართველომ უნდა დაიმკვიდროს ისეთი ქვეყნის ავტორიტეტი, რომ ინვესტორმა შეძლოს პატიოსანი გზით დაიწყოს საქმიანობა, თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც სარგებლობა მოუტანოს. მაგალითის სახით პრეზიდენტმა მოიყვანა მინერალური წყლის „ბორჯომის“ ირგვლივ შექმნილი ვითარება, რომლის წარმოებაშიც მრავალმა ინვესტორმა დაბანდა სახსრები. ედუარდ შევარდნაძემ მოიწონა სხდომაზე გამოთქმული წინადადებანი, რომლებიც ეხება სამრეწველო საწარმოებში სახელმწიფოს კუთვნილ წილს. მან გამოთქვა მზადყოფნა გადასცეს ეს წილი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განკარგულებაში, რათა მათ აამოქმედონ ეს ობიექტები და მიიღონ შემოსავალი. შეეხო რა რეზერვებს, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქი არის არა მარტო აქ მომუშავე პარლამენტი, არამედ მეცნიერება და კულტურაც. მაგრამ ამჟამად ვერავითარი ცენტრი ვერ იმოქმედებს მორალური და ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. საჭიროა არა თუ დავკარგოთ, არამედ კიდევ უფრო განვამტკიცოთ ის ავტორიტეტი, რომელსაც ეწოდება ინტელექტუალური ქვეყნის, ინტელექტუალური ხალხის რეპუტაცია, ქალაქს უნდა ჰქონდეს საკუთარი რესურსები, რათა ფინანსურად დაეხმაროს მეცნიერებას, კულტურას, მისცეს სტიმული მათ განვითარებას. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ თბილისისათვის პრობლემა არ უნდა იყოს მეტროპოლიტენის განვითარებაც. თუ ყველა რეზერვს ავამოქმედებთ მაშინ შეიძლება განვსაზღვროთ მშენებლობის დასრულების ვადებიც. თბილისს შეუძლია გახდეს საერთაშორისო ცენტრი. სხვათა შორის, ჩვენთან ჩამოსულ უცხოელებს ხშირად უთქვამთ, რომ ჩვენი დედაქალაქი სწორედ საამისოდაა შექმნილი. მოძრაობა მშვიდობიანი კავკასიისათვის ასევე აქტუალურს ხდის ამ საკითხს. საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებმა ყველა ჩვენმა თანამემამულემ უნდა იამაყოს თბილისით. ამაში ჩვენი საზღვარგარეთელი პარტნიორებიც გვეხმარებიან, რომლებიც გამოყოფენ დიდ სახსრებს, მაგალითად, ენერგეტიკული სისტემის რეაბილიტაციისათვის.

ამჟამად, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, თბილისში მრავალი გაზეთი გამოდის, მათი უმრავლესობის წაკითხვისას, ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, თითქოს საქართველოში სულ სამასი კაცი ცხოვრობდეს, რომლებსაც ერთმანეთის მტრობის მეტი საქმე არ ჰქონდეთ. სინამდვილეში კი სულ სხვა სურათია. საინფორმაციო შიმშილი რომ დავძლიოთ, საჭიროა არსებული გამოცემების ბაზაზე სოლიდური გაზეთი შევქმნათ, რომელსაც ექნება კავშირი ქალაქის მოსახლეობასთან, მიაწვდის მას ინფორმაციას ყოველივე იმის შესახებ, რაც ხდება. შერიგებისათვის მოვუწოდებ ყველას და აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან თბილისელებმაც. ყველა უნდა დარწმუნდეს, რომ ჩვენ გულწრფელად გვსურს შერიგება, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

დასასრულ, შეეხო რა გამოუყენებელ შესაძლებლობებს, პრეზიდენტმა ასეთი ფაქტები მოიყვანა: თბილისში რეგისტრირებულია გადასახადების 30 ათასი გადამხდელი, მარტო მიმდინარე წელს აღრიცხვაზეა აყვანილი 5 000 იურიდიული პირი. ეს ნიშნავს, რომ ქალაქს აქვს ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების უდიდესი შესაძლებლობა. არსებული რეზერვების ამოქმედებით, დედაქალაქი დამატებით 10 მილიონ ლარს მიიღებს. ქალაქში მოქმედებს 20-ზე მეტი ბაზარი, სადაც ყოველდღიურად 15 ათასი კაცი ვაჭრობს. ამავე დროს კი, ამ ბაზრებისაგან შემოსულობა სულ 900 ათას ლარს შეადგენს. 250 რესტორანი, მაღაზია, ფირმა, სადაც ბრუნვა ასი ათასობით ლარია, ბიუჯეტში სულ 340 ათას ლარს რიცხავს. ქალაქში მოქმედი 200-ზე მეტი ბენზინის გასამართი სადგური 200 ათას ტონაზე მეტ ბენზინს ჰყიდის. შემოსავალი 50 მილიონ ლარს უნდა შეადგენდეს, ფაქტობრივად კი მხოლოდ 7 მილიონია აღნიშნული. ყოველივე ეს, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, უდიდესი რეზერვებია და მაქსიმალური ძალისხმევა გვმართებს საიმისოდ, რომ ისინი გამოვიყენოთ ქალაქის, მისი მოსახლეობის ინტერესებისათვის.

ედუარდ ეღიბერიძე,
თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის კორ.

საზოგადოება

# დროა, ეს პოლიტიკური სპექტაკლიც დამთავრდეს

ამ და სხვა გარემოებათა გამო მოგმართავთ, ბატონო პრეზიდენტო. დღეს ეს ყველაფერი დამღუპველია საქართველოსათვის. დღეს ქვეყანას, როგორც თქვენ ბრძანებთ ერთად დგომა, ერთ მუშტად შეკვრა გადაარჩენს.

თითქოს გუშინ იყო: რესპუბლიკა ქაოსმა მოიცვა. ალვირახსნილი კრიმინალური ბანდები თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ ოჯახებს, ადამიანებს, საწარმო-დაწესებულებებს, ორგანიზაციებს. მათ დაუსჯელ თარეშს მოსდევდა ადამიანთა მსხვერპლი, რესპუბლიკამ, ხალხმა უდიდესი სულიერი და მატერიალური ზარალი განიცადეს. ძალოვანი სტრუქტურები უძლურნი იყვნენ რაიმე დაეპირისპირებინათ უხეში, ბნელი ძალებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო, მისი მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომელიც ვალდებული იყო დაეცვა ხალხი ბანდიტთა მასირებული შეტევებისაგან, თავად გახდა დასაცავი, უმწეო და სხვისი ხელის შემყურე.

და მაშინ, იმ ძნელბედობის ჟამს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში მოვიდა თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, ჭეშმარიტი პროფესიონალი, ხალხისა და ხელისუფლების ერთგული ბატონი შოთა კვირაია. ეს იყო შემობრუნების მომენტი არა მარტო სამინისტროს, მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. დიდი პრაქტიკული გამოცდილების, შინაგანი ერუდიციის, პროფესიული ნიჭის წყალობით შოთა კვირაიამ მოკლე დროში შეუძლებელი შეძლო: ფეხზე დადგა და პრაქტიკულად ხელახლა ჩამოყალიბდა პოლიცია, განმტკიცდა სტრუქტურები, ქვედანაყოფები შეივსო პროფესიული კადრებით. მასშტაბურმა, მიზნობრივმა ღონისძიებებმა, რომელთაც უშუალოდ მეთაურობდა შინაგან საქმეთა მინისტრი, ხელ-ფეხი შეუკრა ბანდიტებს, ალაგმა მათი თარეში, გაქრა დაუსჯელობის სინდრომი, დაიჩოქა კრიმინალურმა სამყარომ. ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, ქუჩაში მშვიდად გამოვიდა ადამიანი, გაქრა მუდმივი ძრწოლა და შიში...

თითქოს გუშინ იყო: უშიშროების სამსახური, რომელსაც მაშინ გიორგაძე edga სათავეში და, რომელიც ვალდებული იყო დაეცვა ქვეყნისა და ხალხის, ხელისუფლების უშიშროება, თავად მოევლინა საშიშროებად ჩვენს სახელმწიფოს. მძვინვარებდა ტერორი, რომელმაც მრავალი გამოჩენილი ადამიანი იმსხვერპლა, საფრთხე შეუქმნა თვით პრეზიდენტის სიცოცხლესაც.

და მაშინ, ახალ პოლიტიკურ სისტემაზე დაფუძნებული და ახალფეხადგმული ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ჟამს, სახელმწიფო უშიშროების მინისტრად დაინიშნა კაცი, რომელმაც თავისი საქმიანობით უკვე დაამტკიცა ხელმძღვანელობისა და მართვის უდიდესი უნარი და ხალხისა და ხელისუფლებისადმი ერთგულება და თავდადება. ეს ბატონი შოთა კვირაიაა. მისი გონიერული ხელმძღვანელობით უშიშროების სამინისტრო გადაიქცა იმ უმნიშვნელოვანეს, გადამწყვეტ ძალად, რომელმაც შეძლო და შეუძლია წინ აღუდგეს ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ ძირგამომთხრელ საქმიანობას, დაიცვას სახელმწიფო უშიშროება, მისი ერთიანობა და მთლიანობა, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე.

მაგრამ, როგორ ჩანს, საქართველოში მიღწეული სტაბილიზაცია, ცხოვრების აღმავალი რიტმი, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზა ხელს არ აძლევთ პოლიტიკურ და სახელმწიფო სარბიელზე ხელმოცარულ ადამიანებს, ყალბი პოპულარობის მოყვარულ პოლიტიკოსებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბატონ შოთა კვირაიას წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რასაც უდიდესი მონდომებითა და ენთუზიაზმით ეწევიან, გამიზნულია ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ: ახალი დესტაბილიზაციისა და ქაოსის შესაქმნელად. ეს არის გამიზნული პოლიტიკური თამაში, — შეულახონ ავტორიტეტი ბატონ შოთა კვირაიასა და მთელ სამინისტროს, შექმნან საზოგადოებრივი აზრი.

საზღვარგარეთის დრამატურგიაში, ერთ პერიოდში, იყო ასეთი მიმართულება: ჟამი გაუთავებელი მოლოდინისა. სპექტაკლის მთელი მსვლელობის მანძილზე ისმოდა სიტყვები: „ის მოდის, ის მალე მოვა“... და მთელი სპექტაკლი ისე მთავრდებოდა, რომ არავინ არ მოდიოდა... სპექტაკლი კი მაინც მთავრდებოდა...

ბატონო პრეზიდენტო, დროა, ეს პოლიტიკური სპექტაკლიც დამთავრდეს!

ჭაბუა ამირეჯიბი, მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
ვალერი ასათიანი, კულტურის მინისტრი,
რევაზ ამაშუკელი, პოეტი,
კახი ასათიანი, სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე,
ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი,
ნანი ბრეგვაძე, საქართველოს სახალხო არტისტი,
ნატალია ბურმისტროვა, სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე,
კოტე მახარაძე, საქართველოს სახალხო არტისტი,
სოფიკო ჭიაურელი, საქართველოს სახალხო არტისტი,
ნოდარ მგალობლიშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი,
გურანდა გაბუნია, საქართველოს სახალხო არტისტი,
არჩილ სულაკაური, მწერალი, ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
შოთა ნიშნიანიძე, პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
გურამ ფანჯიკიძე, მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
რამაზ ხუროძე, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი,
ნაპოლეონ ქარქაშაძე, აკადემიკოსი, აგრარული უნივერსიტეტის რექტორი,
რამაზ ჩხიკვაძე, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
ვახტანგ სართანია, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი,
ნ. გრიგორიანი, დირექტორი (სომხური თეატრის კოლექტივის სახელით),
გ. ბაქსაძე, გენერალური დირექტორი (გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით),
გიორგი ქავთარაძე, გრიბოედოვის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი,
მერაბ ჟორდანია, პრეზიდენტი (თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა სახელით),
დავით ყიფიანი, საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი,
ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
ირაკლი ჭუმბურიძე, კარდიოლოგი, აკადემიკოსი.

**მე შოთა კვირაია ვიცი, როგორც პიროვნება, რომელიც შეება კრიმინალურ სამყაროს და დააჩოქა კიდეც. ამიტომ ვთვლი კაცად, რომელსაც თავისი ქვეყანა უყვარს.**

**მერაბ ბერძენიშვილი.**

**ჯემალ ჩახავა**

## რატომ?!

შოთა კვირაიას

ცხოვრება მაინც ყოველ დროში
თავის გზით მიდის,
არდაფასება შენი ღვაწლის
ცოდვაა დიდი.
წამოგეწია შარაგზაზე,
ძმაო, ცუდი ხმა...
დაჭრილ გულისთვის იქნებ მავანს
აღარ უნდიხარ?..
ოდეს უჭირდა შენს ქვეყანას,
ედექი ბურჯად,
ჰეი, ქართველნო, სთქვით სიმართლე,
რამ დაგამუნჯათ?
უძილო დღეებს, თვეებს და წლებს
გიყრიან წყალში,
რადგან კანონი სიცრუისთვის
არავის არ სჯის.
თქვით, რომელიმე, უზრუნველად
შინ ვისაც სძინავს,
გაგიბედავდა ამგვარ რამეს
ცოტა ხნის წინათ?
მაშინ, როდესაც ჩვენ სხვათაგან
გვერჩევა ფუძე,
შვილს უერთგულესს რატომ ვაქცევთ
იუდად უცებ?!

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

პოლემიკა

# მართლაც ღმერთმა განსაჯოს...

როცა ერთი ოპოზიციონერი დეპუტატი მეორე ასეთივე დეპუტატს სერიოზულ ბრალდებას უყენებს, მაშინ ამ უკანასკნელმა დადგენილი წესით უნდა გაარკვიოს საქმის ვითარება და არა პრეზიდენტისადმი მიმართული ისტერიული წერილებით. ძნელი არ უნდა იყოს ამ უკადრისი ქმედების ფარული მოტივის გაგება. როცა კაცს არ ჰყოფნის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის აუცილებელი გონებრივი და ზნეობრივი ძალები, ის ან ტოვებს პოლიტიკურ სარბიელს ან სკანდალური გამოსვლებით ცდილობს მიიქციოს საზოგადოებრიობის ყურადღება. სამწუხაროდ, დეპუტატმა თორნიკე ფიფიამ პირველი ვერ შეძლო, ხოლო მეორეში — დაოსტატდა. სხვა კვალიფიკაციას მის ქმედებებს ვერ ვაძლევთ.

თუ თემურ ფიფიას, როგორც სახელმწიფო მოხელისა და ფილოსოფოსის მსოფლმხედველობრივი პრინციპები და პრაქტიკული პოზიციები დაშორდა (რაც ლოგიკური იყო) თავისი ძმის პრინციპებს, ეს არავის უნდა აძლევდეს იმის უფლებას, რომ მისი (თემურ ფიფიას) მთავარი არჩევანი და, შესაბამისად, მთელი გავლილი გზა შეცდომად გამოაცხადოს. ღმერთი განსჯის, ვინ არის ჩვენს შორის მართალიო, — წერს დეპუტატი. იქნებ ჯობდა უფლის სამსჯავროზე განსახილველი საკითხები პრესის ფურცლებზე არ გამოგვეტანა.

„თემურის გზა“ რომ სწორი იყო, ამას ადასტურებს მისი თეორიული შრომები და პრაქტიკული საქმეები. ვინ და ვინ და თორნიკე ფიფიამ კარგად უნდა უწყოდეს, თუ რა ჯოჯოხეთური შრომის ფასი დაუჯდა ბატონ თემურს იმ სამსახურის ჩამოყალიბება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყანაში სტაბილური ვითარების შექმნის, ახალი სამოქალაქო წესრიგის დამკვიდრების საქმეში. ბატონი თემური თავისი ბუნებით სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და, სხვებისაგან განსხვავებით, აღმშენებლობითი მუხტის მატარებელი კაცი იყო. „თავისი ღრმა ერუდიციით, ფართო, მასშტაბური აზროვნებით, ერთგულებით და თავდადებით, იგი მართლაც გამორჩეული იყო ქართული სახელმწიფოს მშენებელთა მრავალრიცხოვან არმიაში“ (ე. შევარდნაძე). ჯერ შეძლონ იმის გაკეთება, რაც ბატონმა თემურმა გააკეთა ქვეყნისათვის და შემდეგ განსაჯონ. გონიერი განსჯა კი ვერასოდეს გაამართლებს ადამიანური და პოლიტიკური უმწიფრობით ნასაზრდოებ ფსევდო-პატრიოტულ ინტერვიუებსა და ღია წერილებს, რომლებსაც ზოგჯერ „ისტორიის სანაგვიდან“ უგზავნიან ხოლმე საქართველოს პრეზიდენტს.

საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახური

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

# საქართველოს კანონი
# სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ საფუძვლებს, პრივატიზების განხორციელების ძირითად პირობებს და უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის პროცესს. კანონის მიზანია უზრუნველყოს ისეთი საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.

## თავი I
### ზოგადი დებულებები

მუხლი 1
კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ა) „სახელმწიფო ქონება" – საწარმოები, ამ საწარმოთა ქვედანაყოფები, რომელთა გამოყოფა შეიძლება დამოუკიდებელ საწარმოებად; ლიკვიდირებას დაქვემდებარებული ან უკვე ლიკვიდირებული საწარმოების ან მათი ქვედანაყოფების შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები, სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივები; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები, წილი;
ბ) „პრივატიზება" – ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა, რის შედეგად სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ხოლო სახელმწიფო ორგანოები – მისი მართვის უფლებებს.

მუხლი 2
საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ

1. საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე. ეს კანონი არ აწესრიგებს მიწისა და სახელმწიფო საბინაო ფონდების პრივატიზების საკითხს.
2. სახელმწიფო ქონების მყიდველი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (გარდამავალ პერიოდში – მმართველობის ადგილობრივი ორგანოს) მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

მუხლი 3
სახელმწიფო ქონების პრივატიზების განხორციელების და მართვის ორგანო

1. სახელმწიფო ქონების მართვასა და პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.
2. ავტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი დასახელების ორგანოები, ხოლო რაიონებში და ქალაქებში – მისი შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები.
3. საქართველოში პრივატიზების ერთიანი პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად სამინისტრო:
ა) არის სახელმწიფოსაგან უფლებამოსილი სახელმწიფო ქონების მესაკუთრე, რომელიც ფლობს, განკარგავს და მართავს სახელმწიფო ქონებას;
ბ) აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის პროექტს ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, მათი თავისებურებების გათვალისწინებით, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში მასში შესატან ცვლილებებს და დამატებებს;
გ) მეთოდურად და ორგანიზაციულად ხელმძღვანელობს და აკონტროლებს პრივატიზების პროცესს სახელმწიფოში, გამოავლენს ამ სფეროში კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებსა და ფაქტებს, იღებს ზომებს მათ აღმოსაფხვრელად;
4. სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზებისას სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და მის ტერიტორიულ ორგანოებს შეუძლიათ იმოქმედონ თავიანთი წარმომადგენლების (რწმუნებული პირების) ან შუამავლების მეშვეობით.
5. სახელმწიფო საკუთრების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას ამტკიცებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან, სხვა შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმების საფუძველზე. სახელმწიფო მუნიციპალური დაქვემდებარების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ამტკიცებს შესაბამისი მმართველობის ადგილობრივი ორგანო.
6. სახელმწიფო ქონების პრივატიზებას ახორციელებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, სახელმწიფო მუნიციპალური დაქვემდებარების ქონებისა – მისი ტერიტორიული ორგანო. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ სახელმწიფო საკუთრების ქონების (აქციების გარდა) პრივატიზების უფლება შესაძლებელია გადასცეს თავის ტერიტორიულ ორგანოს.
7. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლება გადაიცემა მხოლოდ კონკურსის ფორმით.

მუხლი 4
სახელმწიფო ქონება, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება

სახელმწიფო ქონებიდან პრივატიზებას არ ექვემდებარება:
ა) წიაღისეული, წყლის რესურსები, ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შელფი, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და სასაზღვრო ზონა, ტყის ფონდი, საჰაერო სივრცე, დაცული ან განსაკუთრებული წესით გამოსაყენებელი ბუნებრივი ტერიტორიები;
ბ) დადგენილი წესით დამტკიცებული ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტები, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სახელმწიფო არქივები, კინო-ფოტო და ფონო დოკუმენტების სახელმწიფო ფონდი, სახელმწიფო მუზეუმები, თეატრები, საქართველოს სამინისტროების (უწყებების) სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არქივები და ფონდები;
გ) სამობილიზაციო მარაგი, სახელმწიფო რეზერვი, ძვირფასი ლითონების მარაგი;
დ) ელექტროენერგეტიკული სექტორის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის სამსახურები;
ე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ფუნდამენტური მეცნიერების დაწესებულებები, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები და მათდამი დაქვემდებარებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს;
ვ) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურების ნავმისადგომები, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, შუქურები, შუქნიშნები და აკვატორია;
ზ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა, გაზის მაგისტრალური მილსადენი, საავტომობილო გზები (პარალელური სახელმწიფო გზის არარსებობისას), თვითმფრინავების ფრენის მართვის სისტემები და ასაფრენ-დასაფრენი ზოლები;
თ) უშიშროების, შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, სასამართლოს სისტემის საშტატო და სარეზერვო ქონება;
ი) სიხშირეთა სპექტრი, სახელმწიფო საფოსტო კავშირის, რადიოსატელევიზიო მაუწყებლობის, საქალაქთაშორისო-საერთაშორისო სატელეფონო კავშირის, სამთავრობო კავშირის საშუალებები და საქართველოს პოზიცია გეოსტაციონალურ ორბიტაზე;
კ) საწარმოები, რომლებიც ამზადებენ რადიაქტიურ და სამხედრო დანიშნულების მასალებს, მათი საცდელ-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო დაწესებულებების ქონება;
ლ) სახელმწიფო სასაფლაოები და პანთეონები;
მ) სახელმწიფო წყალსადენის და საკანალიზაციო მეურნეობის ერთიანი სისტემა;
ნ) დადგენილი წესით დამტკიცებულ ნუსხაში შემავალი სასიცოცხლო მნიშვნელობის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები;
ო) სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციული შენობები.

მუხლი 5
მუშაკთა სოციალური გარანტია და შეღავათი

1. საწარმოს მუშაკთა ინტერესების დაცვის მიზნით, პრივატიზების შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ (პრივატიზების ინიციატორის მიუხედავად), მყიდველის მიერ საკუთრების უფლების შეძენამდე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, იკრძალება:
ა) საწარმოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) საწარმოს საშტატო განრიგის ცვლილება და მუშაკთა რაოდენობის შემცირება ან გაზრდა;
გ) ძირითადი ფონდების გაყიდვა ან გაცვლა, ქირით ან იჯარით გაცემა, გირაოში ჩადება, მათ გამოყენებაზე ადრე დადებული რაიმე ხელშეკრულების მოქმედების შეცვლა ან შეწყვეტა.
2. საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტისათვის მუშაკებს უსასყიდლოდ ერთდროულად გადაეცემათ მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტამდე აქციები, მაგრამ არა უმეტეს საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობისა, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით. აღნიშნული შეღავათი ეხებათ:
ა) იმ მუშაკებს, რომლებისთვისაც საწარმო წარმოადგენს ძირითად სამუშაო ადგილს;
ბ) იმ პირებს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ დაბრუნდნენ ამ საწარმოში;
გ) პენსიონერებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ ამ საწარმოდან არანაკლებ 5 წლის მუშაობის შემდეგ;
დ) იმ პირებს, რომლებიც ამ საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებამდე 1 წლით ადრე შეამცირეს და რეგისტრირებული არიან, როგორც უმუშევრები.
3. საწარმოს მყიდველი ვალდებულია საკუთრების უფლების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში, მუშაკებთან დადოს ხელშეკრულება, რომელშიც შეიტანება შრომის ორგანიზაციასთან, ანაზღაურებასა და დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები.
4. საწარმოს მყიდველის ინიციატივით გათავისუფლებული მუშაკების ერთდროული დახმარების ოდენობა და მათი შრომითი მოწყობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II
### პრივატიზების წესი და ფორმები

მუხლი 6
სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმები

1. პრივატიზება ხდება კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქონების შესყიდვით.
2. კონკურსის ფორმით გაყიდვის მიზანია ქონებაზე საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც გამყიდველს ყველაზე უკეთეს პირობებს შესთავაზებს.
3. აუქციონის ფორმით ქონების გაყიდვის მიზანია საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.
4. სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაყიდვის მიზანია გამოსყიდვამდე მატერიალური ფასეულობის ვადიანი და სასყიდლიანი მფლობელობა და სარგებლობა სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისათვის.
5. პირდაპირი ფორმით გაყიდვის მიზანია გასაყიდი ქონების თავისებურებებიდან გამომდინარე ინვესტიციების მოზიდვა წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის საფუძველზე.
6. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმების გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო, ხოლო პირდაპირი მიყიდვის საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.
7. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ცალკეული ფორმების დებულებას ამტკიცებს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7
საპრივატიზებო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესი

1. საპრივატიზებო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის წესს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.
2. სახელმწიფო ქონების კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების დროს ქონების გასაყიდი ფასი დგინდება საკონკურსო საწყისებზე.
3. შეძენილ ქონებაზე ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს ერთიანად ან განვადებით.
4. სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა საბოლოო თანხა უნდა დაფაროს არა უმეტეს 2 წლის ვადისა.
5. სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა საბოლოო თანხა უნდა დაფაროს არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადისა.
6. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა თანხა უნდა გადაიხადოს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 10 წლის ვადისა.
7. პირდაპირი ფორმით პრივატიზებისას მყიდველი თანხას იხდის ერთიანად, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადისა.
8. თუ არ მოხდა კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით ორჯერ გამოტანილი სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მისი საწყისი ფასი მცირდება 50 პროცენტით.

მუხლი 8
პრივატიზებიდან შემოსული თანხის განაწილება

1. სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან შემოსული თანხის გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებებია:
ა) მცირე ბიზნესში წარმოების განვითარების ღონისძიებათა დაფინანსება;
ბ) წარმოების სფეროში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ღონისძიებათა დაფინანსება;
გ) პრივატიზების ჩატარების ორგანიზაციული ხარჯების დაფინანსება;
დ) გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.
2. სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან შემოსული თანხის განაწილების თანაფარდობას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9
ინფორმაცია საპრივატიზებო ქონების შესახებ

1. კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის და პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში ან ადგილობრივ პრესაში (თუ პრივატიზებას ახდენს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო). ამასთან, შეიძლება ინფორმაციის სხვა საშუალებათა გამოყენებაც.
2. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის და პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების დათქმულ თარიღამდე სულ ცოტა ერთი თვით ადრე.
3. გამოქვეყნებულ ცნობებში შეიტანება, საპრივატიზებო ობიექტის მიერ დაკავებული მიწის ფართობი, მასზე განთავსებულ ნაგებობათა დახასიათება, მისამართი და ობიექტის გაყიდვის პირობები. საჭიროების შემთხვევაში მყიდველს მიეწოდება დამატებითი ინფორმაცია.

## თავი III
### გარიგებათა გაფორმების წესი

მუხლი 10
პრივატიზების შესახებ გარიგების გაფორმება

1. კონკურსით, აუქციონით და პირდაპირი მიყიდვით პრივატიზებისას მყიდველსა და გამყიდველს მორის ფორმდება სანოტარო წესით დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, იჯარა- გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებისას კი – საიჯარო ხელშეკრულება.
2. ხელშეკრულებაში შეიტანება: ცნობები გამყიდველისა და მყიდველის შესახებ, ქონების დასახელება, შემადგენლობა და ფასი, მხარეთა მისამართები, მყიდველის ვალდებულება პრივატიზებული ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ.
3. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი წესით პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ. საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა თანხის მთლიანად გადახდის დადასტურებიდან 2 თვის ვადაში.
4. სახელმწიფო ქონების მყიდველი ხდება შეძენილი ქონების სამართალმემკვიდრე. აქციების, წილის მყიდველის სამართალმემკვიდრეობა განისაზღვრება საწესდებო კაპიტალში მისი წილის პროპორციულად.

მუხლი 11
პრივატიზების შესახებ გარიგებათა ბათილობა

1. პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადაო და ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო.
2. პრივატიზების გარიგებათა ბათილად ცნობის უფლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.
3. პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადაო საკითხების განხილვის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი.
4. პრივატიზებული სახელმწიფო ქონების დოკუმენტაციის კანონიერებას ამოწმებს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატა კოორდინირებული წესით, სათანადო სპეციალისტების მონაწილეობით, სახელმწიფო ქონების მართვის ცენტრალურ და რეგიონალურ სტრუქტურებში. უშუალოდ პრივატიზებულ საწარმოში, ცალკეული საკითხების გადამოწმება შეიძლება გამონაკლის შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და მისი ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, გარდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესისა. ფიზიკური ან იურიდიული პირის ფინანსებთან – აქციები, წილი – დაკავშირებული ინფორმაციის გაცემა, თვით ამ პირის გარდა, შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

## თავი IV
### გარდამავალი დებულებები

მუხლი 12
კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით
მისაღები ნორმატიული აქტები

1. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს:
ა) პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის პროექტს ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით;
ბ) საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის წესს.
2. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი ამტკიცებს დებულებებს:
ა) სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ;
ბ) სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ;
გ) სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ;
დ) სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ;
ე) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემის შესახებ.
3. საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში მოამზადონ და საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინონ წინადადებები პრივატიზების პროცესში (1993 წლის 1 აპრილამდე) ანაბრების მფლობელთა მონაწილეობის მიზანშეწონილობისა და მექანიზმის თაობაზე.

## თავი V
### დასკვნითი დებულებები

მუხლი 13
კანონის ამოქმედება და გასაუქმებელი აქტების ნუსხა

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:
ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 აგვისტოს № 342-Iს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში" სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე" („საქართველოს რესპუბლიკის უზენესი საბჭოს უწყებები", 1991 წ., № 8, მუხ. 583);
ბ) საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის ... კანონი „საქართველოს რესპულიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" („საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები", 1991 წ., № 8, მუხ. 582);
გ) საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 6 აპრილის № 209-Iს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისათვის 1993 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების უფლების დელეგირების შესახებ" („საქართველოს პარლამენტის უწყებები", 1993 წ., № 6, მუხ. 84);
დ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 26 ნოემბრის № 238 ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ";
ე) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 11 აპრილის № 184 განკარგულება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესის სრულყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ";
ვ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 22 ივნისის № 120 განკარგულება „რესპუბლიკის რეგიონებში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის მართვის ზოგიერთი საკითხის შესახებ";
ზ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 26 აგვისტოს № 278 ბრძანებულება „დაუმთავრებელ მშენებლობათა პრივატიზების დამატებით ღონისძიებათა შესახებ";
თ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 17 იანვრის № 13 ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამაში 1995 წლისათვის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ";
ი) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 13 მარტის № 63 ბრძანებულება „მასობრივი პრივატიზაციის განხორციელების უზრუნველყოფის ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების შესახებ";
კ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 11 ივნისის № 228 ბრძანებულება „სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანია „საქნავთობპროდუქტების" შექმნის შესახებ";
ლ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 21 ივნისის № 88 განკარგულება „მასობრივი პრივატიზაციის სრულყოფისა და მასში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ";
მ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 21 ივნისის № 250 ბრძანებულება „ქუთაისში არასაცხოვრებელი ფართობების პრივატიზაციის დაჩქარებისა და უძრავი ქონების მართვის მოწესრიგების შესახებ";
ნ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 27 სექტემბრის № 209 განკარგულება „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესის შემდგომი დაჩქარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ";
ო) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 20 მაისის დეკრეტი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ";
პ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 5 მარტის № 268 დადგენილება „პრივატიზაციის პროცესის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ";
ჟ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 11 აგვისტოს № 829 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ";
რ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 21 სექტემბრის № 943 დადგენილება „სამინისტროებისა და უწყებებისათვის სახელმწიფო ქონების ფლობისა და სარგებლობის უფლებათა დელეგირების შესახებ;
ს) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის № 287 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის შემოღების შესახებ";
ტ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს № 628 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების საკოორდინაციო საბჭოს და ტერიტორიული კომისიების შექმნის შესახებ";
უ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 აგვისტოს № 634 დადგენილება „ჰოლდინგური კომპანიების (ჰოლდინგების) შექმნისა და საქმიანობის საფუძვლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე";
ფ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 10 ოქტომბრის № 725 დადგენილება „ქ. რუსთავში საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციების ბალანსზე რიცხულ შენობებში განთავსებული ობიექტების პრივატიზების პროცესის მოწესრიგების შესახებ";
ქ) საქართელოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 17 ნოემბრის № 809 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და ნაწილობრივ შეცვლის შესახებ";
ღ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 დეკემბრის № 916 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამაში 1995 წლისათვის ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";
ყ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 იანვრის № 14 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების ღონისძიებათა შესახებ";
შ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 იანვრის № 20 დადგენილება „სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემისას საიჯარო ქირის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ";
ჩ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 10 მარტის № 128 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საბინაო საექსპლოატაციო ორგანიზაციების ბალანსზე რიცხულ არასაცხოვრებელ ფართობებში განთავსებული ობიექტების პრივატიზების დაჩქარების შესახებ";
ძ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 10 მაისის № 248 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტ „საქგაზის" საწარმოებისა და ორგანიზაციების აქციონირებისა და პრივატიზაციის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ";
წ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 6 ივნისის № 329 დადგენილება „პრივატიზაციის სპეციალიზებული (საბარათო) საინვესტიციო ფონდების შესახებ";
3. ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის ა), ბ) და გ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დებულებების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 იანვრის № 42 დადგენილება „სახელმწიფო (მუნიციპალურ) საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების კონკურსით გაყიდვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 29 მაისის № 612 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფოთა საწარმოთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღებასთან დაკავშირებით დებულებათა დამტკიცების თაობაზე" და საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 20 სექტემბრის დადგენილება „სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., № 20, მუხ. 431).

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 1997 წლის 30 მაისი.

## საქართველოს კანონი
### „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
1. „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" საქართველოს 1996 წლის 29 მაისის კანონის (პარლამენტის უწყებანი, № 17, 1996 წ.) 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1.სპეციალური სახელმწიფო ფონდი წარმოადგენს ფინანსური რესურსების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება მიზნობრივი დანიშნულებით. საქართველოში არსებული დამოუკიდებელი სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლისა და გასავლის შედგენა, დამტკიცება და შესრულება ხდება საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტთან ერთად.
2. საქართველოში ფუნქციონირებენ შემდეგი სპეციალური სახელმწიფო ფონდები: საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, საქართველოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი და საქართველოს სახელმწიფო საგზაო ფონდი. ეს ფონდები მთლიანად კონსოლიდირებული არიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში".
II ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე**

თბილისი, 1997 წლის 28 მაისი.

## გაიმართა საინვესტიციო კონკურსი

სახელმწიფო ქონების მართვის თელავის რაიონულმა სამმართველომ 20 ივნისს თელავის რაიონის გამგეობის სააქტო დარბაზში მოაწყო სსგ წყალმშენის თელავის მრავალდარგოვანი ექსპერიმენტული ქარხნის მშენებარე ნაწილის საინვესტიციო კონკურსი.
ობიექტი მდებარეობს ქ. თელავში, აჩინებულის დასახლებაში. მიწის ფართობი – 1 ჰა.
თელავის მრავალდარგოვანი ექსპერიმენტული ქარხნის მშენებარე ნაწილის სასტარტო ფასია 293827 ამერიკული დოლარი, ინვესტიციის მთლიანი მოცულობა – 114 000 ამერიკული დოლარი.
საინვესტიციო კონკურსის პირობები:
1. ინვესტიციის მთლიანი მოცულობის დაბანდება 2 წლის განმაველობაში.
საინვესტიციო კონკურსი წარიმართა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 26 აგვისტოს №278 ბრძანებულების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ობიექტის ღირებულების ფასდაკლებას 50 პროცენტით. ამასთან, დარჩენილი თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 10 წლისა.
კონკურსის ჩატარების დღეს გამოცხადებული სასტარტო ფასი ამერიკულ დოლარებში განისაზღვრა ლარის შესაბამისი კურსით.
საინვესტიციო კონკურსი გაიმართა პრესაში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ერთ თვეში. განცხადებების მიღება შეწყდება 3 დღით ადრე.
განცხადების მიღება წარმოებდა ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: ქ. თელავი, კოსტავას ქ. №16 (რაიონის საკრებულოს შენობა), II სართული, ოთახი № 23, ტელეფონი 3-25-79; 3-31-05;
**სახელმწიფო ქონების მართვის თელავის რაიონული სამმართველო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ხმის მისაცემად მოვიდა. მაგრამ...

პაპუა-ახალი გვინეის ერთ-ერთი დაშორებული რაიონის მცხოვრები დანიშნულ დროს გამოცხადდა უბანში საპარლამენტო არჩევნების დღეს. მაგრამ რამდენ ხანს მოუწევს ლოდინი თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესასრულებლად, კაცმა არ იცის. ხმის მისაცემი ბიულეტენი ან არ არის მზად, ანდა დაბეჭდილია შეცდომებით, საბიულეტენე ყუთები გატეხილი გამოდგა, ბევრი პუნქტი კი საერთოდ ვანდალიზებულია. თუმცა, არჩევნები, რომლებიც წინა კვირას დაიწყო, ორ კვირას გაგრძელდება. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს მაინც დემოკრატია გაიმარჯვებს, თვით პაპუა-ახალ გვინეაშიც კი...

## დამრღვევთ ჯარიმა არ ასცდებათ!

დაუდევარ მძღოლთა პასუხისგებაში მიცემის ახალ წესებს შემოიღებენ მალე ევროპის კავშირის ტერიტორიაზე. დპა სააგენტოს ინფორმაციით, ამიერიდან ყველა მძღოლმა — ევროპის კავშირის თხუთმეტი ქვეყნის მცხოვრებლებმა უნდა გადაიხადონ ჯარიმა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის. მიუხედავად იმისა, თუ რა ქვეყანაში ჩაიდინეს სამართალდარღვევა. სააგენტო აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დრომდე საკმარისი იყო მძღოლი, რომელიც ერთ-ერთ ქვეყანაში ყოფნისას საგზაო მოძრაობის წესებს დაარღვევდა, გასულიყო მის ფარგლებს გარეთ, რომ ჯარიმა აღარ გადახდებოდა. სააგენტო აგრეთვე იუწყება, რომ ამჟამად უკვე დაიწყო საგზაო მოძრაობის წესების დარღვევათა მონაცემების ერთიანი ევროპული კომპიუტერული ბაზის შექმნა.

## დსთ: ანტისემიტიზმი აღმოიფხვრა, მაგრამ მთლიანად და ყველგან - არა

გერმანული გაზეთი „მედიენპაუსი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება ვაშინგტონში გამოქვეყნებულ მოხსენებას ყოფილ საბჭოეთში ანტისემიტიზმის შესახებ. სპეციალისტთა აზრით, რომლებმაც გამოკვლევა მოაწყვეს, სსრ კავშირის ყველა ყოფილ რესპუბლიკათაგან მხოლოდ უკრაინა შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოდ, რომელიც მთლიანად გათავისუფლდა ანტისემიტიზმისაგან და იცავს ადამიანის ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ექსპერტთა აზრით, დღესდღეობით ამ მხრივ ყველაზე უარესი მდგომარეობაა ბელორუსიაში, სადაც ოფიციალური პირნი უბრალოდ ვერ ამჩნევენ ამ პრობლემის არსებობას და თვალს არიდებენ ებრაელთა ჩაგვრისა და დისკრიმინაციის აღმაშფოთებელ შემთხვევებს. გაზეთს აგრეთვე მოჰყავს მოხსენების დებულებანი, რომელთა თანახმად, რუსეთში ებრაელთა მდგომარეობა დიდად არ სჯობს ბელორუსიისას, და გამოთქვამს აზრს, რომ ამდენად, რუსეთის ხელისუფალნი ვერ ჩაითვლებიან ცივილიზებულად ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში.

## კრიტოსზე მზე ათბობს და ანათებს კიდეც

საბერძნეთის კრიტოსის კუნძულზე აშენდება მსოფლიოში უდიდესი ელექტროსადგური, რომელიც მზის ენერგიით იმუშავებს. 50 მეგავატი სიმძლავრის სადგური ენერგიით მოამარაგებს კუნძულის 100 ათასზე მეტ საცხოვრებელ შენობას. დღესდღეობით ყველაზე დიდ ასეთ ელექტროსადგურად ითვლება იტალიისა, რომელიც სერაში აშენდა. მაგრამ მისი სიმძლავრე სულ 3,3 მეგავატია. კრიტოსის ელსადგური 2003 წელს ჩადგება მწყობრში. პროექტის ღირებულებაა 17,75 მილიონი დოლარი. მშენებლობას ნაწილობრივ დააფინანსებენ საბერძნეთის მთავრობა და ევროკავშირი. ამ პროექტის იდეა ორი წლის წინათ წამოაყენა ორგანიზაცია „გრინფისმა“.

## ემანსიპაცია ყველა სფეროში შეიმჩნევა. კრიმინოგენულშიც...

მოსკოვის საქალაქო პროკურატურის მონაცემებით, ხუთი თვის მანძილზე სხვადასხვა სამართალდარღვევათა ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 3500-მდე ქალი. ეს სამართალში მიცემულთა საერთო რაოდენობის მეხუთედს შეადგენს. ძირითადად, მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ამჯობინებენ ისეთ „უწყინარ“ დანაშაულობებს, როგორიც არის თაღლითობა და ქურდობა. სისხლიან დანაშაულობებს კი ბანოვნები და მანდილოსნები საკმაოდ იშვითად სჩადიან, თუ იშვიათობა ეთქმის იმ ფაქტს, რომ მარტო წელს მოსკოვში დაკავებულია 41 მკვლელი ქალი. გარდა ამისა, ქალები საკმაოდ აქტიურად ითვისებენ წმიდა წყლის „მამაკაცურ“ დანაშაულობებს. მაგალითად, ამ ბოლო თვეებში ძარცვისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 55, ხოლო ყაჩაღური თავდასხმისათვის 31 ქალი. ერთი ქალბატონი მონაწილეობდა ბანდიტიზმში, კიდევ ერთი — ადამიანთა გატაცებაში.

მხილებულ ქალთა შორის არის 126 ხულიგანი, 19 მექრთამე და 3 გამომძალველი.



## ჩინური ცერემონია თუ არ იქნა, დღესასწაულს რა ფასი აქვს?!

ჰონკონგში ჩინეთიდან ჩაიტანეს ვეებერთელა ბრინჯაოს ქვაბი, რომელიც დაიდგმება საზეიმო ცერემონიალის ადგილზე ბრიტანეთის კოლონიის პეკინის მფლობელობაში გადასვლის აღსანიშნავად. უზარმაზარი ჭურჭლის კედელზე გამოსახულია ლიანა „ბოჰინიას“ ხუთფურცლიანი ყვავილი — ჰონკონგის პოსტკოლონიური დროშის ემბლემა, ხოლო შიგ ქვაბში ჩაიდება ძირითადი კანონი, რომლის შესაბამისადაც შეუდგება ჩინეთი ჰონკონგის მართვას. ცერემონია 1 ივლისს გაიმართება.

## რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება არავის უნდა

იჩქერიის ჩეჩენთა რესპუბლიკის პარლამენტის წარმომადგენლებს ესტონეთში შესვლის ვიზებზე უარი ეთქვათ. ბალტიის ამ სახელმწიფოს ხელისუფალთა აზრით, ჩეჩენ დეპუტატთა დოკუმენტები არ შეესაბამება ესტონეთის მოთხოვნებს.

დელეგაციამ, რომელიც უკვე იყო ლიტვასა და ლატვიაში, უკმაყოფილება გამოთქვა ესტონეთის ხელისუფალთა ამგვარი გადაწყვეტილების გამო. პარლამენტარებმა აგრეთვე განაცხადეს, რომ ჩეჩენ ხალხს აწყენინა ლატვიის სეიმის მეთაურმაც, რომელმაც არ მიიღო დელეგაცია. ალფრედ ჩეკანისმა საბაბად ის მოიმიზეზა, რომ ვიზიტი არაოფიციალური იყო. გარდა ამისა, დასძინა, რომ „არ აპირებს გაიფუჭოს ურთიერთობა რუსეთთან“.

## მაჰმადიანური „რვეული“ ქრისტიანული „შვიდეულის“ საპირწონედ?

რვა მაჰმადიანური ქვეყნის ლიდერებმა გასულ კვირას გამოაცხადეს, რომ ქმნიან ეკონომიკურ ორგანიზაციას, რომელსაც „დიდი შვიდეულის“ ანალოგიით „განვითარებული ქვეყნების რვეული“ უწოდეს, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო. „რვეულში“ შევიდნენ ბანგლადეში, ეგვიპტე, ინდონეზია, ირანი, მალაიზია, ნიგერია, პაკისტანი და თურქეთი. განვითარებადი მაჰმადიანური ქვეყნების ორგანიზაციის შექმნის იდეა პირველად წამოაყენა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ნეჯმეთინ ერბაქანმა გასული წლის ოქტომბერში. ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნები იქნება თანამშრომლობის განვითარება საფინანსო და საინვესტიციო დარგებში, აგრეთვე კომუნიკაციების სფეროში, კერძო სექტორის საქმიანობის კოორდინაცია და სიღატაკესთან ბრძოლა. „რვეულის“ შექმნის ძირითადი მიზეზი გახდა მაჰმადიანურ სახელმწიფოთა სურვილი, „დაიკავონ მსოფლიო ეკონომიკასა და ვაჭრობაში ისეთი ადგილი, რომლის ღირსნიც არიან“. მაგრამ მთლიანად 800-მილიონიანი მოსახლეობის მქონე რვავე ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტი მსოფლიო მაჩვენებლის ორ პროცენტ-ნახევარს ძლივს აღწევს, დასძენს ფრანს პრესი.

## გარედან „ლოქჰიდია“, შიგნიდან - ხიმკის „ენერგომაში“

ამერიკის აეროკოსმოსურმა კონცერნმა „ლოქჰიდ მარტინმა“ 101 სარაკეტო ძრავა შეუკვეთა რუსეთ-ამერიკის ერთობლივ საწარმოს, რომელშიც შედის „ენერგომაში“ (ქალაქი ხიმკი) და ფირმა „პრატ ენდ უიტნი“, იუწყება როიტერი. კონტრაქტის ღირებულება მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. რუსეთში შემუშავებული რდ-180 ძრავებით აღიჭურვება „ატლას“ რაკეტამატარებლები, რომლებსაც „ლოქჰიდი“ აწარმოებს. ძრავებს ააწყობენ ხიმკის ქარხანაში. ამერიკის კონცერნის წარმომადგენლების თქმით, რუსეთის საწარმოს მიმართეს იმ მიზნით, რომ გაეზარდათ რაკეტების ახალი სერიის საიმედობა და შეემცირებინათ მათი გაშვების დანახარჯები. ახლა „ლოქჰიდს“ მიღებული აქვს შეკვეთა 49 თანამგზავრის გაშვებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ რდ-180 ძრავებს მომავალში გამოიყენებენ მატარებელ რაკეტებზე, რომლებსაც ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები შეიმუშავებენ. არსებული კანონების მიხედვით, ასეთი რაკეტები მხოლოდ და მხოლოდ ამერიკული წარმოების რაკეტებით უნდა იყოს აღჭურვილი.

## ნიუ-იორკელი რაბინი - კოლუმბიელი ნარკოსოვდაგრების მეოხი



ნიუ-იორკელი რაბინი ბერნარდ გრუნფელდი, რომელსაც ფოტოზე ხედავთ, დააპატიმრეს კოლუმბიის ნარკომაფიასთან კანონსაწინააღმდეგო ფინანსურ გარიგებაში მონაწილეობისათვის. პოლიცია ამტკიცებს, რომ რაბინმა პირი შეკრა ათ სხვა საქმოსანთან და ნარკოსოვდაგრების შემოსავალს „წმენდდა“. ფულს, რომლის საერთო თანხამ 750 ათასი დოლარი შეადგინა, რაბინი ატარებდა ბრუკლინის სინაგოგისა და რელიგიური სკოლის ანგარიშებზე. სასამართლოს მოლოდინში რაბინი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, ოღონდ დაიტოვეს წინდი, ზუსტად იმდენი, რამდენიც „გაწმინდა“.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით.

გვერდს უძღვება **არჩილ მანჯგალაძე.**

## ფეხბურთი

1986 წლის მაისში მოსკოვში გახლდით. იმხანად ცნობილი ფეხბურთელის ედუარდ სტრელცოვის წიგნი „ეხედავ მინდორს“ უკვე გამოსული იყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, ასეთი წიგნები დახლებიდან მალე ქრება. ვის არ ვთხოვე, მაგრამ წიგნი ვერსად ვიშოვე. ერთმა ახლობელმა მირჩია, თვით სტრელცოვს დაურეკე და თხოვეო. მართლაც დავურეკე. ყურმილი თვითონ ედუარდმა აიღო. ვუთხარი, რომ ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ და მისი წიგნი ვთხოვე, ედუარდ ანატოლის ძემ თავაზიანად ამიხსნა, რომ ერთადერთი ეგზემპლიარი დარჩა თავისი ოჯახისათვის, მაგრამ, — დასძინა მან, — ქართველ ფეხბურთის გულშემატკივარს უარი არ ეთქმება, მობრძანდით ჩემთან სახლშიო, და მისამართიც მითხრა.

შინ მარტო დამხვდა. ერთმანეთი გავიცანით. ავტოკალამი აიღო და წიგნს დააწერა: „ნუგზარ კონსტანტინეს ძეს ედუარდ სტრელცოვისაგან სახსოვრად, 30 მაისი, 1986 წელი“. შემდეგ სასადილო ოთახში მიმიპატიჟა. ვიუარე, მაგრამ არ გამიშვიდა. სახელდახელოდ გაშლილ სუფრას შემოვუსხედით. ედუარდმა შამპანური გახსნა...

სტრელცოვების ოჯახში თითქმის შებინდებამდე დავრჩი. ვსაუბრობდით ყველაფერზე და, რაც მთავარია, ფეხბურთზე. მას სიტყვაც არ დასცდენია მისი დაპატიმრებისა და სასჯელის მიზეზთა შესახებ. მე კი ზრდილობა არ მაძლევდა იმის უფლებას, მეკითხა თუ რისთვის დაიჭირეს იგი 1958 წლის გაზაფხულზე. ყველაფერი ეს მოგვიანებით შევიტყვე, მაგრამ არა სტრელცოვისაგან, არამედ გავრილ დიმიტრის ძე კაჩალინისაგან.

...სტრელცოვი საერთოდ ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, უფრო სწორად, საუბრის ინიციატივას არ იჩენდა, მით უმეტეს — თავისი პერსონის შესახებ, მაგრამ ის სამ-ოთხ საათიანი დიალოგი საკმარისი აღმოჩნდა, რომ გამეგო, რა უჭირდა და ულხინდა მსოფლიო ფეხბურთის ამ დიდებულ ვარსკვლავს, განუმეორებელს და შეუდარებელს როგორც ფეხბურთელს, ადამიანს და მოქალაქეს ბრწყინვალე სპორტული კარიერითა და... უკუღმართი ბედისწერით.

# უნიკალური

### 21 ივნისს ედუარდ სტრელცოვს 60 წელი შეუსრულდებოდა

მე ვეკითხებოდი, ის გულახდილად მპასუხობდა. არც ერთი ფაქტის შელამაზება არ უცდია. ყველაფერს კონკრეტულად, შეუფერადებლად ამბობდა. ედუარდ სტრელცოვი იმ დღეს ჭეშმარიტად გულახდილი იყო. მე ბევრი რამე ჩავინიშნე, ბევრიც დავიმახსოვრე. მაშინდელი ცენზურა ამ საუბრის მთლიანად გამოქვეყნების საშუალებას არ იძლეოდა. ნაწილობრივ გამოქვეყნება კი არც მიცდია.

ჯერ მიშა მესხზე ვკითხე აზრი. — მიშა არაადამიანების მსხვერპლი გახდა. სამწუხაროდ, არ დაილევა ამ ქვეყნად ფურცევასა და ხრუშჩოვის მსგავსი ვიგინდარები: მათ მე გამამწარეს, მიშა კი მათმა მსგავსებმაო.

მე კვლავ არ ვკითხე ფურცევასა და ხრუშჩოვის როლზე მისი ცხოვრების ასე არევის გამო, მას კი არაფერი უთქვამს.



* * *

მოგვიანებით, 1988 წელს გავრილ დიმიტრის ძე კაჩალინი ჩემს შეკითხვაზე — ედუარდ სტრელცოვის გახმაურებულ, მაგრამ მაინც ბურუსით მოცული ისტორიის შესახებ — მეტყვის:

— ედუარდი მაშინდელი მაღალი ეშელონის პარტიული ფუნქციონერების მსხვერპლი გახდა. პირველი „ვიოლინო“ ფურცევამ დაუკრა და ხრუშჩოვიც აიყოლა. ფურცევას სტრელცოვი თავისი ქალიშვილის ქმრად უნდოდა და როცა მის სასტიკ უარს წააწყდა, შემდეგ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ეს უმსგავსო საქმე შეეთითხნა. სტრელცოვს ის გოგო, რომლის გაუპატიურებაც დააბრალეს, ჩვენთან ხშირად მოჰყავდა, საწვრთნელ ბაზაზე და სტადიონზეც. ჩვენ მას ვიცნობდით. რა ძალადობაზეა საუბარი?! ყველაფერი დაგეგმილი სცენარის მიხედვით მოაწყვეს. ფურცევამ საქმეში ხრუშჩოვი ჩართო და სტრელცოვი საბოლოოდ გასწირეს.

— ფეხბურთის გულშემატკივრები ირწმუნებიან, თითქოს ის გოგო გენერლის თუ ელჩის შვილი იყო...

— ეს ყველაფერი სინამდვილეს არ შეეფერება. ჩვეულებრივი გოგონა იყო, ჩემი აზრით, უბრალო ოჯახიდან.

— ვინ არის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ჩვენში და საზღვარგარეთ? — ვკითხე ლეაწლმოსილ მწვრთნელს.

— ჩვენთან — იაშინი და სტრელცოვი. საზღვარგარეთ — პელე და დი სტეფანო. ბრმა შემთხვევა რომ არა, რისთვისაც სტრელცოვი მკაცრად დაისაჯა, იგი პელეს გაუტოლდებოდა. თქვენ თვითონ განსაჯეთ: ექვსი წელიწადი საპატიმროში დაჰყო, მაგრამ იმხელა ტალანტი იყო, კვლავ ლიდერობა მოიპოვა, ისევ გახდა სპორტის დამსახურებული ოსტატი. იგი უნიკალური გახლდათ. სტრელცოვისდარი ფეხბურთელი ნახევარ საუკუნეში ერთი თუ დაიბადება...

**ნუგზარ მჭედლიშვილი.**

**სურათებზე:** მწვანე მინდორზეა ედუარდ სტრელცოვი; ვეტერანი ფეხბურთელები ედუარდ სტრელცოვი (მარცხნივ) და მიხეილ მესხი.

**ვარლამ გენგიურისა და ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**



## ქართული ჭიდაობა

*საქართველოში არა ერთი ღვიძლი ძმაა ცნობილი, წარმატებით რომ გამოდიან საჭიდაო სარბიელზე. ძმები ვერელები (კახნიაშვილები), ნინიაშვილები, ჩიკვილაძეები, ქიბროწაშვილები, ღუდუშაურები, ყვარელაშვილები, შეყრილაძეები, მორჩილაძეები, ლომიძეები, ოქროპირიძეები, გოგნაძეები, ლეჟავები, ხოხაშვილები, პაპაშვილები, ბერუაშვილები...*

*კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში სახლობენ ვარდოშვილები. ქართლი ხომ მუდამ იყო ქართული ჭიდაობის ადგილის დედა. არც სოფელი ახალქალაქია გამონაკლისი. ვარდოშვილებიდან ჯერ უფროსმა ძმამ ამირანმა გაილალა სოფლის ნახერხიან საჭიდაო წრეში, სოფლის კლუბის ახლოს რომ იყო მოწყობილი. მერე მისი მიბაძვით მასზე 8 წლით უმცროსმა ძმამ ლერიმ გაუყარა ხელი ქართულ საჭიდაო ჩოხას.*



ლერი

# ძმები ფალავნები



ამირანი

ძმებს და მათ პარტნიორებს თავდაპირველად სოფელში მწვრთნელი და მენეჯერი არ ჰყოლიათ, მაგრამ უფროსებისგან მშობლიური ქართული ჭიდაობის აე-კარგი (ფანდები) დედა ენასავით შეისისხლხორცეს. შაბათ-კვირა და უქმე დღე ისე არ გავიდოდა, ძმებს მკლავისა და მუხლის ძალა არ მოესინჯათ სოფლის საჭიდაო წრეში.

... ჯერ უფროსი ძმა ამირანი გავიდა სოფლის გარეთ მოზრდილთა შეჯიბრებებში — 1954-1962 წლებში გამოდიოდა საქართველოს და ყოფილ სსრკ ჩემპიონატებში. უმცროსი ძმა ლერი კი 1956 წლიდან ჭიდაობდა რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზზე.

ნიმანდობლივია, რომ ორივე ძმა ვარდოშვილები მძიმე წონოსან ათლეტთა შორის ასპარეზობდნენ. ხერხიანობა და ქართული ჭიდაობის ლაზათიანი ფანდები ძმებმა, როგორც ვთქვით, სოფლის საჭიდაოზე შეითვისეს. გოსტიბეში (სოფელია) კი მშობელ მამას ეხმარებოდნენ შრომაში — დიდრონ მორებს ბამბის ტომრებივით ათამაშებდნენ და ღონეს იკრებდნენ. ლერი, მაგალითად, ისე გაღონიერდა, შემდგომში სატვირთო ავტომანქანასაც ეწეოდა ცალი მხრიდან.

ნახერხიანი საჭიდაო წრე, ქამრიანი უმკლაო ჩოხა, საჭიდაო დასტა (მუსიკა) იყო ძმები ამირან და ლერი ვარდოშვილების ჯანის სიმრთელის ამოსავალი წერტილი. ჭიდაობის სიყვარულში ათენებდნენ და აღამებდნენ.

ორივე ძმა, როგორც ვთქვით, მძიმე წონაში გამოდიოდნენ, ამიტომ ისე როგორ იქნებოდა, ჩემპიონატებში ერთმანეთს სადმე არ გადაჰყროდნენ. მართლაც სამჯერ შეერკინენ ისინი ერთიმეორეს. ანგარიში 2:1 იყო, უფროსი ძმის სასარგებლოდ, მაგრამ მხოლოდ ამირანმა და ლერიმ თუ იცის ამ ანგარიშის რეალობა...

ქართულ ჭიდაობაში ფალავნობა ბევრი მოჭიდავის ოცნებაა. წელიწადში ხომ ერთხელ იმართება ფალავნობა, როცა მოჭიდავე იმარჯვებს ყველაზე მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის ანუ აბსოლუტურ კატეგორიაში — ფალავნობა ყველაზე დიდი მიღწევაა ჩვენს ეროვნულ ჭიდაობაში.

ამირან ვარდოშვილმა მრავალგზის მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა ქართულ ჭიდაობაში, მაგრამ სულ სხვა იყო 1958 წელი, როცა საქართველოს ფალავანი გახდა. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია, აგრეთვე ლერი ვარდოშვილი, რომელმაც უფროსი ძმის მსგავსად საქართველოს ფალავნობაც მოიხვეჭა. როგორც ხშირად ხდებოდა (დღესაც ასეა), ძმები ვარდოშვილები ქართულ ჭიდაობასთან ერთად ე.წ. „ჩოხიან ჭიდაობა“ — სამბოშიც გაიწაფნენ. აქ კი მათ დამსახურებული მწვრთნელები, ასევე ძმები ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილები წვრთნიდნენ.

1960 წელს, ყოფილი სსრკ ჭაბუკთა პირველი ჩემპიონატი გაიმართა ჭიდაობა სამბოში. სწორედ ამ პირველ ჩემპიონატში, თანაც მძიმე წონაში გაიმარჯვა კასპელმა ლერი ვარდოშვილმა.

ამირანიც და ლერიც არაერთხელ იყვნენ ყოფილი სსრკ სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრების პრიზიორები ჭიდაობა სამბოში. ძმების მთავარი გატაცება და სიყვარული კი, რა თქმა უნდა, იყო ძირძველი ქართული ჭიდაობა.

ძმები ჭიდაობამიც ჰგავდნენ ერთმანეთს: ორივე ძმის ყველაზე მარჯვე და ეფექტური ილეთი ე.წ. გარე ფეხი იყო. ახლა უკვე შეიძლება მცირე „საიდუმლოს“ გამჟღავნება. უმცროსი ძმა-ლერი ორივე მხარეს ასრულებდა გარე ფეხს. უფროსი ამირანი კი მხოლოდ მარჯვენა მხარეს აკეთებდა ამ ფანდს.

ამირანმა შედარებით მოკლე პერიოდში იჭიდავა, მაგრამ კარგი ფალავნის სახელი დატოვა ქართულ ჭიდაობაში. შემდგომში მან სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი, რომელსაც არც დღეს ღალატობს. ლერიმ უფრო მეტ ხანს იჭიდავა, დაამთავრა ჯერ ფიზკულტურის ინსტიტუტი, შემდგომ ეკონომისტიც გახდა.

ფალავან ძმებს ორ-ორი ვაჟიშვილი ჰყავთ. საინტერესოა, რომ ყველა მათგანი (ოთხივე) სპორტის ოსტატია ჭიდაობაში (3 სამბოში, 1 — თავისუფალში). მშობლების მსგავსად, შვილებმაც ნახერხიანი წრიდან დაიწყეს ღონის მოსინჯვა.

უმცროსი ექს-ფალავანი დღეს საკუთარ ფირმა „ფალავანს“ განაგებს. ფირმის სახელის შერჩევაზე, რაღა თქმა უნდა, დიდხანს არც უფიქრიათ ქართული ჭიდაობის ყოფილი ფალავნის — ლერი ვარდოშვილის მეგობრებს.

**გაბრიელ ბარჯაძე.**

**სურათებზე:** ძმები ფალავნები — ამირან და ლერი ვარდოშვილები.

## კრივი

### „ოქროს ბიჭი“ - 25-დან 25!

ოსკარ დე ლა ჰოიას, მსოფლიო ჩემპიონს 66 კილოგრამამდე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, პრესა და გულშემატკივრები „ოქროს ბიჭს“ უწოდებენ. იგი მექსიკელია, ცხოვრობს ლოს-ანჯელესში და აშშ-ს სახელით გამოდის. დე ლა ჰოია 24 წლისაა, დღემდე 25 მატჩი გამართა, ყველა (!) მოიგო, აქედან, 21 ნოკაუტით. ბრწყინვალე შედეგია, თუმცა კრივის ისტორია, ცხადია, უკეთესსაც იცნობს. სპეციალისტები თვლიან, რომ ამ უსწრაფეს მოკრივესთან ბრძოლა ძალიან ძნელია.

ამ დღეებში როცა ოსკარ დე ლა ჰოიამ მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა დავით კრომაუ (კენიელი, რომელიც ასევე ლოს-ანჟელესში ცხოვრობს), საბოლოოდ დადგინდა, რომ მისი მორიგი მატჩი მსოფლიო პირველობაზე 3 სექტემბერს გაიმართება „მაჩო“ კამაჩოსთან. ამ უკანასკნელმა, რომელიც ესწრებოდა დე ლა ჰოიასა და კრომაუს მატჩს, მისი დამთავრების შემდეგ თვით ჩემპიონის დასწრებით განაცხადა:

— „პირდაპირ გააწყალეს გული: „ოქროს ბიჭი!“, „ოქროს ბიჭი!“. ასე ხომ არავისთვის უწოდებიათ, — არც მუჰამედ ალისთვის, არც ჯო ფრეზერისათვის. 3 სექტემბერს განახვებთ, რა „ოქროს ბიჭიც“ არის!

მაშ ასე, მოვიცადოთ 3 სექტემბრამდე.

ჩოგანი

# სახიობა

თეატრალური გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური დამატება

№6


...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

სანდრო ახმეტელი.

## კოტე მარჯანიშვილი — 125

ეთერ გუგუშვილი

# დიდი რეჟისორის გზა

„...არ ვიცი, როგორ გამოვარკვიო, რა მიყვარს თეატრში? აი, უკვე გავჭაღარავდი, მოხუცებულობაში შევდგი ფეხი და თეატრია ჩემი ერთადერთი სატრფო, რომლის მიმართ ერთგული ვიყავი, რომლისთვისაც ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ მიღალატია და ვერც ვუღალატებ, სანამ სამარის კარამდე არ მიმიტანენ“...

ეს კოტე მარჯანიშვილის სიტყვებია. ამ სიტყვებში არც პოზა იყო, არც ყოყოჩობა, ამ სტრიქონების ავტორი უსაზღვროდ გულწრფელი გახლდათ — თეატრი მართლაც მისი სიხარული, ცხოვრების მიზანი იყო და თეატრში შეიგრძნო მან ჭეშმარიტი ბედნიერება.

კოტე მარჯანიშვილის, პროფესიული რეჟისურის ერთ-ერთი წამომწყების, შემოქმედება განუყოფელია იმ რთული პროცესებისგან, რომლებიც თან ახლდა XX საუკუნის თეატრის განვითარებას და თანამედროვე თეატრის გზების განსაზღვრას.

XX საუკუნის თეატრის ისტორიაში ძნელია მოიძებნოს მეორე ასეთი რეჟისორი, რომლის შემოქმედებითს პრაქტიკას მსგავსი მრავალფეროვნება ახასიათებდეს. მან თავისი ვალი მოიხადა დრამის, ოპერისა და ოპერეტის წინაშე, მუშაობდა მუსიკალურ კომედიაში, გატაცებული იყო პანტომიმით, კომიკური ოპერით, ოპერა ბუფით და ფარსით, სხვადასხვა ქალაქებში დგამდა სამოედნო მასობრივ სანახაობებს, მუშაობდა კინემატოგრაფში, სხვადასხვა დროს მოსკოვსა და კიევში იყო თეატრების კომისარი, აპირებდა ემუშავა ცირკშიც...

მაგრამ ცეცხლოვანი, მოუსვენარი ტემპერამენტისა და დაუოკებელი ემოციების ადამიანს ჰქონდა უდრეკი ნებისყოფა და გამჭრიახი გონება. მან ჩინებულად იცოდა „მორჩილი შთაგონების“ ფასი, შეეძლო ფხიზლად, დინჯად და ბრძნულად შეეფასებინა მოვლენები, ყოველთვის სცოდნოდა რისთვის ილვწოდა თეატრში, ჰქონდა თავისი გარკვეული და ღრმად გააზრებული ესთეტიკური პროგრამა. ეს პროგრამა არ იფარგლებოდა რომელიმე ჟანრით, სტილით ანდა მიმართულებით. მის სპექტაკლებში დაძაბული დრამატიზმის და ტრაგიზმის ხერხები მშვენივრად ეგუებოდა ხოლმე ელვარე იუმორს, სიცილს, მხიარულობას და კომიკურობის საწყისს. ამ „დისჰარმონიაში“ არ იყო შინაგანი უთანხმოება. შეუთავსებელ ტენდენციებში მკაფიოდ გამოიკვეთებოდა ხოლმე მისი სპექტაკლების უცილობელი მიმზიდველობა, ის ძლიერი ძალა, რომელიც აგრერიგად მოქმედებდა თანამედროვეებზე.

თეატრი მარჯანიშვილის ცხოვრებაში ადრევე შეიჭრა. მის სახლში ხშირი სტუმრები იყვნენ ჩვენი ერის დიდი მოღვაწეები — აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ლადო ალექსი-მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი და სხვანი. მათ გვერდითაც მოუხდა მას სცენაზე ყოფნა, მათი ყურადღების წყალობით მარჯანიშვილმა შესანიშნავი სკოლა გაიარა. ქართული თეატრის დიდ კორიფეთა მეოხებით მთავარსაც მიხვდა: თეატრი უბრალო და უმნიშვნელო რამ როდია, აქ საჭიროა შრომა, მაღალი პროფესიონალიზმი, თავგანწირვაც კი, რომ არაფერი ვთქვათ ნიჭზე. გავა წლები, და, რასაც მშობლიური თეატრის „საცდელ მოედანზე“ შეიძენს, მერე, სხვა ქვეყანაში, თავის დაუცხრომელ საზეიმო შემოქმედებაში განახორციელებს.

ქართულ თეატრში მისი ყველაზე დიდი შენაძენი ის გახლდათ, რომ მან შეიცნო თეატრის მოქალაქეობრივი და თავისუფლებისმოყვარე მისია, რომ სასცენო ხელოვნებას უნდა ჰქონდეს პატრიოტული, ამაღლებული გრძნობა — ამის გარეშე თეატრი არ არსებობს.

თავის სამშობლოში ახალგაზრდა მარჯანიშვილი იყო ქართული თეატრის მოწინავე ძალების ალმავლობის, თეატრის ჭეშმარიტად მაღალი პროფესიონალიზმისა და სამსახიობო ოსტატობისათვის აქტიური ბრძოლის ცოცხალი და უშუალო მოწმე. ამ „ბარგით“ მიდის ის რუსეთში, სადაც 25 წლის განმავლობაში ქმნის თავის ხელოვნებას და დიდი რუსი რეჟისორების რიგში თავის, და მხოლოდ თავის, — ღირსეულ ადგილს მოიპოვებს.

1967 წელს მოსკოვში გამოვიდა წიგნი ვს. მეიერჰოლდზე, მიძღვნილი დიდი რეჟისორის რეაბილიტაციისადმი და მისი ღირსეული სახელის აღდგენისადმი. ამ წიგნში არის ასეთი ფრაზა: „მეიერჰოლდის შემოქმედების გაუთვალისწინებლად დღეს არ შეიძლება წარმოვიდგინოთ საერთოდ XIX-XX საუკუნეების რეჟისურა ისე, როგორც არ შეიძლება მისი წარმოდგენა კ. ს. სტანისლავსკის, ვლ. ნემიროვ-დანჩენკოს, ე. ბ. ვახტანგოვის, კ. ა. მარჯანიშვილის, მ. რეინჰარდტისა და ბ. ბრეხტის გარეშე.

დიახ, კოტე მარჯანიშვილი მსოფლიოს დიდ რეჟისორთა შვიდეულში შევიდა! და სამარადისოდ!

რთული, არაჩვეულებრივად მღელვარე იყო მარჯანიშვილის ცხოვრება. თავისი იდეალების განსახორციელებლად მან დიდი გზა განვლო. ამ გზაზე სავსებით შეიცნო წარმატებების სიხარული და მარცხის სიმწარეც. საერთო აღიარება და ხალხის სიყვარული ყოველთვის როდი იცავდა მას ცალკეული ადამიანების უმადურობისაგან. მაგრამ მწარე გულგატეხილობის წუთებშიც კი, მარჯანიშვილი არ კარგავდა მთავარ თვისებას — ოპტიმისტურ განწყობას და ნათელ მსოფლშეგრძნებას.

ის იყო დაუღალავი მუშაობაში. თეატრისადმი სიყვარული მას აიძულებდა ყოველთვის ფორმაში და მწყობრში ყოფილიყო. რად ღირს მარტო მისი ხანგრძლივი შრომა რუსეთის პროვინციაში, სადაც დღე და ღამე თავდაუზოგავად, გულმოდგინედ მუშაობდა და ყოველ დღე ახალ და ახალ სპექტაკლებს უშვებდა. პრემიერისთანავე დილით, გაზეთებში რეცენზიები ჩნდებოდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეხმარებოდა მარჯანიშვილის შემოქმედებაზე მუშაობის დროს ეს რეცენზიები, მათში მოკლედ და ზუსტად ჩანდა სპექტაკლის არსი!



თავისი ცხოვრების მანძილზე — ძნელი დასაჯერებელია, — მაგრამ მარჯანიშვილმა დადგა 525 სპექტაკლი! ჭეშმარიტად ასტრონომიული ციფრია! მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი რამ არ ყოფილა და, ალბათ, არც იქნება...

1897 წლიდან იწყება მარჯანიშვილის მოღვაწეობა რუსეთში. რამდენი თეატრი, რამდენი ქალაქი შეიცვალა მან! რამდენი მსახიობი გაზარდა, რა დიდი აღიარება მოიპოვა ხელოვნების დიდ წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, რამდენი მეგობარი შეიძინა!

მოუსვენარი, ენერგიით სავსე მარჯანიშვილი არასოდეს არ იჯდა გულხელდაკრეფილი. ენერგია ჩქეფდა მასში, ახალი იდეები ერთმანეთს უსწრებდნენ. თეატრიდან თეატრში გადადიოდა და მისი სპექტაკლების შესახებ მალე ალაპარაკდა მთელი რუსეთი. რად ღირს, თუნდაც, მისი განთქმული მაქსიმ გორკის „მოაგარაკენი“ რიგაში, რომელიც მალე მოსკოვშიც აჩვენეს და რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა მოსკოვის თეატრალური ელიტა. ან გავიხსენოთ მისი შესანიშნავი დადგმები უკრაინაში, მისი ანტონ ჩეხოვის „ძია ვანო“, „სამი და“, ლეონიდ ანდრეევის „ადამიანის ცხოვრება“ და „ნიღბები“, ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ და სხვ. მერე კი მოსკოვი, სადაც მიპატიჟებული იყო სამხატვრო თეატრში. აქ დადგა მან თავისი გახმაურებული სპექტაკლები — ჰ. ჰაუპტმანის „ცხოვრების ბრჭყალებში“ და ჰ. იბსენის „პერ გიუნტი“, მონაწილეობდა ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად თ. დოსტოევსკის რომანის „ძმები კარამაზოვების“ დადგმაში და თვითონვე იყო ამ რომანის ინსცენირების ავტორი. ამავე დროს აქტიურად ჩაება შექსპირის „ჰამლეტის“ მომზადებაში და მჭიდრო შემოქმედებით ურთიერთობაში იყო დამდგმელ რეჟისორთან, განთქმულ ინგლისელ ხელოვანთან გორდონ კრეგთან. როგორც თვითონ წერს, კრეგთან ურთიერთობამ და მუშაობამ ბევრი რამ მისცა მას, ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა რეჟისორს. მონაწილეობა „ჰამლეტის“ ისტორიულ დადგმაში მისთვის თავისებური სკოლა იყო...

მაგრამ, მიუხედავად აქტიური დატვირთვისა და საინტერესო მუშაობისა (ის კიდევ სტანისლავსკის დავალებით მუშაობდა სამხატვრო თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა სტუდიაში), მარჯანიშვილი მოულოდნელად ტოვებს სამხატვრო თეატრს. საქციელი გაბედული და მტკიცე იყო. ბევრი რამ მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ამ თეატრში, მაგრამ თვითონ ამბობდა, რომ მისი წასვლა არ დაარღვევს მყარ ურთიერთობებს ამ თეატრთან. სიცოცხლის ბოლომდე დარჩა იგი ამ თეატრის და მისი ხელმძღვანელების კეთილი და ერთგული მეგობარი და პატივისმცემელი.

სამხატვრო თეატრიდან წასვლის შემდეგ მან 1913 წელს თავისი ერთ-ერთი უპირველესი და უსაყვარლესი — „თავისუფალი თეატრი“ შექმნა. ამ თეატრის ბედთან ბევრი „ლეგენდაა“ დაკავშირებული. ამ თეატრმა არა მარტო დიდი ინტერესი გამოიწვია რუსეთის თეატრალურ წრეებში,

იხ. მე-6 გვ.

## კოტე მარჯანიშვილი — 125

ეთერ ბუგუშვილი

# დიდი რეჟისორის გზა

არამედ გაკვირვება და გაუგებრობაც კი. ამ თეატრში ყველაფერი უცნაური, მოულოდნელი და უჩვეულო იყო. პრესა აქტიურობდა, უამრავი დისკუსიური წერილი იბეჭდებოდა, აზრთა სხვადასხვაობა ბობოქრობდა. რეჟისორი კი თავის საქმეს აკეთებდა და გატაცებით მუშაობდა. თეატრით დაინტერესება საზოგადოებაში ჭეშმარიტად გრანდიოზული იყო.

მარჯანიშვილის ჩანაფიქრი ნათელი იყო — მას უნდოდა „თეატრ-ზეიმის“ იდეის განხორციელება. აქედან — მისი იდეა სინთეზურ თეატრზე, თეატრზე სადაც არავითარ „შეზღუდვას“ არ უნდა ჰქონდეს ადგილი, სადაც ყველაფერი უნდა იყოს „თავისუფალი“, დაწყებული დეკორაციებიდან — მუსიკამდე, მოძრაობებიდან — მსახიობის მეტყველებამდე და გრიმამდე. ეს „თეატრი-ზეიმი“, რომლის საყრდენი იყო „თავისუფლება“, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო სინთეზური თეატრის იდეასთან. სინთეზს მარჯანიშვილი თავისებურად აღიქვამდა. თეატრალური სინთეზი მისთვის სრულიად არ ნიშნავდა სხვადასხვა ჟანრებისა და ხერხების შეერთებას. ის მსჯელობდა ასე: სინთეზი თვით ცხოვრებაში არსებობს. ადამიანი კი ცხოვრების ნაყოფია. ამ ცხოვრებაში ადამიანი ბევრ რამეს აკეთებს — ის ლაპარაკობს, იცინის, ტირის, ხარხარებს, მღერის და ცეკვავს, დარბის და ხტუნაობს, ყირაზე გადადის ან მშვიდად ისვენებს, უყვარს და სძულს, ილიმება და ეჯავრება, ერთი სიტყვით, ყველაფერი ძალუძს. და განა შეიძლება მისი შებოჭვა სცენაზე — მაყურებლის წინ! მას სურს მთელი თავისი მრავალფეროვნებით წარსდგეს მაყურებლის წინაშე. სწორედ ამგვარად ხედავდა მარჯანიშვილი თეატრალური სინთეზურობის ამოსავალ მნიშვნელობას და არსს. და სწორედ აქ, ამ მიდგომაში უნდა ავხსნათ რეჟისორ-მაძიებლის მიდრეკილება ჟანრული და თემატური სხვადასხვაობისაკენ, სცენაზე სხვადასხვა ხერხების გაერთიანებისაკენ, ერთ სცენურ ქმნილებაში ტრაგიკული და კომიკური, ჰეროიკული და ბუფონადური ხერხების აღრევა, სცენაზე სიტყვის, ცეკვისა და სიმღერის, ფერწერის, მუსიკის და პანტომიმის, ბუფონადის და, თუ გნებავთ, კინოს შეერთება.

„თავისუფალი თეატრის“ პროგრამა საკმაოდ გაბედული, მეტიც, გრანდიოზული იყო. მის სცენაზე მარჯანიშვილმა განახორციელა თავისი არაორდინალური, ბევრ რამეში უჩვეულო, მაგრამ სიცოცხლითა და არაჩვეულებრივი ფანტაზიით აღსავსე ხუთი სპექტაკლი — მ. მუსორგსკის ოპერა „სოროჩინის ბაზრობა“, ჟ. ოფენბახის ოპერეტა „მშვენიერი ელენე“, შნიცლერ-დონანის პანტომიმა „პიერეტას საბურველი“, ბენრიმოს და ჰეზელტონის „ყვითელი კოფტა“ და ა. დოდეს მელოდრამა (ჟ. ბიზეს მუსიკით) „არლელი ქალი“.

„თავისუფალი თეატრის“ ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა. შეირყა არა მარტო მისი ფინანსური საქმეები, არამედ ის, რაც ყველაზე არსებითია თეატრში — მომწიფდა შინაგანი წინააღმდეგობანი. მალე თეატრმა არსებობა შეწყვიტა. მის „ნანგრევებზე“ დაიბადა სამი თეატრი — კამერული ა. ტაიროვის მეთაურობით, დრამატული თეატრ-სტუდია თ. კომისარჟევსკის ხელმძღვანელობით და თეატრი ანტრეპრენიორ ი. დუვან-ტორცოვის მეთაურობით. მარჯანიშვილმა არც ერთ ამ თეატრში არ მოისურვა მუშაობა და გაემგზავრა როსტოვს ო. ზარაისკაიას ანტრეპრიზაში.

„თავისუფალი თეატრის“ დახურვის შემდეგ მარჯანიშვილის ცხოვრებაში მძიმე პერიოდი დადგა. როსტოვში მუშაობა არც იოლი იყო და არც საინტერესო. ერთადერთი, რამაც ხელოვანს სიხარული მიანიჭა, იყო პროგრამული წერილი, რომელიც მან თავის ახლო მეგობარს და მოღვაწეს შაქრო საფაროვს თბილისში გამოუგზავნა. ამ წერილში, რომელიც თავის დროზე დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, გაშუქებულია მარჯანიშვილის მოსაზრებები ქართულ თეატრზე. სამშობლოდან სიშორეში მყოფი ბ-ნი კოტე ფიქრობს მშობლიური თეატრის ბედზე, მის მომავალზე. იგი თვლის, რომ საქართველოსთვის აუცილებელია თეატრი თავისი მუდმივი დასით, თავისი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული დრამატურგიით. ამის გარეშე, წერს იგი, თეატრის მდგომარეობა საფრთხეშია. წერილში გამოხატულია მარჯანიშვილის ზრუნვა, მისი ღელვა მშობლიურ თეატრზე. გავა წლები და უკვე სხვა ეპოქაში იგი თვითონ განახორციელებს მას, რაზედაც მარტოხელა ფიქრობდა როსტოვში...

ცხოვრება ბობოქრობდა მის გარშემო. ამ ბობოქრობის საპასუხოდ იგი უცბად არნახულ ნახტომს აკეთებს და იმპერიალისტური ომის ფრონტზე მიემგზავრება. თვითონვე წერდა მოგვიანებით: „მოსვენებას არ მაძლევდა დასამარებული იმედი და ომში გაქცევის ჟინი“. ფრონტიდან ცოცხალი ბრუნდება, მაგრამ სულ სხვა, თუმცა, ნაცნობ სამყაროში ხვდება — ისევ პეტროგრადის ოპერეტა, ისევ სილაღით სავსე სამყარო. იგი ცდილობს „აამაღლოს“ თვით ჟანრი, მისი, თუ გნებავთ, პრესტიჟი. ოპერეტის შემდეგ ის მუშაობას იწყებს ტროიცკის თეატრში, მის სპექტაკლებში აოცებს კაშკაშა ფერების სიმფონია, სილამაზე. ამავე დროს დგამს თავის განთქმულ სპექტაკლს ო. უაილდის „სალომეას“, რომელმაც მიიზიდა თავისი ბუნტარული ხასიათით.



გადიოდა დრო. მარჯანიშვილი უკრაინაში აღმოჩნდა. იგი დანიშნეს უკრაინის თეატრების კომისრად. დიდი მონდომებით ჩაება მუშაობაში, შექმნა ახალი „კლასიკური ტრაგედიისა და კომედიის თეატრი“, სადაც კურსი კლასიკურ რეპერტუარზე იყო აღებული. მარჯანიშვილს განსაკუთრებით ჰეროიკული, რომანტიკული თეატრის იდეა აღელვებდა. თეატრის ჰეროიზაციის იდეა ყველაზე მკაფიოდ მის ლეგენდარულ ლოპე დე ვეგას „ფუენტე ოვეხუნაში“ განხორციელა. მთავარი, რაც მან ამ დადგმაში გააკეთა, იყო მის მიერ პიესის გარდაქმნა — მონარქისტული იდეა მოხსნილი იყო. სპექტაკლის საყრდენად ხალხის ცხოვრება, მისი ქმედება, მისი დარდი და სიხარული იქცა. იმ წლებისათვის ასეთი გადაწყვეტა სავსებით ლოგიკური აღმოჩნდა — სპექტაკლი რევოლუციურ სულთან იყო დაკავშირებული და მარჯანიშვილის სულისკვეთების მიხედვით ზეიმურიც იყო. სცენაზე აჟღერდა საზეიმო და, ამავე დროს, ტრაგიზმით სავსე სპექტაკლი. მისი ბადალი არ არსებობდა იმ წლებში. მგონი ახლაც არ არსებობს...



...1920 წელი: მარჯანიშვილი ისევ პეტროგრადშია, ისევ სხვადასხვა თეატრებში მოღვაწეობს, ისევ მოვლენების ქარცეცხლშია. აქ, პეტროგრადში, მან განახორციელა თავისი განთქმული, მასობრივი სამოედნო სანახაობა — „მსოფლიო კომუნისაკენ“, — მართლაც, გრანდიოზული სანახაობა. საკმარისია ვთქვათ, რომ მასში მონაწილეობდა ექვსი ათასი ადამიანი და ორმოცდახუთი ათასი მაყურებელი!

მარჯანიშვილის ცხოვრება საუკეთესო მაგალითია თავისი პროფესიისადმი ერთგულებისა, სულიერი სიუხვისა, ადამიანისადმი და სამშობლოსადმი სიყვარულისა. კარგად თქვა მასზე მწერალმა ლევ ნიკულინმა: „...იგი თავად განასახიერებდა თავის სამშობლოს, მთლიანად სამშობლოთი იყო განმსჭვალული და თავის თავში ატარებდა სამშობლოს!“ ეს იგრძნობოდა ყველა მის დადგმებში და, სწორედ ამან განაპირობა მისი სურვილი სამშობლოში დაბრუნებისა. ამ, საკმაოდ რთულ დროს, მარჯანიშვილი რადიკალურ გადაწყვეტილებას ღებულობს. ა. ლუნაჩარსკის სიტყვებით, „მან დაუბრუნა თავისი გენია სამშობლოს!“.

მარჯანიშვილის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე პასუხსაგები ხანა დადგა.

ოცდახუთი წლის წინათ საქართველოდან რუსეთში გაემგზავრა ჭაბუკი, რომელმაც პროფესიის პირველი „ყლორტები“ შეიცნო. სამშობლოში კი ბრუნდებოდა ადამიანი და შემოქმედი, რომელმაც ღრმად და ყოველმხრივ შეიცნო ცხოვრება, ხალხი, სხვა ქვეყნების კულტურა. სამშობლოში ბრუნდებოდა დავაჟკაცებული, მომწიფებული ხელოვანი, რომელმაც დიდი სახელი მოიპოვა არა მარტო რუსეთში! მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბევრ უცხოეთის ხელოვანთან. დაწყებული მ. მეტერლინკით და მ. რეინჰარდტით დამთავრებული.

1922 წელს დაბრუნდა მარჯანიშვილი სამშობლოში. მან მართლაც დაუბრუნა თავისი გენია მშობლიურ საქართველოს. მარჯანიშვილის ჩამოსვლასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული თეატრის ბედი, დიდი ცვლილებები მის ცხოვრებაში. მარჯანიშვილს კარგად ესმოდა, რომ საკმაოდ რთულ სიტუაციაში თეატრს სჭირდება „ფეთქებადი“ ნახტომი, რომლის მეშვეობით შეიძლება თეატრის ცხოვრების გამოცოცხლება. სწორედ ამიტომ რეჟისორმა აირჩია უკვე ნაცნობი, განცდილი და მღელვარე „ფუენტე ოვეხუნა“.

25 ნოემბერს რუსთაველის თეატრის სცენაზე ხმამაღლა აჟღერდა ესპანელი გოგონას, ლაურენსიას ძლიერი ხმა. ეს ხმა ხალხს მოუწოდებდა ბრძოლისაკენ. ჰეროიკულმა, რომანტიკულმა სულმა დაისადგურა თეატრში და ბევრი რამ განსაზღვრა მის ცხოვრებაში. რეპერტუარში ახალი პიესები გაჩნდა, თეატრში ახალი დრამატურგები მოვიდნენ, ამიტომ რეპერტუარი სწრაფად გამოცოცხლდა. შექსპირის „ჰამლეტის“ დადგმა ბევრ რამეს ნიშნავდა. მარჯანიშვილი დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა და დიდ იმედებს ამყარებდა თეატრის ცხოვრების აღმავლობაზე. მაგრამ...

...მაგრამ მის მოღვაწეობაში მოხდა მოულოდნელი რამ, თეატრში შექმნილი საკმაოდ რთული მდგომარეობის გამო მარჯანიშვილი ტოვებს მას. ორი წლის განმავლობაში იგი მუშაობს კინემატოგრაფში, სადაც შექმნა შვიდი შესანიშნავი ფილმი და ამავე წლებში ქმნის ქუთაისში თავის ახალ თეატრს, სადაც მის გარშემო იკრიბებიან დრამატურგები, მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები, ბალეტმაისტერები, კრიტიკოსები, ერთი სიტყვით, მოღვაწეები, რომლებიც დიდი რეჟისორის ერთგული და ღირსეული მეგობრები იყვნენ. მათი მხარდაჭერით მან ბევრი რამ გააკეთა თეატრის ცხოვრებაში. მარჯანიშვილის მუშაობა ამ თეატრში, მისი ე. წ. ქუთაისური პერიოდი, უაღრესად საინტერესო, ნაყოფიერი და ძლიერ დინამიკური იყო. ორი წლის განმავლობაში მან თორმეტი სპექტაკლი დადგა (საერთოდ კი საქართველოში ყოფნის დროს მან 27 სპექტაკლი განახორციელა), და მსახიობთა შესანიშნავი პლეადა აღზარდა, შექმნა თეატრის მხატვრული სახე. აქ, ამ თეატრში დადგა მან თავისი საუკეთესო სპექტაკლები, რომელთა შორის, როგორც რეჟისორის შემოქმედების გვირგვინი, ამაღლებულია მისი „ურიელ აკოსტა“, სპექტაკლი, რომელიც ჭეშმარიტად უკვდავია და დღესაც ცოცხლობს.

სიცოცხლე გრძელდებოდა. მოუსვენარი ხელოვანი ისევ მიემგზავრება მოსკოვში, სადაც მიპატიჟებულია სხვადასხვა თეატრებში. ამ წლებში მოსკოვის კორშის თეატრში მან დადგა ჰ. იბსენის „მშენებელი სოლნესი“, მცირე თეატრში იწყებდა მუშაობას შილერის „დონ კარლოსზე“, ოპერეტაში კი ი. შტრაუსის „ღამურაზე“ მუშაობდა.

ეს გეგმები განუხორციელებელი დარჩა — მარჯანიშვილს სიკვდილმა შეაწყვეტინა მუშაობა. ახლა გზა მისი ისევ სამშობლოსაკენ მოემართებოდა. თბილისში, ოპერის თეატრის ბაღში დაასაფლავეს იგი (შემდგომში კი მთაწმინდაზე გადმოასვენეს). დიდძალი ხალხი ესწრებოდა დაკრძალვას.

...და აი, აქ მინდა დავამთავრო წერილი ჩემი ბავშვური მოგონებებით. მე, პატარა გოგონა, ბებიასთან ერთად რუსთაველის პროსპექტზე ვსეირნობ. შორიდანვე დავინახეთ ბევრი ხალხი ოპერის თეატრთან. — რა ხდება იქ? — ჰკითხა ბებიამ გამვლელს, — კოტე მარჯანიშვილს ასაფლავებენ, — გვიპასუხა მან. ბებიას ვკითხე, ვინ არის-მეთქი იგი? — რეჟისორია, — მიპასუხა ბებიამ. ცოტა რამ გავიგე ამ პასუხიდან, მაგრამ მისი გვარი და დიდძალი ხალხი, ალბათ, დარჩა ჩემს მეხსიერებაში...

ასე, პირველად ბავშვობაში გავიგე მე იმ ადამიანის სახელი და გვარი, რომელიც წლების შემდეგ მკვიდრად შევა ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში, მეტიც, და ჩემი სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცევა. მე ხშირად ვფიქრობ, განა შეიძლებოდა მაშინ მცოდნოდა, რომ ჩემი სიცოცხლე ასე მჭიდროდ დაუკავშირდებოდა ამ უდიდესი ადამიანის ბედს, მის შემოქმედებას, მის სულს, მის უკვე „არაამქვეყნიურ“ სახელს? შეიძლება მაშინვე ჩემში ქვეცნობიერად დაიბადა ის, რაც უკვე გვიან, როგორც ექო გახმაურდება ჩემს სულში, ჩემს შემოქმედებით მუშაობაში. ხშირად ვუყურებ მის დიდ პორტრეტს, ჩემს ბინაში და ველაპარაკები მას: „ნეტა იცოდეთ, ჩემო ბატონო კოტე, რომ გავიდოდა წლები და ის პატარა გოგონა, რომელიც შორიდან გაოცებით უყურებდა ოპერის გვერდით შეკრებილ უამრავ ხალხს, და გაცილებდათ თქვენ უკანასკნელ გზაზე, რომ ეს გოგონა ძლიერ ახლოს დაუკავშირდებოდა თქვენს იშვიათ ცხოვრებასა და ხელოვნებას, თქვენს სულს და მუდამ მადლიერი იქნებოდა იმ უდიდესი ძღვენისა, რომლითაც თქვენ სამუდამოდ, სიცოცხლის ბოლომდე დააჯილდოვეთ იგი.

დასასრული.
დასაწყისი იხ. მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრემიერა



# ლორკა ახლებური აქცენტით

რეჟისორ გიორგი სიხარულიძის შემოქმედებას მისი სტუდენტობის დროინდელი დადგმებიდან ვაკვირდები და ერთ-ერთ გამორჩეულად საინტერესო შემოქმედად მივიჩნევ ახალი თაობის რეჟისორებს შორის. ამ სამიოდე წლის წინათ მან საფრანგეთში იქაურ მსახიობებთან ლალი როსებას „პროვინციული ამბავი“ დადგა, რომელმაც წარმატება მოუტანა თეატრის დასს და ახალგაზრდა რეჟისორსაც ბევრი რამ სასარგებლო შესძინა პროფესიული თვალსაზრისით. გიორგი სიხარულიძეს კარგა ხანს არ მიეცა საშუალება საკუთარი შესაძლებლობების პროფესიული სცენიდან წარმოჩენისა. თეატრალურ ინსტიტუტში იგი მიხეილ თუმანიშვილის საყვარელი მოწაფე იყო და მისივე სიცოცხლეში მოვიდა აწ უკვე მისი სახელობის თეატრში.

მიხეილ თუმანიშვილი თავიდანვე მოწონებით შეხვდა დამწყები რეჟისორის სურვილს, ფედერიკო გარსია ლორკას „მარიანა პინედას“ დადგმის თაობაზე, ხოლო როცა გაეცნო პიესის ექსპლიკაციას, სიამოვნებით დათანხმდა, რათა სპექტაკლს დღის სინათლე ეხილა.

დაგვიანებით, ძნელად, მაგრამ მაინც დაიბადა კინომსახიობთა თეატრში სპექტაკლი „მარიანა პინედა“, რომელმაც ახალი სუნთქვა შემოიტანა ამ სცენაზე. შემოქმედებითი ჯგუფის შთაგონებულმა მუშაობამ ნაყოფიც შესაფერისი გამოიღო, ქართულ თეატრში ამ დღეებში „მარიანა პინედას“ სახით იშვა ულამაზესი სანახაობა, მაღალი ესთეტიზმით აღბეჭდილი ქმნილება, რომელიც მაყურებლის აღიარებას იმსახურებს.

გიორგი სიხარულიძემ ლორკას პიესას ახლებური აქცენტი შესძინა რეჟისორის პერსონაჟის შემოყვანით სპექტაკლში, რომელსაც რუსუდან ბოლქვაძე ანსახიერებს. მთელი სპექტაკლი ჩაფიქრებულია როგორც რეპეტიცია, რომელსაც წარმართავს რეჟისორი — ბოლქვაძე.

სპექტაკლის ვიზუალურ მომხიბვლელობას განაპირობებს ნინო ჩიტაიშვილის მხატვრობა და ესპანეთიდან მოწვეული სპეციალისტის ფრანჩესკ კასადესუს ი სალვოს ქორეოგრაფია. მუსიკა (კომპოზიტორი დავით საყვარელიძე), ცეკვა, მხატვრობა ორგანულად თანაარსებობს სპექტაკლში, ყველაფერი ემსახურება დრამატურგისა და მისი გმირების მბორგავი, დაუოკებელი, თავგანწირული სულის მთელი სისავსით წარმოჩენას. ალბათ, ესპანელი მაყურებელიც ვერ დაფარავს აღფრთოვანებას ქართველი მსახიობების ცეკვით, დრამატულ თეატრში ამგვარი საცეკვაო ოსტატობა მართლაც იშვიათობაა.

ესპანური სულითაა გამსჭვალული მთელი სპექტაკლი, თუმცა, მარტო ცეცხლოვანი პლასტიკა და მომაჯადოებელი მუსიკა ვერაფერს უშველიდა სპექტაკლს, რომ არა შესანიშნავი სამსახიობო ნამუშევრები, ნამდვილი ანსამბლური ხელოვნება. ყველა მათგანს ბუნებრიობა, პოეტურობა, მგზნებარება ახასიათებს, რაც ასე აუცილებელია ლორკას ესთეტიკისათვის.

მთავარ გმირს თამარ გეგეჭკორი თამაშობს, მისი მარიანა ბრწყინვალე სცენური სახეა, რომელმაც მსახიობის სულ სხვა, აქამდე უცნობი შესაძლებლობები გამოავლინა, ღრმა დრამატიზმი, ემოციურობა, ექსპრესიულობა ახასიათებს მის ხელოვნებას. იგი ზედმიწევნით ფლობს თავის სხეულს, უაღრესად მოქნილია. ყოველი მოძრაობა თუ ჟესტი მასში ესპანელ ქალს წარმოსახავს. თამარ გეგეჭკორ-პინედას, სინაზითა და გულწრფელობით აღვსილ უმშვენიერეს არსებას, სიყვარულისათვის თავგანწირვა გმირად აქცევს. თვით სპექტაკლიც ხომ ტკივილიანი ბალადაა ამაღლებულ სიყვარულზე — „როცა სიკვდილი ადვილია, მაგრამ ნამდვილი“ ...

მაყურებლის ალტაცება ხვდა წილად ახალგაზრდა მსახიობების კოტე ლეკიშვილისა (დონ პედრო) და ზურაბ გეწაძის (ფერნანდო) ოსტატობას. სიამაყე, ქედუხრელობა, აზარტულობა, სათუთი მგრძნობელობა არის გაერთიანებული მათ ხასიათში, ისინი შესანიშნავად გრძნობენ რა დრამატურგისა და რეჟისორის მოთხოვნებს, გულმართალ, დაუდგრომელ, მგზნებარე შეყვარებულებად გვევლინებიან. მოქნილი პლასტიკა და თამაშის შთაგონებული მანერა კარგად ავლენს ახალგაზრდების მრავალფეროვან ნიჭსა და მდიდარ შესაძლებლობებს, რაც თეატრის მომავალ რეპერტუარში უდავოდ გამოვლინდება.

საინტერესო ხერხებით ძერწავს ჟანდარ პედროსას სახეს მსახიობი გია აბესალაშვილი, ირონიული ნაკადი თითქოს მიუღებელია ამ პერსონაჟისათვის, მაგრამ მისეული საშუალებები მხატვრულად დამაჯერებელია და ამდენად შეუძლებელს სარწმუნოდ ხდის. კლაველას როლში დასამახსოვრებელია ნატო შენგელაია; მოწონებას იმსახურებენ მსახიობები ნატო ებანოიძე (ამპარო), ვეკა პირმისაშვილი (ლუსია), თამარ გველესიანი (ამელია), თემურ ნატროშვილი (ალეგრიტო). მათი გარეგნობა და განსაკუთრებით ცეკვა მთელ სპექტალს მიმზიდველ სანახაობად აქცევს.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრში შესანიშნავი, ეფექტური, უაღრესად კულტურული სპექტაკლი გამოჩნდა გიორგი სიხარულიძის რეჟისორობით. მაყურებელი კინომსახიობთა თეატრს არასოდეს აკლია, „მარიანა პინედა“ მას კიდევ უფრო უმრავლებს დამფასებელს. მიხეილ თუმანიშვილის მოწაფეთა სერიოზული გამარჯვება ძალიან მახარებს და გულითადად ვულოცავ თითოეულ მათგანს.

**გიორგი ლალიაშვილი.**

*სურათებზე: თამარ გეგეჭკორი — მარიანა და ზურაბ გეწაძე — ფერნანდო.*

*თამარ გეგეჭკორი — მარიანა და კოტე ლეკიშვილი — დონ პედრო.*



# „კინტომ“ იერი იცვალა

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის რეპერტუარს კიდევ ერთი სპექტაკლი შეემატა — კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას ოპერეტა „კინტო“, შექმნილი აკაკი წერეთლის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით (ლიბრეტოს ავტორია ვახტანგ გოგოლაშვილი).

აკაკი წერეთლის ეს ერთ ღამეში დაწერილი პიესა მხოლოდ ერთი შესრულებისათვის, — ცნობილი მსახიობის ნატო გაბუნიას ბენეფისისათვის იყო განკუთვნილი. თვით ავტორს იგი სერიოზულ ნაწარმოებად არ მიაჩნდა და არც მის გამოცემას ლამობდა, მაგრამ მაყურებელთა წრეში „კინტომ“ იმთავითვე დიდი პოპულარობა მოიპოვა. მკაცრი კრიტიკის მიუხედავად ხშირად იდგმებოდა პიესის სხვადასხვა ვერსია — ზოგჯერ კუპიურებით, ზოგჯერ დამატებებით. სწორედ ამიტომ „კინტოს“ შექმნიდან 20 წლის შემდეგ, აკაკი წერეთელი იძულებული გახდა გამოექვეყნებინა პიესის ავტორისეული ვარიანტი. აი, რას წერდა მგოსანი 1899 წელს: „თუ ეს მიზეზი არ ყოფილიყო, „კინტო“, როგორც ბევრი სხვა ჩემი ნაწერთაგანიც, რომელთაც მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა ჰქონიათ, წარმავალი, — ვერ ეღირსებოდა სტამბას“... მაგრამ დრომ ამ პიესას პოპულარობის გვერდით სიცოცხლისუნარიანობაც შემატა. როგორც ჩანს, სიყვარულის, თუნდაც ეჭვნარევის თემას, თუნდაც გროტესკულ-სატირულ-კომედიურ პრიზმაში გარდატეხილს, ფასეულობა არასოდეს აკლდება. მართლაც, ყოველივე ახალი — კეთილად მივიწყებული ძველია.

მაგონდება კოტე მარჯანიშვილის გამონათქვამი: „ხელოვნებამ სიხარული უნდა მოუტანოს ადამიანებს, მხნეობა შთაუნერგოს მათ“. სწორედ ამ მიმართებით აღიქმება ნუნუ გაბუნიას ოპერეტა „კინტო“. ჟანრული თვალსაზრისით „კინტო“ ლირიკულ-კომედიური ოპერეტაა ვოდევილის ელემენტებით. კომპოზიტორი კლასიკური ოპერეტის ფორმების ურყევ საფუძვლად ეროვნულ ნიადაგს, კერძოდ, ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის კანონზომიერებებს, სახასიათო ნიშანთვისებებს იყენებს. ყოველ მუსიკალურ ნაგებობას, იქნება ეს არია, დუეტი, საანსამბლო მომენტი, საგუნდო სცენა, თუ საორკესტრო ეპიზოდი, გამოარჩევს ლირიკული უშუალობა, მკვეთრი მელოდიურობა, ხშირ შემთხვევაში, კოლორიტული ელვარება, რაც მუსიკას ადვილად აღსაქმელს და მისაწვდომს ხდის, ჟღერადობას სძენს იმ თვისებებს, რომლებიც ნიშანდობლივია ოპერეტის ჟანრისათვის. მუსიკალურ დრამატურგიას გამოარჩევს განვითარების დინამიკურობა.

მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლის რეჟისურა ტრადიციულ ჩარჩოებშია მოქცეული (რეჟისორი — გაიოზ ქართველიშვილი), სცენური მოქმედება სასიამოვნოდ აღიქმება. ბუნებრივად არის მიღწეული თეატრალური წარმოდგენის ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, როგორიცაა სცენური სიმართლე.

მართლაც, მსახიობებმა თითქოს გადასწიეს ფარდა და შეიყვანეს მაყურებელი იმ სამყაროში, სადაც უწევდათ ყოფნა „კინტოს“ მთავარ გმირებს — სალომეს (მარინა ცაგარელი) და ილიას (ანზორ ნებიერიძე). მიმზიდველი სცენური სახეები შექმნეს მსახიობებმა — ალეკო ბეგალიშვილმა (კოწია), რომელიც იწვევდა გარკვეულ ასოციაციებს არჩილ გომიაშვილის მიერ განსახიერებულ კოსტაიასთან ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, თამარ ჯიქურიძემ (ბაბალე), ანზორ გოგორიშვილმა (სამსონი), ნოდარ პიპინაშვილმა (ალექსანდრე), მარინა ლორთქიფანიძემ (კეკელა), ოთარ ბაზღაძემ (პოლიციელი). ყოველი მათგანის საშემსრულებლო ხელწერაში ჰარმონიულადაა შერწყმული მაღალი დონის მუსიკალურობა და პლასტიკა, რამაც ბუნებრივ ნიჭიერებასთან გაჯერებით გააძაფრა ოპერეტის სატირული ეფექტი. სპექტაკლის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით გუნდის მსახიობებს (ქორმაისტერი — ავთანდილ განუგრავა), საბალეტო ჯგუფს (ქორეოგრაფი — გივი ოდიკაძე), მხატვარ ალექსანდრე სლოვინსკის. აღსანიშნავია დირიჟორ მალხაზ კობახიძის სიმპათიური საორკესტრო ინტერპრეტაცია.

თეატრალური ხელოვნების ამ სახეობამ ჩვენში დიდ წარმატებას მიაღწია. ქართული ოპერეტის ჟანრს უკვე კარგა ხანია დაუმკვიდრდა თვითმყოფადი იერსახე. ნუნუ გაბუნიას „კინტო“ ერთ-ერთი თვალსაჩინო შტრიხია ჟანრის მთლიანი, ერთიანი პორტრეტისათვის. ნუნუ გაბუნიას „კინტოს“ წარმატება აშკარაა. რიგით მეხუთე სპექტაკლიც კი, სრული ანშლაგით შედგა.

ამ ნაწარმოების დადგმამ კიდევ ერთხელ ცხადყო ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მაღალი მხატვრულ-პროფესიული დონე, რაც განპირობებულია თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის და მისი სამხატვრო ხელმძღვანელის გიგა ლორთქიფანიძის ნაყოფიერი და მიზანმიმართული შრომით.

**ზურაბ ოიკაშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№142, შაბათი, 21 ივნისი, 1997 წელი.

ვარსკვლავედი

ნათელა ურუშაძე

# მარიამ საფაროვი-აბაშიძისა

ის დაიბადა 1860 წლის 12 თებერვალს თელავში, ვაჟის მომლოდინე ხელმოკლე აზნაურის, მიხეილ საფაროვის ოჯახში. ასე რომ, ქვეყნად მის მოვლენას დიდი სიხარული არ გამოუწვევია: შვიდ წლამდე დედა ზრდიდა. ერთი წელიწადი (1868-1869) თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლობდა. სწორედ ამ წელს გარდაიცვალა მისი დედა. ბებია (დედის დედა) ქალის განათლების პრინციპული მოწინააღმდეგე იყო, მიაჩნდა, რომ სავსებით საკმარისია „ვეფხისტყაოსანი" დაიზეპიროს და იცოდე საოჯახო საქმე. ამიტომ მაიკო სასწავლებლიდან გამოიყვანა და წაიყვანა ყვარელში, სადაც თავის მეორე ქმართან, მღვდელ თავად სოლომონ ჭავჭავაძესთან ერთად ცხოვრობდა. ამის შემდეგ იყო, რომ მაიკოს, თავისი იშვიათი ნიჭის წყალობით, „ვეფხისტყაოსანი" და ქართული კლასიკური ლიტერატურის სხვა ნიმუშები, მართლაც, ზეპირად სცოდნია, სტუმრებთანაც აკითხებდნენ ხოლმე ადგილებს რუსთაველის პოემიდან. ჭავჭავაძეების ოჯახის სტუმრები იყვნენ მაიკოს პირველი მსმენელები და მაყურებლები.

სოლომონ ჭავჭავაძისაგან ბებია ნინოს ორი ქალიშვილი ჰყავდა. ერთი მათგანი, ელისაბედი, კოტე მარჯანიშვილის დედა იყო. სოლომონ ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახს სიძე — ელისაბედის მეუღლე ალექსანდრე მარჯანიშვილი დაეპატრონა. 1877 წელს მთელი ოჯახი ყვარლიდან თბილისს გადმოსახლდა. თან წამოიყვანეს ბებია ნინოც და მაიკოც.

ალექსანდრე მარჯანიშვილის ოჯახი ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა საკრებულოდ გადაიქცა. აქ დადიოდნენ აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი და სხვანი. იმართებოდა სჯაბაასი საქართველოს აწმყოსა და მომავალზე, თეატრზე. ამ შეკრებებს, რა თქმა უნდა, მაიკოც ესწრებოდა, მას ყველაფერი აინტერესებდა და აღელვებდა... დამსწრენი კი იხიბლებოდნენ მისი ტურფა გარეგნობით, ემოციური რეაქციებით, მოსწრებული სიტყვით. ეს ის დროა, როდესაც სცენისმოყვარეთა წრეს, რომელსაც ადრე ნიკო ავალიშვილი ხელმძღვანელობდა, უკვე გიორგი თუმანიშვილი უდგას სათავეში. მიმდინარეობს გაცხოველებული მზადება მუდმივი ქართული თეატრის აღდგენისათვის. ძალიან განიცდიან ქალების ნაკლებობას.

მაიკო საფაროვის ქართულ სცენაზე გამოჩენას აკაკი წერეთელსა და სერგეი მესხს უნდა ვუმადლოდეთ. ოჯახის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად მათ მაინც მიიყვანეს მაიკო სცენისმოყვარეებთან. საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს მუზეუმში დაცულია მსახიობის მოგონებანი სათაურით „განვლილი გზები და ბილიკები". ამ მოგონებების წყალობით ვიცით, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი:

„... ბაღში დავსეირნობდი, მოირბინა ჩემთან პატარა ლამაზმა ძაღლმა და ლაქუცი დამიწყო. მეც თავზე ხელი გადავუსვი და ვაკოცე. ამ დროს მომესმა ხმა: — ოჰ, რას შერები, ქალო, მაგისთანა ცუგრუმელა ყოფნა ძაღლს როგორ ჰკოცნი?

ავიხედე ზევით, თავზე მედგა ბრგე, ლამაზი ვაჟკაცი, რომელსაც პატარა გაჭიმული შუბლი ჰქონდა, თავი ისეთი ხუჭუჭა თმით ჰქონდა დაფარული, რომ არაბი მეგონებოდათ, სახის უზომო სითეთრე რომ არ ჰქონოდა. მას პალტო გადაეკიდა ხელზე და ღიმილით შემომჩერებოდა.

მე გამახსენდა ბებიას დარიგება. ალბათ, ეს იმ არამზადათაგანია, რომელმაც რამე ხათაბალა უნდა ამკიდოს-მეთქი და მკაცრად მივუგე:

— ზოგჯერ ძაღლის კოცნა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ზოგიერთი ადამიანის კოცნა, ან თქვენისთანა კაცთან ლაპარაკი-მეთქი.

ამ პასუხზე მან გულიანად გადაიკისკისა... მე საშინელი ჯავრი მომივიდა... ის კი მომიჯდა გვერდით და მითხრა:

— შენ თუ ჭკუაც მაგისთანა მახვილი გაქვს, როგორიც ენა გქონია, ძალიან კარგი აქტრისა გამოხვალო.

მე ვეუკადრისე უცნობის მიერ ჩემთან ლაპარაკი, აგრეთვე ის, რომ აქტრისა კარგი იქნებიო, რომ მითხრა. გაბრაზებული წამოვხტი და უხეშად მივმართე:

— ბატონო ჩემო, თქვენ ალბათ უპატრონო გოგო გგონივართ, მაგისთანა სიტყვებით რომ მელაპარაკებით, როგორ თუ აქტრისა, ვინა გგონივართ მე! — გაჯავრებაც რომ სცოდნია! ეგ უფრო გშვენის".

უთქვამს აკაკის და, როგორც გამოირკვა, გადაუწყვეტია კიდეც მაიკოს ბედი.

მაშინ ის 17-18 წლისა იყო. რა არის თეატრი, არ იცოდა, ვინაიდან მანამდე იქ ნამყოფი არ ყოფილა. თეატრის გაცნობის მიზნით, აკაკი წერეთელმა და სერგეი მე-



სხმა მაიკო და ბებია ნინო წაიყვანეს არა ქართულ სცენისმოყვარულთა წარმოდგენაზე, არამედ იტალიური ოპერის სპექტაკლებზე. თეატრის ბრწყინვალებამ მოაჯადოვა მაიკო, ბუნებით ნაბოძები ყველა მისი შესაძლებლობა აამოქმედა და იმნაირად მომართა, რომ სცენაზე გამოსვლა მოთხოვნილებად ექცა. თვითონ ასე წერს ამის შესახებ იმავე მოგონებაში:

„მე ვიჯექი ლოჟაში და პარტერს გადავყურებდი. ვსინჯავდი განათების და თეატრის მოწყობილობას... უცბად, ფარდა აიხადა, მე შიშით კინაღამ დავიკივლე, მაგრამ როგორც იქნა თავი შევიკავე, გავშტერდი, სანახაობამ ისე გამაოცა, რომ ლოჟიდან კინაღამ გადმოვვარდი. ვფიქრობდი: ნეტა ამდენი ლამაზები სად მოაგროვეს, რომელ ქვეყანაში იპოვეს-მეთქი. ჩემი ბებია კი გააშტერა სახლების საჩქაროდ დანგრევამ, შემდეგ ახლის აშენებამ და პირჯვარის გადაწერით თქვა:

— ნეტა რა ფული ჯდება, რამოდენა კალატოზი და დურგალი უნდა მუშაობდეს, რომ ნახევარ საათში ამხელა ქვიტკირის სახლები ააშენონო!"

ჩამოეშვა ფარდა და ხალხი ალაპარაკდა, მე კი ფარდას არ ვაშორებდი თვალს. ვფიქრობ, ეგებ აიხადოს და რამე სანახაობა გამომეპარება-მეთქი. გათავდა წარმოდგენა, ხალხი ჩოჩქოლით დაიშალა. ჩვენ წამოვედით შინ. ამ დღიდან დავკარგე მოსვენება. მუდამ ვფიქრობდი: ნეტა ერთხელ ახლოს მაჩვენა ეს არაჩვეულებრივი ხალხი-მეთქი, ჩემ ცხოვრებაში რაღაც გარდატეხა მოხდა: დავკარგე ცელქობის უნარი, სულ დაფიქრებული დავდიოდი, მთელი ჩემი აზროვნება იმ სანახაობის გარშემო ტრიალებდა".

1878 წლის 27 ოქტომბერს მაიკო საფაროვი პირველად გამოვიდა მოყვარულთა წარმოდგენაში. ეს იყო გერმანელთა კლუბის სცენაზე დადგმული მიულერის კომედია „ცორჯ დანდელი". მაიკო კლოდინას როლს ასრულებდა. პირველივე გამოსვლა უდიდესი გამარჯვებით დამთავრდა. ვალერიან გუნია, რომელსაც უნახავს იგი ამ სპექტაკლში, წერს: „ახალგაზრდა მსახიობი ქალის თამაში რაღაც არაჩვეულებრივი იყო. მაყურებელთ მანამდე არ ენახათ რა იმისი მსგავსი რამ: საოცარი სიცოცხლე და ხელოვნური სიმკვირცხლე, რომელიც ერთსა და იმავე დროს დიდად მხატვრულიც იყო და ბუნებრივიც".

წარმატებით ფრთაშესხმული მაიკო ბედნიერი ბრუნდებოდა შინ. იქ მისი ბებია ხმამაღალი მოთქმით ტიროდა თავს დამტყდარი უბედურების გამო. ასეც მიუწერია სიძისათვის: „შვილო მიხეილ! დიდი უბედურება და სირცხვილი დაატყდა ჩვენს ოჯახს. ვიცი, შვილო, ეს ამბავი თავზარს დაგცემს, მაგრამ როდემდე დავიმალო, ხომ მაინც გაიგებ: შენ ქალბატონ მაიკოს მე თავი ველარ დავუჭირე და გავარდა, — ვაი, შენსა და ჩემს მოსწრებას, — გავარდა და პირდაპირ თეატრში შევარდა".

მაიკომ ამ წერილის შეახებ ძალიან გვიან შეიტყო და რადგან მამის დამშვიდება უნდოდა, პირველივე თავისი ბენეფისის შემდეგ მისწერა: „ცუდ ადგილას არ შევსულვარ, არამედ ისეთ სამსახურში შეველი, რომ ღამეში სამოც თუმნამდე ფული და საჩუქრები მივიღე". ამ წერილმა მთლად გადარია თეატრის რაობაში სრულიად გაურკვეველი მიხეილ საფაროვი. საპასუხო წერილში ასე მოსწერა: „მამა გიცხონდება, კარგ ხელობას დასდგომიხარ, თუ ღამეში სამოც თუმანს იღებ! ეგ რა მამაძაღლური სამსახურია ისეთი, რომ ღამით არის და არა დღისით? თუ მაინც და მაინც სამსახური გინდოდა, აქ არ ვიყავი? — ოცი წელიწადია ოტსტავკაში ვარ და სამსახურს დავეძებ, მე ვერ ჩამრიცხავდი? თავი დაანებე მაგ სამსახურს, თორემ თუ ჩამოვედი, მამაჩემის სული არ წამიწყდება, სულ მათრახის წვერით აგაჭრელებ".

ვერც ბებიას გლოვამ, ვერც მამის რისხვა-მუქარამ მაიკოს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა. ერთადერთი, რაც ოდნავ ამშვიდებდა თავზარდაცემულ ოჯახს, იყო ის, რომ გათხოვებამდე (1879 წელს ის გახდა ვასო აბაშიძის მეუღლე), მაიკოს სახლიდან თეატრამდე და თეატრიდან სახლამდე, ოჯახის ნდობით აღჭურვილი პირი ნიკო ავალიშვილი აცილებდა.

შედგა თუ არა 1879 წელს მუდმივი დასი, მაიკო საფაროვი-აბაშიძისაც მიიწვიეს პირველ კომიკურ და ვოდევილურ აქტრისად, როგორც ეს აღნიშნულია მასთან დადებულ ხელშეკრულების ტექსტში, უმაღლესი ხელფასით (ათი მარკა). ითვლებოდა, რომ ე.წ. ინჟენიუ-კომიკ (ცქრიალა გოგონები) და გრან-კოკეტი (კეკლუცი ქალები) არის მისი შემოქმედების სტიქიონი. ძალიან მალე გამოირკვა, რომ მაიკო საფაროვი-აბაშიძის შემოქმედება არავითარ ჟანრობრივად ზღუდეს არ ემორჩილება — ის თამაშობდა ტრაგედიაშიც, დრამაშიც, მელოდრამაშიც, კომედიაშიც, ვოდევილებშიც, ოპერეტებშიც.

მას შემდეგ, რაც ფეხი შედგა ქართულ სცენაზე, იმ დღემდე, ვიდრე სმენა საბოლოოდ უღალატებდა, შეიძლება ითქვას, რომ მისი მონაწილეობის გარეშე არაფერი დადგმულა. ის თამაშობდა გიორგი ერისთავის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, ალექსანდრე ყაზბეგის, ავქსენტი ცაგარლის, ბარბარე ჯორჯაძის, დავით ერისთავის, ვალერიან გუნიას ორიგინალურ და გადმოკეთებულ პიესებში, აგრეთვე შექსპირის, მოლიერის, გრიბოედოვის, გოგოლის, ოსტროვსკის, სუნდუკიანის და სხვათა თარგმნილ პიესებში. თამაშობდა ქალებს, გოგონებს, ბიჭებს. მისთვის თარგმნიდნენ და გადმოაკეთებდნენ ხოლმე პიესებს.

ერთმოქმედებიანი კომედია, „ბიძიასთან გამოხუმრება", რუსულიდან საგანგებოდ მაიკოსთვის გადმოუკეთებია რაფიელ ერისთავს. ამ პიესით მსახიობს შესაძლებლობა ეძლეოდა ერთ პიესაში ოთხი განსხვავებული არსება წარმოედგინა: ცოლი (ჩვეულებრივი ინტელიგენტი ქალი), არტისტი ქალი (მომღერალი თათრის ქალი), ქართველი გლეხი დედაკაცი და ისევ ის ინტელიგენტი ქალი, ოღონდ სულ სხვა სიტუაციაში. როგორც ჩანს, მსახიობი ილტვოდა მრავალსახეობისაკენ, რადიკალურად განსხვავებული სცენური ამოცანების გადაჭრისაკენ. ვალერიან გუნია წერს: „ნიჭი და ხელოვნება, შრომა და მეცადინეობა ისე არავის აქვს ერთად შეერთებული და მეგობრულად შეწყობილი ჩვენი სცენის მოთამაშეთა შორის, როგორც მ. საფაროვ-აბაშიძისას, ამ პატივცემული ქალ-არტისტისათვის განგებას არაფერი დაუკლია სცენისათვის. იშვიათად შეხვდება კაცი ისეთს სრულს თანხმობას შინაგან ნიჭს და გარეგან აგებულებას შორის, როგორც ეს აშკარად ჩანს ამ ქალ-არტისტში. დიდი ნიჭის და მალე მიმხვედრ ჭკუა-გონებასთან მ. საფაროვ-აბაშიძისას საოცარის თანხმობით ხელს უწყობს ყველაფერში გარეგნობაც: მშვენიერი ხმა, ცხოველი, ლამაზი და მოძრავი პირისახე, განთავებულება, სიარული, მიხვრა-მოხვრა, თავის დაჭერა, ლაპარაკის კილო, სიცილი და ტირილი. ერთის სიტყვით, ყველაფერი თითქოს განგებ სცენისათვის აქვს შექმნილიო... როლის ისეთი ბეჯითი ცოდნა, მომზადება და შემუშავება მოქმედი პირისა, ხასიათის შეგნება და ყოველი წვრილმანების ერთად აღნუსხვა არავის არ შეუძლიან ქართულ დასში. საფაროვ-აბაშიძისაგან ყოველს წარმოდგენილს როლს, დიდი ნიჭის და ხელოვნების გარდა, საოცარი ჭკუა და გონებრივი შემუშავება და წვრილმანების დაკვირვება ეტყობა. იმის კომიზმი ნაჭირვევი და ნაძალადევი როდია. ის სანამ გაგვაცინებდეს, ჯერ



გაგვაგებინებს სიცილის მიზეზს, დაგაფიქრებს, მოგამზადებს სასაცილოდ და ბოლოს გაცინებს და როგორ გაცინებს!.. რაც უნდა ეთამაშნა, კომედია, ფარსი თუ ვოდევილი, თუ ემღერა ოპერეტაში, იგი ყოველთვის უნაკლო იყო და თან მუდამ ერთვნული ელფერით გაბრწყინებული".

პარტნიორის ყურისგება იცოდა თურმე გასაოცარი. სიცოცხლით სავსე, ენერგიული, ხალისიანი, მომხიბვლელობითაც უხვად ყოფილა დაჯილდოებული. აკი წერდნენ კიდეც მის შესახებ: „როდესაც საფაროვისა სცენაზე შემოდის, თან მთელი გაზაფხული შემოაქვსო".

ხშირად წერდა მის შესახებ ილია ჭავჭავაძე. ზოგი რამ ამ დაწერილიდან:

„ეს ისეთი აქტრისაა, რომელიც ჩვენი სცენის თვალი იქნება, თვალი, ამ აზრისანი არიან ყველანი, ვისაც კი საფაროვის ქალი სცენაზე უნახავს. ყოველ სიკეთესთან ერთად, ერთი სიკეთე სჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს და ეს სიკეთე ეხლანდელ დროში, როცა ეს ქართული ალარავის ახსოვს, მეტად ძვირფასი რამ არის".

როდესაც მაიკო საფაროვა-აბაშიძისამ დ. მანსფელდის მელოდრამაში „შეშლილია" ნელი განასახიერა, ილია ჭავჭავაძემ ისე აღწერა ერთი ეპიზოდი ამ გმირის სცენური ცხოვრებიდან, რომ ჩვენც გვეძლევა შესაძლებლობა გავერკვეთ რაში იყო ამ მსახიობის ხელოვნების ძალა, იმაშიც, თუ რა მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს უმშვენიერესად მსახიობის შემოქმედებაში!

„ბ-ნ საფაროვისას ერთი იმისთანა სცენა ჰქონდა, რომელიც... ბურთი და მოედანია არტისტის ნიჭისა და ცოდნის საცდელი. როცა შეშლილი ნათესავი ჰკითხავს ნელის — განა გიყვარს ვინმეო? გულუბრყვილო ნელის შეუტოკდა გული, ცალკე მორცხვობა, თუ როგორ გაამჟღავნოს, ცალკე სიხარული, რომ თქმის შემთხვევა მიეცა, ცალკე პოს თქმა და ცალკე არასი, ერთად აეშალა პაწაწა, ტრედივით უბიწო გულში. ეს მორცხვობა და სიხარული, ეს პოს თქმის წყურვილი და ამავე დროს არასიცა, ეს ტოკვა, ჭოჭმანობა, გაბედვა და გაუბედაობა ისე მშვენიერად მოათავსა ორიოდე სიტყვის თქმაში და გამოთქმაში ბ-ნმა საფაროვამ, რომ კაცს მარტო ეს ერთი სცენა ენახა, იტყოდა: თუ მართლა არტისტია საქმე ეს ქალი ყოფილაო".

იმ პირობებში, რომელშიც მუშაობდნენ ახლად აღორძინებული პროფესიული ქართული თეატრის მსახიობები, როლის მაღალმხატვრული განსახიერება მხოლოდ იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულ, მსახიობად დაბადებულ ადამიანს შეეძლო. ასეთი იყო მაიკო საფაროვა-აბაშიძისა, ჭკვიანი, მრავალმხრივ, ქმნილებითი ადამიანი, რომელსაც შეეძლო არა მარტო როლის თამაში, არამედ სათეატრო საქმიანობის გაძღოლა, იჯარით შენობის აღება და უცხო დასის ჩამოყვანა. მთელი მისი ოჯახი თეატრით ცხოვრობდა, მის სახლში იმართებოდა ახალი პიესების კითხვა და მათი გარჩევა, მთელი მისი დრო და ყველა ძალა თეატრს ეკუთვნოდა, მაყურებელი ეთაყვანებოდა. სპექტაკლის შემდეგ ქუჩაში ელოდებოდა და შინისაკენ მიმავალ გზას ბენგალის ცეცხლით უნათებდა...

ხანგრძლივი იქნებოდა ასეთი მშვენიერი ცხოვრება, თუ არა საბედისწერო შემთხვევითობა — 1890 წელს მისი შემოქმედებითი ცხოვრების ელვარების ხანაში, ყურს დააკლდა. დაავადება სწრაფად ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა. არც უცხოეთში მკურნალობამ უშველა, ჯანღონით სავსე, გამოცდილებით გამდიდრებული 30 წლის უნიჭიერესი მსახიობი შეპყრობილი იყო ისეთი სენით, რომელიც სცენისკენ გზას უკეტავდა — მას არ ესმოდა პარტნიორის არც ერთი სიტყვა. ის მაინც თამაშობდა! თითქმის ოცი წელი თამაშობდა ისე, რომ მხოლოდ ტუჩების მოძრაობით ხვდებოდა, რას ეუბნებოდნენ, რადგან ახლა უკვე სხვის როლებსაც სწავლობდა. წარმოვიდგინოთ, რა სირთულეა ეს და ყურადღების რანაირ დაძაბულობას ითხოვს. მაგრამ ამ დაძაბულობას ვერავინ ამჩნევდა, რადგან ხანში შესული მაიკოც ისე ტრიალებდა სცენაზე, როგორც ნორჩი. ისე წკრიალებდა მისი ხმა, ბიჭებსა და გოგონებსაც კი თამაშობდა, სწორედ ამ წლებში უძღვნა მას აკაკი წერეთელმა ლექსი „ჩემს სათაყვანოს", სადაც ასეთი სტრიქონებია:

> ერთად-ერთად, ქვეყნის ღმერთად,
> გაჩენილო უბარო,
> წყლულის გულის, კრულის სულის
> მალამოვ და მეგობარო!
> დასაბამო, დასასრულო
> ჩემი გრძნობა-გონებისო!
> ერთად-ერთო შემაერთო
> უფლების და მონების!
> შენგან დაბმულს, შენით სულდგმულს,
> შენს გარეშე არ მაქვს ძილი!
> ჩემს წარსულთან მხურს გამსხვერპლო
> აწმყოცა და მომავალიც...

1912 წლის იანვარში მსახიობის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნველი იუბილე გაიმართა. მას შემდეგ ის სცენაზე იშვიათად გამოდიოდა. 1925 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

„სიხარულსა და სიცოცხლეს, სიმხიარულეს ამკვიდრებდა იგი სცენაზე, მაგრამ ცხოვრება მისი დრამატული აღმოჩნდა, მძიმე და მაინც ის ერთი პირველთაგანია მუდმივი ქართული თეატრის წამყვან მსახიობთა თანავარსკვლავედში. მნიშვნელობა მისი ხელოვნებისა კარგად ესმოდათ მის თანამედროვეთ — კოლეგებს, მაყურებლებს, კრიტიკას. არ იყო შემთხვევითი ის სტრიქონები, მას რომ უძღვნა ვახტანგ გარიკმა:

„ჸნებავთ, გაიცნოთ ქართული თეატრის ისტორია? გაიცანით მაიკო საფაროვ-აბაშიძისა. გსურთ გაიგოთ ქართული თეატრის წარსული, მისი ჭირ-ვარამი? გაიცანით მაიკო საფაროვა-აბაშიძისა.

გნებავთ მოისმინოთ მაღალი აზრები თეატრის დანიშნულებაზე, დრამატულ ხელოვნებაზე, მსახიობის შემოქმედებაზე? — მოუსმინეთ მაიკო საფაროვ-აბაშიძეს. ალბათ მაიკო საფაროვ-აბაშიძისას თეატრის ისტორიკოსი გააშლაპრებს და მის სახეს გამოპკვეთავს როგორც იდეალურ მსახიობისა. მაიკო საფაროვ-აბაშიძეზე დაიწერება ცალკე დიდი წიგნი".

ეს სტრიქონები 1914 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში".

მას შემდეგ ლამის ერთი საუკუნე გავიდა, დიდ მსახიობზე დიდი წიგნი არ დაწერილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქოში, სოპრანო და მორიალი...

„ისე ვით ლუდვიგ
ბავარიტი,
მე ვარ თეატრის ერთი
მცხოვრები“

**ვალერიან გაფრინდაშვილი**



როდესაც ვალერიან გაფრინდაშვილის თეატრისადმი სიყვარულით ალსავსე ლექსებს კითხულობთ, ძნელია გაარჩიოთ, რომელი მათგანისაკენ იხრება პოეტის ინტერესი, დრამატული თეატრი უფრო იზიდავდა თუ საოპერო ჟანრი. აქ მხოლოდ ერთ უმთავრესზე შეიძლება გადაჭრით საუბარი — მას ერთნაირი ხიბლით იტაცებდა და ალანთებდა ნამდვილი, ჭეშმარიტი ხელოვნება. უფრო მეტიც, თვით მისივე ლექსები შესანიშნავად იძლევა პასუხს იმაზე, რომ ამ მხრივ სრულიად წაშლილია ზღვარი მათ შორის. ყური დავუგდოთ პოეტის სიტყვებს, როგორია მისი განცდები „სეზონის გახსნის მოლოდინში“, ოპერა ზაფხულის დუმილში ლირიკოსის წარმოდგენაში ცარიელი ტაძარია. ორკესტრი ყრუ დარიალი. „ოხრავს პარტერი გადანარაზი... სკამებს სწყურიათ კაბის შრიალი“...

მაგრამ აი: „სეზონისათვის მიდის მზადება, თითქოს ვარსკვლავი ბრწყინავს ახალი... ჩუმად, ფარულად კვლავ იბადება სეზონი ნორჩი და წელმაღალი“... აქ კი მსმენელისა და მაყურებლის მოუთმენელი მოლოდინით შესძახებს იგი სეზონის მონაწილეთ: „კმარა ლოდინი! ასწიეთ ფარდა! ამ დღესასწაულს ისე მოველით... და აღიმართოს ტენორის გარდა ჩვენს წინ ორკესტრი სვეტიცხოველი“. საორკესტრო მუსიკისათვის ამგვარი ეპითეტის შერჩევა უკვე ნათლად მიგვანიშნებს სიმფონიური მუსიკისადმი მის უსაზღვრო ტრფიალებაზე.

ჭიანური, მიზრაფი, როიალი, კლავიკორდი, ვიოლინო, სტრადივარიუსი, კუბელიკი, ნიკიში... ეს საკრავები და სახელები პოეტის ლექსების სულია, უცილობელი ძვირფასი ქვაა, სამშვენი მის მიერ შექმნილი დაისებური თეატრისათვის, უამისტყვებოდ ეს ლექსები უთუოდ დაკარგავდა იმ ძალმოსილებასა და ცხოველმყოფელობას, რითაც ასე გვხიბლავენ და გვაჯადოებენ ისინი.

ვალერიან გაფრინდაშვილი იშვიათი მაყურებელი და ასევე იშვიათი მსმენელია, თეატრალური სანახაობის უსაზღვრო ტრფიალი. უკიდეგანოა მისი ლტოლვა და თაყვანება მუსიკალური კულტურისადმი. მისთვის საოცრად ახლობელი და ძვირფასია მუსიკის სამყარო,ურომლისოდაც ვერ წარმოუდგენია ვერც თავისი არსებობა და ვერც პოეტური აზროვნება — პაგანინი, ვერდი, შუმანი, მოცარტი, ბეთჰოვენი მისი უსაყვარლესი სახელებია, ხოლო საოპერო რეპერტუარიდან პოეტის დაუცხრომელ ინტერესს იწვევდა ბიზეს „კარმენი“, გუნოს „ფაუსტი“, ვაგნერის „ლოენგრინი“, მეიერბერის „ჰუგენოტები“, ჩაიკოვსკის — „პიკის ქალი“... ამ უკვდავ ოპერებში მთავარ პარტიებს ხომ „ჰანგების მეფე“, ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა, რომლის დაუვიწყარი ხმა არასოდეს მოსცილებია ამ უზენაესი ლირიკოსის ყურთასმენას. რა სინანულითა და ტკივილით დაუწერია 1935 წელს: „ასე მგონია, სარაჯიშვილი არის მცხოვრები ბნელი ლოჟების, მთლად განაბულა სცენა შიშველი, როგორც თამარის ვიწრო ქოშები“ („სეზონის გახსნის მოლოდინში“).

რაოდენი ღელვა, სულის მთრთოლვარება იგრძნობა ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების ციკლში: „ოპერის ღამეები“ „პაგანინი“, „საოპერო თეატრის ქანდარიდან“, „ბეთჰოვენის ქანდაკება კონსერვატორიის მარცხენა კედელზე“, „შემოდგომა“ (კარმენსიტას წარმოდგენის შემდეგ), „მორიალი და სოპრანო“ (აგასოვა — კალანდაძეს) „ჰუგენოტები“... როგორი წყურვილით ელოდა ავადმყოფი პოეტი 1925 წლის ზამთარში ქარიშხლიანი ღამის შემოთენებას: „თუ მოვესწარი მე გათენებას, თუ ქარიშხალის შეწყდა თარეში, თუ დავაღწიე თავი ანთებას, წავალ, რომ გავთბე ხვალ ოპერაში“ („ზამთარი“).

თეატრი, ოპერა დიდი ლირიკოსის სტიქიაა, მოზღვავებული სიყვარულია, ხელოვნების ძალით შთაგონებული ეს მისი სულიერი კულტურაა, ღრმა ესთეტიკური განცდაა. ამიტომაც იყო, რომ ასეთი შინაგანი წვით განიცდიდა მის ალმართსაც და დალმართსაც. ნათქვამი რომ უფრო ნათელი და გასაგები იყოს, მინდა აქ ერთ საყურადღებო მომენტს შევეხო თავისი მამისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში („ნიკო ქუმსიაშვილი“). ცნობილი ქართველი მომღერლის ქალიშვილი ქნი როდამ ქუმსიაშვილი იგონებს:

„ 1932-33 წლების სეზონის დასაწყისს ნიკო უგუნებოდ შეხვდა. ის ერთგვარ უკმაყოფილებას გამოთქვამდა თეატრის მაშინდელი ადმინისტრაციის მიმართ. მთის სპეტაკი ბუნების წიაღში დაბადებული და აღზრდილი კაცისათვის უცხო იყო ყოველი არაგულწრფელი მოქმედება. იგი უსამართლობას ვერ ეგუებოდა და ყველას, მიუხედავად თანამდებობისა, პირდაპირ ეუბნებოდა სიმართლეს. ბევრ სხვა „წვრილმანს“ ისიც მოჰყვა, რომ თეატრის ადმინისტრაციას იმ წელს გასტროლებისკენ ეჭირა თვალი. ოპერის თეატრის ხელმძღვანელებზე განაწყენებულმა ნიკომ დატოვა მშობლიური სცენა და სანდრო ინაშვილთან ერთად ლენინგრადში წავიდა“.

როგორც ჩანს, ვ. გაფრინდაშვილს მწვავედ განუცდია ასეთი ძალების ჩამოშორება ოპერის დასიდან, რაც შესანიშნავად არის გამოხატული 1934 წლის ზაფხულში დაწერილ ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „საოპერო თეატრის არდადეგები“, „ისე, ვით ლუდვიგ ბავარიელი, მე ვარ თეატრის ერთი მცხოვრები“, აღნიშნავს იგი და ხაზგასმით მიუთითებს, რომ ოპერას ამ პერიოდში სიმკრთალე და სიცარიელე დაეტყო — „ოპერა მკრთალი და ცარიელი მე სხვანაირად მემახსოვრება“ — ვკითხულობთ ლექსში და შემდეგი სტრიქონები პოეტის ამ მოგონებას ეთმობა: „მახსოვს ორკესტრის მე გრიგალები. ცისფერ სოპრანოს ავყაავდი ზევით, აქ ტენორების გვწვავდნენ ალმები შეუდარებელ ცეცხლის დაფრქვევით... სადღა არიან ხმები მგრგვინავი, ნუთუ არ დარჩა მათი სურნელი? აქ სიჩუმეა დღეს მობანავე და მოგონება განუკურნელი.“

შეუძლებელია უფრო ღრმა თეატრალი ჭირისუფლის წარმოდგენა, ვიდრე ვალერიან გაფრინდაშვილია. აკი თავადვე წერს კიდეც, რომ ეს ასეა და ეს სტრიქონებიც შესანიშნავად გვახსენებს პოეტის, მუსიკის ტრფიალის იშვიათ პორტრეტს: „ხმების აჩრდილებს ეს ჩემი გლოვა! ვუცდი ბეთჰოვენს — ამაყ ორეულს: ის ორკესტრიდან შავად ამოვა და მანუგეშებს ძმას ცრემლმორეულს. გავყვები ლოტბარს, ისე ვით მამას, ჩავალ ორკესტრის უცხო მხარეში. გულში ერთ საკრავს ჩავიკრავ ლამაზს — თავგანწირული მისი ფარეში“.

როგორც ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიიდან ირკვევა, მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ქრისტინეს (რევაზ გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“) როლის პირველ შემსრულებელს ო. აგასოვა-კალანდაძეს, რომელსაც აღტაცების ნიშნად მიუძღვნა კიდეც მშვენიერი ლექსი „მორიალი და სოპრანო“. „ღამე მაღალი, როგორც კათედრა, საჯნებო როგორც კაბის შრიალი. მთვარის ნიავმა გადაათეთრა ქოში, სოპრანო და მორიალი“.

ამ წლებში ვანო სარაჯიშვილი მიყოლებით მღერის ლირიკულ და დრამატულ პარტიებს: „ლოენგრინი“, „ფაუსტი“, ჰუგენოტები“, „კარმენი“, „პიკის ქალი“, „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“. უეჭველია, ვანოს ტენორით მოჯადოებული შეურჩევს თავის ლექსებს ამგვარ მეტაფორებს: „თოვლი მობრძანდა ტენორის ყელით და უსპეტაკეს ხელთათმანებით... ლალის მანდილში დაგრეხილი თეთრი ტენორი გვიმღერს ლურჯად უვერგვინო და ნაოცნები“.

1928-1929 წლების სეზონში კვლავ განუახლებიათ თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე ჯ. მეიერბერის ოპერა „ჰუგენოტები“, რაულის როლს ნიკო ქუმსიაშვილი ასრულებდა. პოეტის უთარიღო ლექსებში გამორჩევით ქღერს ვალერიან გაფრინდაშვილის მშვენივრად განწყობილი სტრიქონები: „მემუსიკეებმა გადაშალეს სწრაფად ნოტები და დირიჟორმა აამაღლა კვერთხი ქართული, ძველი ოპერა გაეიგონეთ „ჰუგენოტები,“ სმების მარულა უგვირგვინო და დაფარული“.

პოეტის ამ აღტაცებაში, ცხადია, დიდი წილი ედო ევგენი მიქელაძეს — „მუსიკალური ნერვების უცნაურ კვანძს და ცეცხლმოდებულ ხელოვანს“. მის ყურადღებას სცენაზე ნაკლებ როდი იპყრობდა მემუსიკეთა „სარდაფი“. თავის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ლექსში პოეტი თვეად გადმოგვცემს, როგორი განწყობილებებით და ემოციებით უცქერის სპექტაკლს საოპერო თეატრის ქანდარიდან, რა ძალით ეუფლება მთელ მის არსებას უვერტიურა.

არანაკლები ინტერესით გვესაუბრება იგი პარტერის შთაბეჭდილებაზე, მისი ყურადღების მიღმა არაფერი არ რჩება თეატრში: „მე არ მაოცებს პარტერი შავი, რომ იკლაკნება ქვევით, სიღრმეში, სწვავს ოცნებას ერთი საკრავი, ავარდნილ ხმების სუსხიან ტყეში“. ამ საკრავს ვალერიანი წეროს დაარქმევს, რომელიც ასე აფიცხებს მის პოეტურ ფანტაზიას. მას იგი სიზმარეულს უწოდებს, მთელ დარბაზს რომ იმორჩილებს.

და ისევ სცენა, ისევ საყვარელ ჰანგებით ტკბობა და თავდავიწყება: „თავის არიას გრგვინავს ფაუსტი. მას ოქროსფერი უსმენს ქალწული, მე ვალპურგიის ღამეს დავუცდი, ამღერებული და ფერწასული“.

იშვიათი სინაზითა და სინატიფით განსხეულდება საოცარი ჰანგი პოეტის არსებაში და ასეთსავე გამოძახილს პოვებს მის ამ უკვდავ სტრიქონებშიც. „რაღაც სურნელი მატირებს ლურჯად, ვით მოგონება გამქრალ წეროზე და ორკესტრიდან ამოდის ურჩად მაღალი ია მაღალ ღეროზე...“

პოეტის ეს ცრემლიც საზღაურია იმისა, სასწაულებრივი ჩვენება რომ ბადებს სცენაზე. თეატრალური, არტისტული დღესასწაული, განუმეორებელი ჰანგებისა, დიდოსტატების, მაღალშემოქმედების მადლით რომ არის ცხებული.

**ციური ხეთერელი.**

---

**სეზონის მიწურულს**

# თეატრალური ივნისი



ეს თვე თეატრალურ ცხოვრებაში უკვე სეზონის მიწურულია და ეს ის დროა, როცა ბოლო საპრემიერო სპექტაკლები კიდევ ერთხელ აცოცხლებს თეატრალურ აფიშებს, მერე კი ჩვეული რიტმი თეატრში მაინც ნელდება. დედაქალაქის სახელმწიფო თეატრებში ზოგან უკვე დაეშვა ფარდა, მაგრამ ეს მხოლოდ მაყურებლისთვის, სინამდვილეში დასი არ წყვეტს მუშაობას, რეპეტიციები გრძელდება... ახლა უკვე მომავალი თეატრალური სეზონის ახალ სპექტაკლებზე.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი 5-დან 11 ივნისის ჩათვლით ისრაელში მართავდა სპექტაკლებს. დასი მონაწილეობდა იერუსალიმის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში ორი დადგმით — ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრით“ და შექსპირის „მაკბეტით“. იერუსალიმის თეატრონში რუსთაველელებმა თითოეული სპექტაკლი ორ-ორჯერ გაითამაშეს. როგორც დასის წევრები ამბობენ „კავკასიურმა ცარცის წრემ“,ისევე როგორც ამ 7-8 წლის წინათ, ახლაც მოხიბლა ებრაელი მაყურებელი, „მაკბეტით“ კი, გასაოცარია, ნაკლებად დაინტერესებულა.

ამავე პერიოდში თბილისში დარჩენილმა მსახიობებმა მცირე სცენაზე წარმოადგინეს პრემიერა შილერის „მარიამ სტიუარტი“, რომელიც დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ.

15 ივნისს რუსთაველელებმა დახურეს მიმდინარე თეატრალური სეზონი ლაშა თაბუკაშვილის პიესით „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“. ამჟამად მიმდინარეობს დასის შევსება — განახლების პროცესი.

თბილისის უპირველეს მუსიკალურ თეატრში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოსალოდნელი პრემიერა ბიძინა კვერნაძის „მედეა,“ მომავალი სეზონისათვის გადაიდო. სარეპერტუარო სპექტაკლებიდან მაყურებელს საშუალება ექნება იხილოს სეზონის საუკეთესო საბალეტო დადგმა „სიმფონიური ცეკვები“. 28 ივნისს კი გაიმართება ბალეტის ახალგაზრდა სოლისტის, ვასო ახმეტელის დებიუტი ადანის ბალეტ „ჟიზელში“ გრაფ ალბერტის პარტიაში. მისი პარტნიორი ჟიზელის როლში იქნება ეკა ბეზირგანი, წარმოდგენას უდირიჟორებს რევაზ ტაკიძე.

მარჯანიშვილელებმა თავიანთ დიდ დამაარსებელს მიუძღვნეს სეზონის დასასრულს ერთიმეორეს მიყოლებით წარმოდგენილი სამი სპექტაკლი, მიმდინარე სეზონის სამი ახალი დადგმა. ესენია ა. ჩეხოვის „სამი და“, დოსტოევსკის „მარადი ქმარი“ და ლ. როსებას „სახლის ანგელოზები“. 15 ივნისს ფარდა დაეშვა, მაგრამ თეატრის კედლებს მიღმა კვლავ გაცხოველებით მუშაობენ. დასი ოქტომბერში თბილისში ხელოვნების საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობისათვის ემზადება. იგი ედინბერგის ფესტივალის ანალოგი იქნება, ოღონდ მცირე მასშტაბით და მისი ერთ-ერთი მასპინძელი სწორედ მარჯანიშვილის თეატრი იქნება.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრი 25 ივნისს სეზონს ხურავს კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას ოპერეტით „კინტო“, რომლის პრემიერაც ხუთ ივნისს გაიმართა. ეს ქალბატონ ნუნუს პირველად დადგმული მუსიკალური სპექტაკლია ამ თეატრში. სხვათა შორის, აქვე მიმდინარეობს რეპეტიციები ამავე კომპოზიტორის მეორე ნაწარმოებზეც, მიუზიკლზე „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“. პარალელურად მსახიობები მუშაობენ გოგი ჩლაიძის ნაწარმოებზე „მეირო“. ახალ სპექტაკლზე იწყებს მუშაობას ბატონი გიგა ლორთქიფანიძეც.

სეზონის ბოლო პრემიერით — რობერტ ტომას „სასიკვდილო განაჩენის“ წარმოდგენით დაასრულა მიმდინარე სეზონი სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულმა თეატრმა. გრძელდება რეპეტიციები ახალ სპექტაკლებზე.

ჩვეული რიტმით განაგრძობს მუშაობას მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი. ახლახან, 7 ივნისს, მათ მაყურებელს უჩვენეს პრემიერა — ფედერიკო გარსია ლორკას „მარიანა პინედა“. იგი ახალგაზრდა რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ დადგა. სარეპერტუარო სპექტაკლების ჩვენება გრძელდება.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი უცხოელი მეგობრები

# მოკითხვა ყველას, ვისაც დღემდე ახსოვს და უყვარს იოვანა



ქალბატონი იოვანა ფასუ-კალპაქსი ამალიადაში დაიბადა. ცნობილი მხატვრის კონსტანტინე ფასუს ქალიშვილია. მან თავისი სამუსიკო კარიერა მსუბუქი მუსიკით დაიწყო. მრავალ ფესტივალზე მონაწილეობდა მუსიკის კორიფეებთან ერთად, მიღებული აქვს უამრავი ჯილდო საბერძნეთსა თუ მის საზღვრებს გარეთ. იგი საქართველოშიც იყო და ქართველ მსმენელს თავი იმდენად შეაყვარა, რომ მის მიერ შესრულებული „თბილისი“ დღემდე დაუვიწყარია.

ამჯერად იოვანა ნაყოფიერად მოღვაწეობს სამწერლო ასპარეზზე. გამოცემული აქვს ცხრა წიგნი, მათგან ხუთი მითოლოგიის ისტორიაზე, ლექსების ოთხი კრებული, პიესები, რომლებითაც დაინტერესდა საბერძნეთის ეროვნული თეატრი და შესაძლოა რომელიმე მალე განხორციელდეს კიდეც სცენაზე. დიდი წარმატებით უჩვენებენ ტელეეკრანზე მისი ნაწარმოების მიხედვით გადაღებულ ტელესერიალს.

– სიმღერა 12 წლისამ დავიწყე, – ამბობს ქალბატონი იოვანა, პატარაობაში კი, დედა ძილისპირულს რომ მიმღეროდა, თურმე მეც ავყვებოდი ხოლმე. სიმღერით დაიწყო ჩემი ცხოვრების პირველი ეტაპი. კმაყოფილი ვარ განვლილი გზით, ვთვლი, რომ საკუთარი თავი ვიპოვე, ბევრს მივაღწიე, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრი მაქვს და, იმედია, რომ მომავალშიც არ მიმტყუნებს ბედი.

**— დღეს თუ მღერით?**

– თუ მიწვევა მაქვს კი, მაგრამ ეს ისე, სევდის გასაქარვებლად, უმთავრესად კი ვწერ. ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად, შვილი არ მყოლია, და ჩემი წიგნები არიან ჩემი სულიერი შვილები. არც დიდი ქალაქები, არც მოგზაურობები აღარ მიტაცებს, ვამჯობინებ ზღვასთან ახლოს ან მთაში ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ განმარტოებას ვცდილობ, თუ შესაძლებელი იქნებოდა, სიამოვნებით მოვინახულებდი საქართველოს და უკეთესად გავიცნობდი როგორც ქართველებს, ისევე მათ მიწა-წყალს.

**— ხომ არ აპირებთ საქართველოზე რაიმეს დაწერას?**

– თქვენს სამშობლოში სამჯერ ვარ ნამყოფი, სამ-სამი დღით, დამეთანხმებით ეს ძალიან მცირე დროა იმისათვის, რომ საქართველო კარგად გამეცნო და მასზე რაიმეს დაწერა შევძლო. თუ ავტობიოგრაფია დავწერე, თქვენს ლამაზ კუთხეს და გულთბილ მასპინძლობას აუცილებლად მოვიხსენიებ.

**— საქართველოში კონცერტის გამართვის სურვილი თუ გაქვთ?**

– სურვილი ნამდვილად მაქვს, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ ეხლანდელი გამოსვლა აჯობებს ადრინდელს. ამისათვის სათანადო მომზადება დამჭირდება.

**— ქართველი მსმენელი საესტრადო ჟანრის მომღერლად გიცნობთ.**

– დამთავრებული მაქვს მუსიკალური შეიდწლედი. როდესაც სცენას ვეზიარე, ფორტეპიანოზე ვასრულებდი კლასიკურ ნაწარმოებებს. ვმონაწილეობდი საოპერო დადგმებში, ოპერეტებში. ტურნეებს ვმართავდი ამერიკაში, ლათინურ ამერიკაში, ევროპაში, სსრკ-ში. თბილისის გარდა გასტროლებზე ნამყოფი ვარ ოდესასა და ლენინგრადში. ვასრულებდი, აგრეთვე ფრანგულ სიმღერებს და ამის გამო პატივი მქონდა ვყოფილიყავი „შანზე-ლიზეში“ – რადიოგადაცემების დირექტორი. გამოცემული მაქვს უამრავი დისკი, ერთ-ერთი ბოლო დისკი გავაგზავნე საქართველოში და ალბათ იქ უკვე მისმენენ.

**— ქართულ ენაზე ძნელი იყო თქვენთვის „თბილისის“ შესრულება?**

– ეს ენა საოცარია, არაფრით არ ჰგავს არანაირ სხვა ენას, როგორც, მაგალითად, უნგრული. იალტაში ვიმყოფებოდით, როდესაც „თბილისო“ მომიტანეს. იგი საქართველოს დედაქალაქში გასტროლების დროს უნდა შემესრულებინა. ტექსტი რუსულ და ქართულ ენებზე იყო დაწერილი და გადავწყვიტე ქართულად მემღერა. ამიტომ ქართველის მებნა დავიწყე, როგორც იქნა „გამოვიჭირე“ ერთი „გრუზინი“ და ლათინური ასოებით ქართული ტექსტი ჩავიწერე. ასეთ დიდ წარმატებას ნამდვილად არ ველოდი. უდავოდ ლამაზია საქართველო, ხალხიც ძალიან სტუმართმოყვარე. იმედია, ქართველი ერი მალე გაართმევს თავს არსებულ პრობლემებს. მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყურადღებისათვის და თქვენი გაზეთის მეშვეობით გულთბილი მოკითხვა გადაეცე ყველას, ვისაც დღემდე ახსოვს და უყვარს იოვანა.

რამდენიმე ხნის წინათ კომპანია „ქართული ტელეფილმების“ გადამღები ჯგუფი იმყოფებოდა საბერძნეთში ქალბატონ იოვანასთან. ეს შეხვედრა, რომელიც მოაწყო საქართველოს კონსულმა საბერძნეთში ლადო გაბელიამ ფირზე აღიბეჭდა და ნაჩვენები იყო საქართველოს ტელევიზიით.

ქალბატონმა იოვანამ გულთბილად მიიღო ჯგუფის წევრები. გაიხსენა საქართველოში გატარებული დღეები და მისი კვლავ მონახულების სურვილი გამოთქვა. მან ჩვეული ოსტატობით იმღერა „თბილისო“ პატარა იმპროვიზირებულ სუფრასთან.

დამშვიდობებისას ქალბატონმა იოვანამ საჩუქრად გადმომცა თავისი წიგნი „შეფერადებული მზე“, რომელიც საბერძნეთში უკვე 17-ჯერ გამოიცა და მთხოვა, რომ თუ მოხერხდებოდა მისი ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა, მისი კუთვნილი თანხა უსახლკარო ბავშვებისათვის გადამეცა. თუ ვინმეს სურვილი ექნება დაგვეხმაროს ამ კეთილ საქმეში, შეუძლია დაგვიკავშირდეს.

**ნინო ბაჯელიძე,**
**ათენი**

## გამოსათხოვარი



# მოკლე სიტყვა დიდ მსახიობზე

სანქტ-პეტერბურგში გარდაიცვალა რუსეთის თეატრის დიდი მსახიობი, ჩვენი თანამემამულე ევგენი ლებედევი. მის სიკვდილს მთელი რუსეთი დიდი მწუხარებით შეხვდა. ჩვენს ქალაქში, სადაც იგი დაიბადა და მოღვაწეობდა, დავაქკაცდა როგორც ხელოვანი და ხალხის დიდი აღიარებაც დაიმსახურა, დღემდე დაუვიწყარია ბევრი როლი, განსაკუთრებით კი მისი „ბაბა-იაგა“, რომელიც სამუდამოდ დარჩა მაშინდელი ბავშვებისა და უფროსების მეხსიერებაში.

რუსეთში ე. ლებედევის სახელი მალე გახდა ცნობილი ფართო მაყურებლისათვის. მოსკოვის შემდეგ, სადაც მოკლე ხანს საბავშვო თეატრში მუშაობდა, ლებედევი თავის უახლოეს მეგობართან, დიდ რეჟისორთან გიორგი ტოვსტონოგოვთან ერთად სანქტ-პეტერბურგში მიდის და სამუდამოდ იმ ქალაქში რჩება.

მისი ხელოვნების გაფურჩქვნა სწორედ იქ, სანქტ-პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრში მოხდა. იქ, გიორგი ტოვსტონოგოვის გვერდით ლებედევი დიდ ხელოვნად ჩამოყალიბდა და თეატრის ერთ-ერთი პირველი მსახიობი გახდა. აქ ტოვსტონოგოვთან ერთად შექმნა თავისი საუკეთესო როლები.

ამ როლებს ყოველთვის ახასიათებდა არა მარტო მსახიობის უზადო ოსტატობა, გასაოცარი უნარი სცენური გარდასახვისა, არამედ ის არაჩვეულებრივი გასაქანი, რომლის მეშვეობით შეეძლო დიამეტრულად საპირისპირო როლების გააზრება – კომედიიდან – ტრაგედიამდე, დრამიდან – ჭეშმარიტ ბუფონადამდე. ასეთი გაქანება, ან უფრო სწორად, ასეთი გარდასახვის უნარი, მისი შემოქმედებითი ბუნების დამახასიათებელ თვისებად გადაიქცა.

ლებედევს ზოგჯერ ტრაგიკულ მსახიობად მიიჩნევდნენ, ზოგჯერ კი თვლიდნენ, რომ იგი შესანიშნავი კომიკოსია. ამაში ლოგიკა არის – კომიკურიდან ტრაგიკულამდე ხომ ერთი ნაბიჯია. მაგრამ ეს ნაბიჯი უნდა გადადგმულიყო ლაღად და თავისუფლად. ლებედევს ჰქონდა ამის უნარი. ეს უნარი შესანიშნავად აღიბეჭდა მის ჭეშმარიტად დაუვიწყარ სცენურ ქმნილებაში – როგოჟინში, ბესსემენოვში, უხოვში, მის ჭეშმარიტად გასაოცარ ქმნილებაში – სპექტაკლ „ცხენის ისტორიაში“, სადაც ცხენის როლს ასრულებდა. მისთვის არ არსებობდა სცენური სირთულეები. ამ სირთულეების გადალახვაში იგი დიდ სიმაღლეებს აღწევდა და იქ ლაღად გრძნობდა თავს.

ე. ლებედევი მოაზროვნე მსახიობი იყო. ამის დადასტურებაა მისი წიგნი „ჩემი ბესსემენოვი“, სადაც აღბეჭდილია მისი ცხოვრებისა და შემოქმედების თავისებურებანი.

გ. ტოვსტონოგოვმა ამ წიგნს მსახიობის აღსარება უწოდა.

მსახიობის აღსარება სამუდამოდ ჩვენთან იქნება.

**ეთერ გუგუშვილი.**

## ჩვენებურები

# თეატრი მათთვის სანუკვარია...



ჰერეთში — საინგილოში, კახის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ალიბეგლოს (ქათმისხევი) გამორჩეულად ამშვენებს ერის ბურჯის, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული სახალხო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ დოლენჯაშვილი).

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო ანზორ დოლენჯაშვილი, როცა ღმერთმა შთააგონა საინგილოში ჩამოსვლა და ქართული თეატრის დაარსება. მასზეა ნათქვამი „სახარე ხბოს კოჭებში ეტყობაო“. მისი მიზნები სხვა ახალგაზრდებისაგან მკვეთრად განსხვავდება.

ანზორ დოლენჯაშვილი აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც ყველას როდი შეუძლია. იგი ნამდვილი პატრიოტი და რაინდია. ამ თეატრში მოღვაწეობა მას სტიმულს ანიჭებს, ცხოვრებას უხანგრძლივებს.

ალიბეგლოელებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ მათ სოფელში ქართული სახალხო თეატრი დაიდებდა ბინას. ალბათ არც მზია მჭედლიშვილსა და მანანა კვირკველიას — იმხანად თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტებს უფიქრიათ ამაზე, რომ სპექტაკლებს დგამდნენ საინგილოში (პირველი სპექტაკლი გიორგი ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი“ და ლადო ასათიანის „ბასიანის ბრძოლა“ იყო), სწორედ მათი უშუალო დახმარებით შეიქმნა ალიბეგლოს თეატრი, რომელმაც გამოაფხიზლა ქართველობა და აღორძინა ქართული კულტურა. ეს მოხდა 1981 წელს.

ორი სპექტაკლის დადგმის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამ ხალხის სახით ჭეშმარიტ ქართველებთან მქონდა საქმე — ამბობს ბატონი ანზორი.

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტების მოწვევისა და სპექტაკლების დადგმის ინიციატორი ბორის ათამაშვილი იყო.

დღესდღეობით თეატრის დასი ძირითადად არაპროფესიონალი მსახიობებისაგან შედგება. განსაკუთრებით გამოვყოფდი მსახიობ ლალი ბაჩალიაშვილის არტისტულ ნიჭს. ლალი აღმოჩენა იყო ჩვენთვის, ამ გოგონამ ისე ოსტატურად განასახიერა ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნაში“ ორი როლი — თინა ექიმისა და მოშიაშვილის, — რომ ვერც კი მივხვდით, ორივეს ერთი მსახიობი თუ თამაშობდა და, თანაც, ახალგაზრდა ქალიშვილი. ასევე შეიძლება ითქვას თითოეულ მათგანზე.

თეატრის მსახიობთა სიყვარული ქართული კულტურისადმი უსაზღვროა, ისინი ამაყობენ, რომ ქართველები არიან და მთელი ენთუზიაზმით ეკიდებიან საყვარელ საქმეს.

ალიბეგლოს სახალხო თეატრს საკმაოდ ძლიერი პროფესიული ბაზა აქვს — საბავშვო სტუდია. სამსახიობო ოსტატობის ელემენტებს აქ სკოლის ასაკიდანვე ეუფლებიან. ბატონი ანზორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მეტყველების კულტურას ანიჭებს. მისი აზრით, საინგილოს თეატრი სწორი, დახვეწილი ქართული ლიტერატურული ენის ასპარეზი უნდა გახდეს.

დღეს სოფელ ალიბეგლოს კულტურის სახლთან არსებული ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული სახალხო თეატრი ცნობილია საქართველოში. ალიბეგლოელები არაერთხელ ჩამოსულან თბილისში თავისი საუკეთესო სპექტაკლებით.

ამ სპექტაკლების წარმატება თეატრის მსახიობთა ბუნებით მომადლებული განსაკუთრებული არტისტული ნიჭის შედეგია.

ანზორ დოლენჯაშვილმა არაერთი საინტერესო სპექტაკლი შექმნა, მათ შორის რევაზ გაბრიაძის „უცხო ჩიტი“, ა. გეწაძის „შუაზე გაყოფილი ცრემლი“, ბორის ლავრენიევის „ორმოცდამეერთე“, დავით აწყურელის „ბერბიჭები“ და სხვა.

მალე თეატრი წარმოადგენს ლაშა თაბუკაშვილის — „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“, როსტანის „სირანო დე ბერჟერაკს“ და გიორგი ერისთავის „ბიძასთან გამოხუმრებას“.

ალიბეგლოს ქართულ სახალხო თეატრს ხელის შეწყობა სჭირდება. ერთსართულიანი პატარა შენობა შესაკეთებელია და ტექნიკური საშუალებებიც უნდა განახლდეს.

ცნობილია, რომ ალიბეგლოს ქართულ სახალხო თეატრს დიდ დახმარებას უწევს საქართველოს კულტურის სამინისტრო და საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი. მათი დახმარების გარეშე თეატრი ერთ დღესაც ვერ იარსებებდა. ალბათ არც ამჯერად დაიშურებენ ძალისხმევას.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, წინსვლა და შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვოთ საინგილოს ქართულ თეატრს.

**თეა ცაგურიშვილი,**
**მაია ასაკაშვილი.**

გამოიცა

# ესოდენ საჭირო

ლილი გვარამაძე



ქართული საცეკვაო ფოლკლორი

გამოჩენილმა ბალერინამ, საქართველოს სახალხო არტისტმა, ქართული ცეკვის ფენომენის პირველმა მკვლევარმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ლილი გვარამაძემ მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა ქართულ ქორეოგრაფიას, მის მეცნიერულ შესწავლას. იგი აქტიურად იყო ჩაბმული ხალხური შემოქმედების მოვლა-პატრონობის, მისი სიწმინდის დაცვის სამსახურში. სიცოცხლის ბოლო წუთამდე, ლილი გვარამაძე საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდა.

პროფესორ ლილი გვარამაძის წიგნი „ქართული ხალხური ქორეოგრაფია“ მკითხველისათვის ცნობილია ჯერ 1956 წლის ქართული, ხოლო შემდეგ 1985 წლის მცირეტირაჟიანი რუსული გამოცემით („ქართული საცეკვაო ფოლკლორი“). აღნიშნული გამოცემები კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და სულ უფრო და უფრო ძნელად ხელმისაწვდომია.

„ქართული საცეკვაო ფოლკლორი“ ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული წიგნების შევსებულ-შეჯერებული ვარიანტია, რომელზეც დიდი რუდუნებით უმუშავიათ რედაქტორებს ბაია ასიეშვილსა და ოთარ ციციშვილს, აგრეთვე კონსულტანტს უჩა დვალიშვილს.

ესოდენ საჭირო წიგნი გამოსცა საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტურის სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა (დირექტორი ცისანა ქოჩეჩაშვილი), სწორედ იმ დაწესებულებამ, სადაც სახელოვანი მსახიობი და მეცნიერი წლების განმავლობაში უძღვებოდა ქორეოგრაფიულ სექციას. ამ უნიკალური წიგნის ხელახალი გამოცემა კარგ სამსახურს გაუწევს ქართული ქორეოგრაფიით დაინტერესებულ სტუდენტ-ახალგაზრდობასა და სპეციალისტებს.

ლილი გვარამაძე სიცოცხლის ბოლო წლებში შეუდგა თავისი ნაშრომების ხელახლა გამოცემაზე ზრუნვას, მუშაობდა მისი ახალი მასალებით შევსებაზე, ტერმინოლოგიის დახვეწა-დაზუსტებაზე, მაგრამ სამწუხაროდ ავტორის სიცოცხლეში წიგნის გამოცემა არ მოხერხდა. ამდენად, წინამდებარე წიგნი, როგორც წინათქმაში აღნიშნავს ცისანა ქოჩეჩაშვილი, — ლილი გვარამაძის ნატვრის ასრულებაც არის და ერთგვარი ვალის მოხდაც მისი ნათელი ხსოვნის წინაშე.

„ქართული საცეკვაო ფოლკლორის“ შეძენა შეგიძლიათ რუსთაველის პროსპექტზე, № 22-ში, ხალხური შემოქმედებისა და კულტურის სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრში.

**მაია ფურცელაძე.**

ვულოცავთ

# დრამატურგის შუადღე



ჩვიდმეტი წლის წინათ რუსთაველის თეატრის რეპერტუარში გამოჩნდა სპექტაკლი „შემლილი, შემლილი... ახალი წელი“, მახსოვს პრემიერის დღე, წარმოდგენის შემდეგ დამდგმელმა ჯგუფმა დარბაზიდან სცენაზე იხმო პიესის ავტორი, ახალგაზრდა დრამატურგი თამაზ მეტრეველი, ახალი ავტორის გაცნობა სახელგანთქმული თეატრის სცენიდან მართლაც მნიშვნელოვანი ამბავი იყო. უდავოდ ნიჭიერი დრამატურგი გაგვაცნო ამ სპექტაკლმა, ისეთი ხელოვანი, რომელიც კარგად იცნობდა ცხოვრებასაც და თეატრსაც. თანამედროვე საზოგადოების მტკივნეულ საკითხებზე აგებულ სპექტაკლს კარგა ხანს არ მოპკლებია მაყურებელი.

სწორედ იმხანად გავიცანი პირადად ბატონი თამაზი, რომელსაც ამ დღეებში 50 წელი უსრულდება.

საინტერესო შემოქმედებითი გზა გაიარა თამაზ მეტრეველმა. თელაველ ბიჭუნას განსაკუთრებით იზიდავდა თეატრში ყოფნა, თელავის თეატრმა დიდი როლი შეასრულა მისი ინტერესების ჩამოყალიბებაში. ძალიან უყვარდა კითხვა, ასევე აღმოაჩნდა დეკლამატორის ნიჭი, სასკოლო წარმოდგენებში ხშირად მონაწილეობდა, მათი სკოლის დასი თავისი სპექტაკლებით მთელ რაიონს ემსახურებოდა. ყველას ეგონა, რომ თამაზი მსახიობის პროფესიას აირჩევდა, მაგრამ მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. 70-იან წლებს დაემთხვა მისი სტუდენტობა, ამ დროს უნივერსიტეტში მჩქეფარე ლიტერატურული ცხოვრება სუფევდა, დღეს ბევრი მაშინდელი სტუდენტი უკვე ცნობილი მწერალია, მათ შორის არის ჩვენი იუბილარიც.

იგი მწერლობაში ლექსებით შემოვიდა, მერე საბავშვო პიესა დაწერა, რომელმაც ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვა და დაიბეჭდა კიდეც „პირველ სხივში“.

დიდი ლვაწლი დასდო თამაზ მეტრეველმა ქართულ თოჯინურ თეატრს, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, გურჯაანის თოჯინების სახელმწიფო თეატრების რეპერტუარში საჩინო ადგილი დაიკავეს მისმა პიესებმა „ელსადგური“, „გერიტი“, „უფლისწული“, „ბუ და პატარა ობობა“, „კარუსელი“, „ძაღლთა მეფე“, „როგორ გახდა მელა მზარეული“.

დრამატულ თეატრებში წარმატებით განხორციელდა თამაზ მეტრეველის პიესები — „ძველი ფურნე“ (მეტეხის ახალგაზრდული თეატრსტუდია); „შემლილი, შემლილი... ახალი წელი“ (რუსთაველისა და ახალციხის სახელმწიფო თეატრში), „ბზარი“ (სენაკისა და ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში), „ბზარი“ უმალ ითარგმნა რუსულ ენაზე და დაიბეჭდა ჟურნალ „სოვრემენნაია დრამატურგიაში“.

თამაზ მეტრეველის ბოლო დროს გამოქვეყნებული პიესა „ეშმაკის ხარხარი“ ჯერ არსად დადგმულა, დასანანია, რომ დღემდე არცერთი რეჟისორი მისით არ დაინტერესებულა. არადა, უაღრესად საყურადღებო ნაწარმოებია, რომელშიც მძაფრად არის ასახული ჩვენი სინამდვილე — გადაგვარებული, დაკნინებული ზნეობა.

ბატონი თამაზი თვლის, რომ ზოგჯერ ხელოვნებაზე უფრო ძლიერია სინამდვილე, ბოლო დროის მოვლენები საქართველოში სწორედ ასეთი აღმოჩნდა, ამიტომ მართლაც ძალიან რთულია თანამედროვე თემაზე ნაწარმოების შექმნა. „ეშმაკის ხარხარის“ წაკითხვა გვარწმუნებს, რომ იგი ჭეშმარიტი დრამატურგის ოსტატობით არის შექმნილი.

თვით ბატონი თამაზი თვლის, რომ თავისი შესაძლებლობების ხუთი პროცენტის რეალიზაციაც ვერ მოახერხა, ბევრი რამ იყო ხელისშემშლელი, ჩვეულებრივ, თეატრში დრამატურგი პირველ კაცად უნდა ითვლებოდეს, — თეატრი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული დრამატურგთან კონტაქტით, ჩვენში კი წლები ისე გადის, რომ არავის სჭირდები, — გულისტკივილით ამბობს იგი.

ვულოცავ შესანიშნავ დრამატურგსა და ძვირფას პიროვნებას თამაზ მეტრეველს საიუბილეო თარიღს, 50 წელი დრამატურგისთვის საუკეთესო ასაკია, საუკეთესო პიესებიც მას დასაწერი აქვს. დრამატურგია, თეატრსა და რეჟისორზე დამოკიდებული პროფესიაა, ამიტომაც იმსახურებს მეტ ყურადღებას.

მჯერა, ქართული თეატრის რეპერტუარში ამიერიდან უფრო ხშირად გაიხმიანებს თამაზ მეტრეველის სახელი და სიტყვა.

**გიორგი ლალიაშვილი.**

ღიმილიანი ეპიზოდები

## ნუნუ მაჭავარიანის ნაამბობიდან

# ფაიტონი

საქართველოს დამსახურებული მსახიობი ნუნუ მაჭავარიანი ხშირად იხსენებდა კოტე მარჯანიშვილის უცნაურობებს.

კოტე მარჯანიშვილს, თურმე, ძალიან უყვარდა ნუნუ, როგორც ნიჭიერი ქალი, მაგრამ არც ის იყო კოტეზე ნაკლები თავისი ჭირვეულობებით, კაპრიზებით, მძიმე ხასიათითა და ეჭვიანობით. ნუნუს ფიზიკური მშვენიერება თუ ატანინებდა კოტეს მის ხასიათს.

ბატონი კოტე ფაიტონით დაბრძანდებოდა-ხოლმე თეატრში. როდესაც რეპეტიციები დამთავრდებოდა, დაიძახებდა: მომეცით ჩემი ხელჯოხი და ნუნუ მაჭავარიანი წამომყვეს! ამ ყოველდღიურ მანერას ისე იყვნენ მიჩვეულნი, რომ აუცილებლად მიაჩნდათ. ნუნუს მეუღლე ფანჯარასთან ელოდა მოუთმენლად, როდის შეჩერდებოდა ფაეტონი და გადმოვიდოდა ნუნუ, ქვემოდან კოტე შესძახებდა: მიიღეთ თქვენი მეუღლე! — კოლიაც მადლობას ეტყოდა და ფაიტონი განაგრძობდა გზას.

...რეპეტიცია. კოტე უკარნახებს ნუნუს: „აი, აქ წამოიძახე — ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

ნუნუს უკვირს, ამ სპექტაკლში ამ რეპლიკას რა უნდაო, და ჯიქურ ეუბნება: „არ ვიტყვი!“ კოტე ჯავრობს, ყვირის და ბრძანებს: — რეპეტიცია დამთავრებულია! მომეცით ჩემი ხელჯოხი! ნუნუ მაჭავარიანი აღარ მოითხოვა. ნუნუ გაბღუშული დგას. კოტე ტოვებს სცენას, გამოდის, ჯდება ფაეტონში და მიდის.

აგერ, გამოჩნდა ფანჯარაში მომლოდინე ნუნუს მეუღლე. კოტე წამით აჩერებს ეტლს და ეუბნება: — მე, ფაეტონით მოვეთრევი, თქვენი მეუღლე ფეხით მობრძანდება!

მეორე დღეს კი ნუნუს გაულიმებს, ხელზე ემბორება და ეუბნება:

— ყოჩაღ, შენ მართალი იყავი, ვერ შეგაცდინე!

მსგავსი კურიოზები კი თეატრალურ ცხოვრებაში უამრავია...

# ცხვირი

ნუნუ მაჭავარიანის მსახიობური ოსტატობა საყურადღებო იყო იმითაც, რომ კარგად ეხერხებოდა იმიტაცია. მოხუცისა, თუ ახალგაზრდა ქალის, სახის უტყუარი გამომეტყველება ეხერხებოდა და მამაკაცის როლიც. 1960 წელს მან კინტოს როლი ისე გაითავისა, არამც თუ მაყურებელმა, საკუთარმა ქმარმაც ვერ იცნო და იკითხა „როგორ დაითანხმეთ ეს ავლაბრელი კაციო“ — აკაკი ძიძიგურმა სიცილით უპასუხა, ბიჭო, ვერ იცანი? ეს ხომ შენი ცოლიაო“. ჯერ გაოცდა, მერე კი სიცილი აუვარდა,“ — „ნუთუ ნუნუაო?“..

1957 წლიდან ჩვენ ერთად მოგვიხდა მუშაობა, როცა საქართველოში პირველებმა კინომსახიობთა თეატრი შევქმენით. აკაკი ძიძიგურმა, ნუნუ მაჭავარიანი წარმოგვიდგინა და დაგვლოცა. ნუნუ მთავარი რეჟისორი გახლდათ, მე კი ტექრეჟისორ- ადმინისტრატორი.

ნუნუსთან მუშაობა ადვილი არ იყო. უაღრესად ნიჭიერ ქალს საოცრად რთული ხასიათიც ჰქონდა. ეს თითქმის ყველა მსახიობმა იცოდა.

მახსოვს, ერთხელ, ჩვენს საყვარელ მსახიობს, ყორა შავგულიძეს ეთხოვე, იასონის როლის შესრულება. ერთხელ მაინც გაგვახარე მეთქი. ის კი უცებ ჩამეკითხა: ვინ თამაშობს ქრისტინესო? როცა გაიგო მეგი წულუკიძეაო, გაიცინა და მითხრა: „დიდი სიამოვნებით ვუპარტნიორებდი, მაგრამ ნუნუს ყვირილს ვერ ავიტანო.

ნუნუს ერთი უცნაურობა ახასიათებდა: — ცხვირის დაცემინება ეჯავრებოდა, განსაკუთრებით აღიზიანებდა თუ ერთხელ დააცემინებდა ვინმე.

იმ წლებში, მე ყოფილ ვორონცოვზე ვცხოვრობდი, ნუნუ კი — მელიქიშვილის შვიდში. როცა თავში რაღაც ახალი იდეა მომივიდოდა, დილითვე, თავზე დავადგებოდი, ვიმსჯელებდით, რაღაცა გადაწყვეტილებას მივიღებდით და მერე მივდიოდით სტუდიაში. იმ დროს ტრამვაის ხაზი მელიქიშვილის ქუჩიდან ფილარმონიასთან უხვევდა და სტუდიასთან ჩერდებოდა.

და აი, დილაა. ორივე ტრამვაის ვაგონში ვართ. ნუნუს დიდი ფარფლებიანი შლიაპა ახურავს, თეთრი ხელთათმანებითა და თეთრი განსაცმლით, საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა. ის იყო ტრამვაიმ ფილარმონიასთან მოუხვია, რომ მგზავრი-მამაკაცის ცხვირის დაცემინებაც გაისმა. ამას ნუნუს ყვირილიც მოჰყვა:

— ცხვირი, ერთი ცხვირი, გაუხმეს ცხვირი, დაიღუპე!

— დაწყნარდი ნუნუ, რა მოგივიდა, სირცხვილია მეთქი, ვეჩურჩულები, მაგრამ იგი ისევ ყვირის, ხალხი უყურებს და ჩუმად იცინის.

— იძულებული ვიყავი იმ მგზავრისთვის ფარულად მენიშნებინა — როგორმე მეორეც მიეყოლებინა. კაცმა დამიჯერა და მეორედაც დააცემინა, მაგრამ მსახიობი ხომ არ იყო, რომ ნუნუსთვის მოეტყუებინა.

— ყალბია, ეს არ იყო ცხვირი, ყალბია, მოსძვრეს ცხვირი — იყვირა ნუნუმ. — ტრამვაი გაჩერდა, მგზავრი ჩავიდა, აბა რა ექნა? ხალხი კი გამხიარულდა. ის დღე მშვიდად დასრულდა. იმ კაცის ცხვირმა არავინ დააზიანა.

**დოდო ზურაბიშვილი.**

მეგობრული შარჟი



სერგო ზაქარიაძე.



აკაკი კვანტალიანი.

მხატვარი ბელა დურგლიშვილი.

სარედაქციო კოლეგია:
გურამ გოგიაშვილი, ნანა ღვინეფაძე,
რუსუდან მუხიგულაშვილი, გიორგი ლალიაშვილი.

# განცხადება

ცეკავშირის სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, პრიორიტეტული დარგებისა და მიმართულებების განვითარების მიზნით შიდა რეზერვების მობილიზაციის ხარჯზე, ცეკავშირის გამგეობამ გადაწყვიტა საკუთარი მეურნეობის საწარმოთა გამოუყენებელი და ზედმეტი ძირითადი საშუალებების (ობიექტების) საჯარო გაყიდვა აუქციონისა და კონკურსის წესით (გამგეობის დადგენილება № 49 22. 04. 1997 წ.)

პრივილეგია ობიექტების შესყიდვაზე ცეკავშირის სისტემის მეპაიეებსა და საწარმოთა კოლექტივებს ენიჭებათ.

დაინტერესებულ პირებს დეტალური ინფორმაციის მისაღებად ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის, გაყიდვის წესებისა და პროცედურების შესახებ გთხოვთ მიმართოთ სავაჭრო სახლ „ცეკავშირს“ შემდეგ მისამართზე:

თავისუფლების მოედანი № 7, ოთახი 510, ტელეფონი: 99-88-02.

## გასაყიდ ობიექტთა სია:

1. ამბროლაურის სასურსათო კომბინატი
2. წნორის სასურსათო კომბინატი
3. საჩხერის სასურსათო კომბინატი
4. ცაგერის სასურსათო კომბინატი
5. მცხეთის სასურსათო კომბინატი
6. სამტრედიის სასურსათო კომბინატი
7. ქარელის სასურსათო კომბინატი
8. ახალგორის სასურსათო კომბინატი
9. მარნეულის საკონსერვო ქარხანა
10. ხობის დაფნის კომბინატი
11. ლანჩხუთის სასურსათო კომბინატი
12. ვანის სასურსათო კომბინატი
13. თბილისის სასურსათო კომბინატი
14. საჩხერის სასურსათო კომბინატი
15. თერჯოლის საშენ-მასალათა კომბინატი
16. თბილისის სხვადასხვა ნაწარმის კომბინატი
17. ოზურგეთის ჩაის ფაბრიკა (წითელი მთა)
18. ლილოს ბაზა (მატერიალურ-ტექნიკური)
19. გორის საბითუმო სავაჭრო ბაზა
20. გურჯაანის საბითუმო სავაჭრო ბაზა
21. სამტრედიის საბითუმო სავაჭრო ბაზა
22. წიგნით ვაჭრობის რესპ. ბაზა
23. ამანათვაჭრობის ბაზა
24. წნორის სავაჭრო ბაზა
25. ქუთაისის კოოპვაჭრობის მშენებარე მაცივარი
26. თელეთის დამხმარე მეურნეობა
27. თბილისის ტყავნედლეულის რესპ. სავაჭრო ბაზა
28. საწარმო „ვაშლიჯვარი“
29. მაღაზია № 6 სავაჭრო ცენტრი „გლდანი“ (მშენებარე ობიექტი)
30. საწყობი მაღაზია № 10 (ხე-ტყის ბაზა)
31. სურამის პიონერთა ბანაკი
32. კოჯრის დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლი
33. ცხვარიჭამიას პიონერთა ბანაკი
34. გუდაურის კაფე-ბარი.

## ხსოვნა



### ბაბილინა ლომინაძე

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბაბილინა რაფიელის ასული ლომინაძე.

ბ. ლომინაძე დაიბადა 1920 წლის 16 ივლისს ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის პირველი ათწლედი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

მისი მეცნიერული ინტერესების ძირითადი სფერო იყო საქართველოსა და ქართული ეკლესიის ისტორია. განსაკუთრებული როლი შეასრულა მისმა გამოკვლევებმა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და სხვა მოძმე მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღდგენილი ავტოკეფალიის ცნობის საკითხში.

ბაბილინა ლომინაძე იყო საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტი საქართველოს ისტორიის კვლევის სფეროში. მისი მრავალწლიანი კვლევა ამ სფეროში, რამაც სათანადო ასახვა ჰპოვა საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულში, აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო პრემიით.

ბაბილინა ლომინაძის დამსახურებაა არა ერთი და ორი ათეული უცნობი ფაქტის გამოვლენა ქართული ეკლესიის ისტორიიდან და მათი შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. მას ეკუთვნის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ სტატიათა უმრავლესობა, გამოქვეყნებული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში. 1995 წელს იგი აირჩიეს გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

დიდი მეცნიერის, ღირსეული მოქალაქისა და კეთილშობილი პიროვნების – ბაბილინა ლომინაძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მშობელი ერის მეხსიერებაში.

გელათის მეცნიერებათა აკადემია.

### გურამ ქავთარაძე



მოულოდნელია ამ ქვეყნიდან შენი წასვლა, ძმაო გურამ. ჩვენ – ძმადნაფიცებს ჯერაც ხომ არ გაგვნელებია ჩვენი მეგობრების, ჯერ ანზორისა და შემდეგ კი საყვარელი კოტეს სიკვდილი, რამაც უმძიმესი ჭრილობა დაასვა ჩვენს გულებს, და ვინ იცის, იქნებ ამ გარემოებამაც ხელი შეუწყო შენს სიკვდილს, სიკვდილს, რომელსაც არავინ ელოდა. არავინ ველოდით თუნდაც იმიტომ, რომ შენ ჩვენს შორის უაღრესად სიცოცხლით სავსე და ყოველთვის იმედის მომცემი იყავი, გაგაჩნდა განსაკუთრებული უნარი ადამიანებს შორის თბილი დამოკიდებულების დამყარებისა, სწრაფად შედიოდი კონტაქტში სრულიად უცნობ პიროვნებებთანაც კი, რითაც გამოხატავდი ადამიანების მიმართ გულისხმიერებას, თავმდაბლობას, კეთილკაცობას. გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცის გამხნევებისა და დახმარების არაჩვეულებრივ უნარს ფლობდი, ძმაო.

ნათელი ჰფინოს უფალმა შენს სულს და სანთლად ანთებულ შენს ხსოვნას.

დავიწყება არ გიწერია, გურამ.

ჯემალ ბოხუა, გივი ასათიანი, ოთარ კიკნაძე.

## გახსენება

### გივი კობიაშვილი



ჩვენო საყვარელო გივი! უკვე 12 წელი გავიდა უშენოდ, გავიდა ფიქრში, ტკივილში, შენს მოლოდინში. ასე გვგონია, ისევ დაგვიბრუნდები, ისევ გაგვახარებ, ისევ გვიპატრონებ.

რა ბედნიერი ვიქნებოდით ერთად. 22 ივნისს 50 წელი შეგისრულდებოდა, იუბილეს ერთად ვიზეიმებდით, ერთად ვიმხიარულებდით. მოვიდოდნენ შენი მეგობრები, თანამშრომლები, ახლობლები, ნათესავები, ნაცნობები. შენ ხომ ყველას უყვარდი, ყველა გულითად პატივს გცემდა: ვაგლახ, ისინი ახლაც მოელენ, მაგრამ ჭიქა უშენოდ აიწევა, შენი მოსაგონარი დაილევა...

შენ კაცურად ცხოვრობდი. გვეამაყება, რომ ყველგან, ყველა სამსახურში – პროკურატურაშიც, რაიკომშიც, ავტოინსპექციაშიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატშიც – დატოვე ავტორიტეტი, დატოვე პატიოსანი თანამშრომლის, უღალატო მეგობრის სახელი. ეს სახელი დღესაც კეთილად ჟღერს, დღესაც უშურველად მფარველობს შენს ოჯახს, შენს უკვე სტუდენტ ბიჭს, რომელიც საოცრად გგავს არა მარტო გარეგნობით, არამედ ხასიათით, ნირით, ადამიანობით.

საქაოდან ყველას წასვლა დასანანია, მაგრამ გამორჩეულად დასანანია უდროოდ წასვლა შენისთანა ლაღი ახალგაზრდისა, რომელიც თავისი არსებობით ყველას უჩვენებდა დიდბუნოვნების, ინტელიგენტობის, უანგარობის ნიმუშს. ამიტომაც ვერ გივიწყებთ, ამიტომაც გვახსოვხარ შინაურსაც და გარეულსაც.

ნათელში იყავ მარად, ჩვენო ძვირფასო გივი! სხვა [illegible] მყოფელს არ იმსახურებს შენი სპეტაკი სული და შენი ალალი გული, რომელმაც ამქვეყნად მხოლოდ შენ გიმტყუნა, მხოლოდ შენ გიმუხთლა – მეტი არავის!

შენი ოჯახი, შენი მეგობრები.

## ხსოვნა

### გოგი დოლიძე

საქართველოს ჰოლდინგური კომპანია „სოფმშენის“ მრავალათასიანი კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს საქმეთა მმართველი გოგი დოლიძე.

უდროოდ შეწყდა კიდევ ერთი დამსახურებული მშენებლის გულისცემა, რომლის მოღვაწეობა საქართველოში სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების საქმეში ფასდაუდებელი იყო.

განსაკუთრებით დასწყვიტა გული მისმა უდროოდ გარდაცვალებამ საქართველოს სასოფლო მშენებლებს, რომელთა მიმართ ბატონი გოგი განსაკუთრებულ სითბოს ამჟღავნებდა. დიდია მისი დამსახურება სასოფლო მშენებლობის კადრების ჩამოყალიბებაში და მის განმტკიცებაში, რამაც განაპირობა უკანასკნელ წლებში სასოფლო მშენებლობის მიერ მიღწეული წარმატებები.

დაუვიწყარია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის, მგზნებარე პატრიოტის მზრუნველი მეოჯახის და მოსიყვარულე ბაბუის გოგი დოლიძის ხსოვნა.

მსუბუქი იყოს, ბატონო გოგი, შენთვის ქართული მიწა, რომელიც ასე გულმხურვალედ გიყვარდა.

ჰოლდინგური კომპანია „სოფმშენი“.



მიმდინარე წლის 25 ივნისს, ოთხშაბათს, 16 საათზე, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალში სამიქაოს სასაფლაოზე დანიშნულია

აბრამ ხარჩილავას

ხსოვნისადმი მიძღვნილი სამოქალაქო პანაშვიდი.

ოჯახი.

დედა ევგენია, მეუღლე ავთანდილი, შვილები ლულუ, ანუკი, ძმა იოსებ (სოსო) ორჯონიკიძე, რძალი ქეთევან დევდარიანი, ძმისწულები ეკა, ნიკა, ბიძა აბესალომ, ბიცოლა რაისა, ბიძაშვილები მიხეილ, სერგო შალუტაშვილები, მამიდა ლამარა, ბიძა კაკო, მამიდაშვილები თენგიზ, ზურაბ გელაშვილები, რძალი იზო გოგისვანიძე, მაზლები დემნა, რევაზ კორძაძეები, მაზლიშვილები დათო, ალექსანდრე კორძაძეები, რძლები დოდო ჩხეტიანი, მარინა პაიკიძე, მაზლიშვილები თამარი, თინა, ალექსანდრე, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან ნიკოლოზის ასული

ორჯონიკიძე-კორძაძე

პანაშვიდი 22, 23 VI, 5 ს. დაკრძალვა 24 VI, 3 ს. დიღმის მასივი, II კვარტალი, კორპუსი მე-16.

სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს“ და ელექტროენერგიის რეალიზაციისა და ენერგოზედამხედველობის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ „საქენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილეს გურამ ჯავახაძეს სიძის

გურამ ქავთარაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი თანაუგრძნობს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, პროფესორ ავთანდილ კორძაძეს მეუღლის

რუსუდან ნიკოლოზის ასულ ორჯონიკიძის

გარდაცვალების გამო.

თბილისის მერიის კეთილმოწყობის მთავარი სამმართველო და საგზაო კომპანია „თბილისი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე

ანზორ ვასაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის პროკურატურა ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაუგრძნობს ბესიკ მჟავანაძეს შვილის

შოთიკოს

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ზოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორები: რუსუდან ლორთქიფანიძე, ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.